



975  
2362

სს.რ. მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ნის, ისტორიისა და მაცოდ. უკუცუტობის ინსტიტუტი აჯად. 5, შატის სას.  
Ин-т языка, истории и матер. культуры им. акад. Н. Я. Марра

# მ ა ს ა ლ ე ბ ი

საპარტოვალონა და კამკასიის ისტორიისათვის

## МАТЕРИАЛЫ

ДО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1942

ნაკვეთი II ВЫПУСК

თბილისი

1942

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ინის, ისტორიისა და მაცურ. კულტურის ინსტიტუტი ავად. ნ. მათის სას.  
Ин-т языка, истории и матер. культуры им. акад. Н. Я. Марра

# მ ა ს ა ლ ე ზ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

## МАТЕРИАЛЫ

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1942

ნაკვეთი II ВЫПУСК

1999



თბილისი  
1942



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ბრეზნიდუმის განგარჯულებით

რედაქტორი ბრ. ნ. ბერძენიშვილი

I

პლანო კარკინი

ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ  
თათრებს ვუწოდებთ

II

ب الباب

„უკეთესთაგან უკეთესი (ისტორია)“ ჰაჯი მეჰდი-  
შული ყაჯარისა  
(XVII ს.)

პლანო კარკინი

ისტორია მოწოდებისა, რომელთაც ჩვენ  
თათრებს ვუწოდებთ.

სთარგმნა

გერონტი შიქოძე

## მთარგმნელისაბან

1245 წელს, როცა მონღოლების შესევის საფრთხე დასავლეთ ევროპისათვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა, პაპმა, როგორც ქრისტიანული კაცობრიობის უმაღლესმა პოლიტიკურმა და სულიერმა ხელმძღვანელმა, ლიონში კონგრესი მოიწვია, სადაც გადაწყდა მონღოლებთან საგანგებო ელჩები გაეგზავნათ პოლიტიკური და რელიგიური მისიით. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად 1246 წელს პაპმა ინოკენტი IV ორი დელეგაცია შეადგინა ფრანცისკელი ბერის ჯიოვანი პლანო კარპინისა და ბენედიქტელი ბერის ასცელინის მეთაურობით. პლანო კარპინი პოლონელ ბერ ბენედიქტესთან ერთად, რომელიც მას თარჯიმანობას უწევდა სლავურ ქვეყნებში, ოქროს ურდოში გაემგზავრა, ხოლო ასცელინი ილხანთა სამფლობელოში. უკან დაბრუნების შემდეგ მათ პაპსა და კარდინალთა კონგრეგაციას წარუდგინეს საკმაოდ ვრცელი მოხსენებანი, რომელთა შემწეობით იმდროინდელი ევროპის კულტუროსანი საზოგადოება პირველად გაეცნო მონღოლთა იმპერიის გეოგრაფიულ მდებარეობას, მათი დაპყრობების ისტორიას, მათს პოლიტიკურ და სამხედრო წესწყობილებას და მათს ყოფა-ცხოვრებას. განსაკუთრებით მრავალმხრივი და კონკრეტული ცნობებით მდიდარი იყო პლანო კარპინის მოხსენება, თუმცა ავტორმა, როგორც საშუალო საუკუნეების ისტორიული და გეოგრაფიული ცოდნის საშუალო დონეზე მდგომარე ადამიანმა, თავისი მოგზაურობის აღწერილობაში მრავალი უძვირფასესი რეალური ცნობების გვერდით, ზოგიერთი ფანტასტიკური და ზღაპრული ელემენტიც შეიტანა.

რადგან ჩინგიზ-ყაენის მიერ თავდაპირველად დასავლეთისაკენ წარმოგზავნილი მხედართმთავრები რელიგიურ დევნას არ აწარმოებდნენ და ხშირად მაჰმადიან ერებს უფრო მკაცრადაც კი ეპყრობოდნენ, ვიდრე ქრისტიანებს, დასავლეთის ქრისტიანობაში ფეხი მოაკიდა ყალბმა წარმოდგენამ თითქო მონღოლების გაქრისტიანება და მათი მაჰმადიანობის წინააღმდეგ გამოყენება ადვილი შესაძლებელი ყოფილიყო. ამიტომ როგორც პაპის ეპისტოლეებში, რომელნიც მონღოლი მფლობელებისადმი იყო მიმართული, ისე ევროპელი ელჩების პირად საუბარში, რომელსაც ისინი მათთან აწარმოებდნენ, უმთავრესად ზავის ჩამოგდების, პოლიტიკური კავშირისა და რელიგიური მოქცევის საკითხები იდგა. მაგრამ, როგორც პლანო კარპინი

ნის მოგზაურობის აღწერიდან ჩანს, მისი მისიის მეორე ფარული მიზანი მონღოლთა სამხედრო ძალის დაზვერვა და შესწავლა ყოფილა და ამ მიზნისათვის მას უფრო ადვილად მიუღწევია, ვიდრე თავისი ოფიციალური განზრახვისათვის. ამ ფრანცისკელი ბერის თხზულების ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი შეიცავს უხვ კონკრეტულ და დეტალურ ცნობებს მონღოლების სამხედრო ისტორიიდან და მათი რაზმთა წყობის ანუ სამხედრო ორგანიზაციის დარგიდან; ეს ცნობები ავსებენ და ადასტურებენ იმ ძუნწ ცნობებს, რომელთაც ამ დარგში იმდროინდელი მემატიანეები და, მათს შორის, ქართველი ჟამთააღმწერელი იძლევა. ეს სტრიქონები, რომლებიც მონღოლების თავისებური სამხედრო სტრატეგიისა, ტაქტიკისა და ორგანიზაციისადრე მიძღვნილი, მათი სამხედრო საქურველის აღწერა, მათი პოლიტიკური მიზნების გამორკვევა, ბოლოს ის რჩევა-დარიგება, რომელსაც ავტორი მოკრძალებულად, მაგრამ ამასთანავე დაჟინებულად ევროპელ პოლიტიკურ ხელმძღვანელებს აძლევს, ამჟღავნებს, რომ გულმხურვალე პატრიოტიზმთან ერთად, ის დიდი დაკვირვების ნიჭით და მახვილი გონებით ყოფილა აღჭურვილი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მონღოლებმა თავიანთი მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად ახალი და უცნობი სამხედრო ხერხები გამოიყენეს და ამ ხერხების გამოცნობა ბევრი იმდროინდელი სარდლისათვისაც კი ძნელი აღმოჩნდა.

პლანო კარპინის თავდაპირველად, როგორც ჩანს, განზრახული არ ჰქონია ყივჩაყების ანუ, როგორც იმდროინდელი ბიზანტიელები და ევროპელები უწოდებდნენ, კომანების ტერიტორიას გაშორებოდა. ის ლიონიდან ბათო ყაენთან გაემგზავრა და სარაიში მივიდა გერმანიასა, ბოჰემიასა, კრაკოვსა, კიევსა, აზოვის ზღვის სანაპიროსა და სამხრეთ რუსეთის ტრამალებზე გავლით. ჩინგიზ-ყაენის უშუალო მემკვიდრეების დროს მონღოლთა იმპერია ჯერ კიდევ საკმაოდ ცენტრალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენდა; ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ ბათო ყაენმა პლანო კარპინის გადაჭრილი პასუხი არ მისცა პაპის ეპისტოლეზე და მონღოლეთში გაისტუმრა დიდ ყაენთან. მან თავის თანამგზავრებთან ერთად, მშიერ-მწყურვალმა, ცხენიდან ცხენზე გადაჯდომით ანუ ჰუნეთა ცვლით, როგორც ძველი ქართველი მემატიანეები იტყოდნენ ხოლმე, ჩრდილოეთით მოუარა კასპიისა და ხვარაზმის (არალის) ზღვებს, ხოლო ბალხაშის ტბა მარცხნივ დასტოვა, განვლო შვიდი მდინარეთი და ტარბაგათი და სამთვენახევრის მგზავრობის შემდეგ შუაგულ მონღოლეთამდე მიაღწია. მართალია, პლანო კარპინი თვით მონღოლთა სატახტო ქალაქ ყარაყორუმში არ მისულა, მაგრამ 1246 წელს აგვისტოში, მდინარე ორხონის ნაპირას ის დაესწრო მონღოლთა ყურულ-



ტაის კრებას, რომელმაც დიდი ყაჩნის ტახტზე აირჩია ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი გუიუქი (ქართულ ისტორიულ წყაროებში აგრეთვე ქუქად ცნობილი).

ის პირად აუდიენციაში მიღებულ იქნა ახალი ყაენის მიერ, მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეული პასუხი ვერ მიიღო თავისი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მისიის შესახებ. მან საერთოდ მოგზაურობაში თექვსმეტი თვე დაჰყო და მონღოლეთიდან დაახლოებით იმავე მარშრუტით დაბრუნდა, რომლითაც იქით გაემგზავრა.

საქართველოს ისტორიისა და ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ის დიდად მნიშვნელოვანი ცნობები, რომელთაც პლანო კარპინი მონღოლ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ იძლევა, როგორც პოლიტიკის, ისე ყოფა-ცხოვრების დარგში. ყურულტაიზე დამსწრე უცხოელ წარმომადგენლებს შორის ის, სხვათა შორის, გაეცნო ქართველ უფლისწულებს, ულო დავითსა და დავით ნარინს, რომელთაც ის შეცდომით არა დეიძლ მგებად სთვლის, სახელდობრ, ერთი და იმავე მამის და ორი სხვადასხვა დედის შვილებად. ჩვენთვის დიდად საინტერესოა აგრეთვე მისი ცნობები მონღოლების საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკაზე საქართველოში და სხვა დაპყრობილ ქვეყნებში და ქართველი და მონღოლი ჯარისკაცების მტრულ განწყობილებაზე მონღოლთა ლაშქარში. ბოლოს, დიდად საყურადღებოა, რომ მონღოლეთში მყოფ ქართველებს, რომელთა შორის ჩვენი იმდროინდელი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ, სარგის თმოგველი და სხვები, პლანო კარპინისთვის გაუნდვიათ, რომ მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებას ეპირებთო, რაიცა, როგორც საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, მათ დავით ნარინის და ულო დავითის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მართლაც შეასრულეს.

პლანო კარპინის ბიოგრაფია სხვაფრივ ნაკლებ ცნობილია. ის წარმოშობით იტალიელი იყო და ქალაქ პერუჯიაში დაიბადა 1182 წელს. ის ალბათ პირადად იცნობდა თავისი ორდენის დიდ დამაარსებელს ფრანცისკ ასიზელს და მოსმენილი ჰქონდა მისი ალგზნებული ქადაგებანი. პაპს მისი მოხსენება ანუ, უკეთ ვთქვათ, მოგზაურობის აღწერა დიდად მოსწონებია და ის ფრანცისკელთა ორდენის გენერალად დაუნიშნავს. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მას მონღოლეთში გამგზავრებამდე და მას შემდეგაც ქრისტიანობის მქადაგებლის როლში გაუტარებია ბოჰემიასა, ჰუნგრეთსა, დანიასა და სკანდინავიაში და ღრმად მოხუცებული გარდაცვლილა 1252 წელს.

პლანო კარპინის თავისი მოგზაურობის ანგარიში ორჯერ დაუწერია ლათინურ ენაზე, ერთხელ ნაჩქარევად, უშუალო შთაბეჭდილებათა ზეგავლენით, ხოლო მეორეჯერ უფრო გულდასმით, დასვე-

ნებისა და მოცლილობის დროს. რადგან მის წიგნს იმდროინდელ განათლებულ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოუწვევია, მრავალ პირს ის გადაუწერია. ამით აიხსნება ნუსხათა შედარებითი სიმრავლე და ვარიანტული განსხვავებანი მათს შორის. ცნობილია ვატიკანის, ვენის, ბრიტანეთის მუზეუმის, პარიზის, ლეიდენის, კემბრიჯის და სხვა კოდექსები, რომელნიც ორიგინალის დაწერის დროს ან მის მახლობელ ხანას ეკუთვნიან. ორიგინალის ლათინური ტექსტი რამდენჯერმე გამოიცა ევროპელი ორიენტალისტების ხელმძღვანელობით, აგრეთვე ის უმთავრეს ევროპულ ენებზე გადაითარგმნა. პლანო კარპინის ქართულად გადმოთარგმნის დროს ჩვენ, უმთავრესად, ვიხელმძღვანელებთ ორი რუსული თარგმანით: პირველი მათგანი დ. იაზიკოვს ეკუთვნის, ის ლათინური ტექსტის დართვით პეტერბურგში გამოვიდა 1825 წ., ხოლო მეორე ა. მალეინს და იმავე პეტერბურგში გამოვიდა 1911 წ. (Собрание путешествий к татарам и другим восточным народам. I. ПIANO Карпини. II. Асцелии. СПб 1825 г. Иоанн де ПIANO Карпини, История монголов. Вильгельм де Рубрук, Путешествие в восточные страны, СПб 1911).

## ავტორის წინასიტყვაობა

ყველა მორწმუნე ქრისტიანს, რომლისადმი შეიძლება ამ ნაწერ-  
მა მიაღწიოს, ძმა იოანე დე პლანო კარპინი, მინორიტთა ორდე-  
ნის წევრი, სამოციქულო ტახტის ლეგატი, დესპანად წარგზავნილი  
თათრებთან და აღმოსავლეთის სხვა ერებთან, უსურვებს ღვთის  
წყალობას აწმყოში, დიდებას მომავალში და სახელოვან გამარჯვე-  
ბას ღვთისა და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მტრების მიმართ.

მივიღეთ რა სამოციქულო ტახტისაგან ბრძანება გავმგზავრე-  
ბულიყავით თათრებთან და აღმოსავლეთის სხვა ერებთან და ვი-  
ცოდით რა უფალი პაპის და პატივცემული კარდინალების სურვილი,  
ჩვენ გადავწყვიტეთ თავდაპირველად თათრებთან წავსულიყავით,  
ვინაიდან ვშიშობდით, რომ მათ ახლო მომავალში საფრთხეში არ  
ჩაგვდოთ ღვთის ეკლესია. ჩვენ გვეშინოდა, რომ თათრებს და სხვა  
ერებს თვით ჩვენ არ დავებოცეთ ან სამუდამო მონობაში არ ჩავეგ-  
დეთ, გვეშინოდა აგრეთვე შიმშილისა, წყურვილისა, სიცივისა,  
სიცხისა, შეურაცხყოფისა, მძიმე და უსაზომო შრომისა (რაცა ყო-  
ველივე, გარდა სიკვდილისა და სამუდამო მონობისა, მრავალგზის  
განვიცადეთ, თვით უფრო მეტად ვიდრე შეიძლებოდა გვეფიქრნა):  
ამისდა მიუხედავად ჩვენ სრულიადაც ჩვენი თავი არ დავზოგეთ,  
ვინაიდან მხოლოდ გვწყუროდა, უფალი პაპის ბრძანების მიხედვით,  
ღვთის ნება შეგვესრულებინა და რითიმე სარგებლობა მოგვეტანა  
ქრისტიანებისთვის; სახელდობრ, ჩვენ გვინდოდა დანამდვილებით  
გავგვეოთ თათრების სურვილები და ზრახვები და ისინი ქრისტიანე-  
ბისთვის გავგვემხილა, რათა თათრები ხელახლა მოულოდნელად თავს  
არ დასხმოდნენ უიარაღო ქრისტიანებს (რაცა ერთხელ უკვე მოხდა  
ადამიანური შეცოდების გამო) და ამ უკანასკნელთ შორის დიდი  
სისხლისღვრა არ გამოეწვიათ.

ამიტომ თქვენ უნდა ერწმუნოთ ყოველივეს, რასაც ჩვენ თქვენ  
სასარგებლოდ და გასაფრთხილებლად ვწერთ, მით უმეტეს, რომ  
ჩვენ მათ ქვეყნებში ვიმოგზაურეთ და მათს შორის წელიწადსა და  
ოთხ თვეზე მეტი დავყავით, ხოლო მათთან ყოფნის დროს ყოველივე  
ჩვენი საკუთარი თვალით ვნახეთ ან მათს ტყვეობაში მყოფი ქრის-  
ტიანებისაგან მოვისმინეთ, რომელნიც, როგორც გვგონია, რწმენის  
ღირსნი არიან. ამასთანვე, ჩვენ უზუნაესი მღვდელთმთავრისაგან  
ბრძანება გვქონდა ყოველივე გავგვეოთ და ყურადღებით გავგვეხილა,

რაიცა გულმოდგინეთ შევასრულეთ იმავე ორდენის წევრ ძმა ბენედიქტესთან ერთად, რომელმაც ჩვენი ბედუკულმართობა გაინაწილა და თარჯიმანობა გაგვიწია.

ამრიგად, განვიზრახეთ რა თათართა საქმე ავწეროთ, რათა მკითხველი უფრო ადვილად გაერკვეს, ჩვენს აწერას შემდეგნაირად: დაეყოფთ: პირველად ვილაპარაკებთ მათს მიწა-წყალზე, მეორედ—ადამიანებზე, მესამედ—წესებზე, მეოთხედ—ზნე-ჩვეულებებზე, მეხუთედ—მათს სახელმწიფოზე, მეექვსედ—ომებზე, მეშვიდედ—მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე, მერვედ—თუ როგორ უნდა წარმოებდეს ომი მათ წინააღმდეგ; უკანასკნელად აწერილი იქნება ჩვენ მიერ განვლილი გზა და იმპერატორის კარი და დასახელებული იქნებიან მოწმეები, რომელთაც თათართა ქვეყანაში გვნახეს.

## წიგნი პირველი

### თავი პირველი

#### თათრების ძველის მღვდარობისა, თვისებისა და ჰაჰის განაწილების შესახებ

მიწა-წყალზე შეგვიძლია ასე ვიმსჯელოთ. თავდაპირველად ვიტყვით მის მღვდარობაზე, მეორედ—მის თვისებაზე, მესამედ—მისი ჰაერის განაწილებაზე.

ზემოხსენებული ქვეყანა იმყოფება აღმოსავლეთის იმ ნაწილში, სადაც, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, აღმოსავლეთი ჩრდილოეთს უნდა უერთდებოდეს. მის აღმოსავლეთით ძვეს ჩინელების და სოლანგების მიწა-წყალი<sup>1</sup>, სამხრეთით—სარაციებისა, სამხრეთ-დასავლეთით—ჰუირებისა<sup>2</sup>, ხოლო დასავლეთით ნაიმანებისა<sup>3</sup>. ჩრდილოეთით თათრების ქვეყანას ოკეანე-ზღვა აკრავს.

ზოგიერთ ადგილებში ის მეტისმეტად მთაგორიანია, ზოგიერთში კი ვაკე, მაგრამ თითქმის ყველგან შერეულია ხეინჯასთან, იშვიათად თიხასთან, უმეტეს ნაწილად კი ქვიშიანია. ალაგ-ალაგ პატარ-პატარა ტყეები გვხვდება, სხვაგან კი სრულიად უტყეოა. ცეცხლს გასათბობად და საჭმლის მოსახარზად როგორც იმპერატორისა და მთავრებისა, ისე სხვებისათვის ძროხისა და ცხენის სკორეზე აღვივებენ. ამ მიწის ერთი მეასედი ძლივს იქნება ნაყოფიერი, ისიც მხოლოდ იქ, სადაც მდინარეებით ირწყვება. მაგრამ ნაკადულები და რუები იქ ცოტაა, მდინარეები კი მეტად იშვიათი, ამიტომ სოფლებიც ცოტაა, ქალაქები კი სულ არაა, გარდა ერთისა, რომელიც, როგორც ამბობენ, ძალიან კარგია და კარაკარონი<sup>4</sup> ეწოდება; მაგრამ ის ჩვენ არ გვინახავს, არამედ ნახევარი დღის სავალზე ვიყავით მისგან, როცა სირ-ურდოში<sup>5</sup> ვიმყოფებოდით, რომელიც მათი იმპერატორის მთავარ სადგომს წარმოადგენს. მაგრამ თავისი უნაყოფობის მიუხედავად, ეს მიწა, თუმცა არც ისე ძალიან, მესაქონლეობისათვის არის გამოსადეგი.

ჰავა ამ ქვეყანაში გასაოცრად ცვალებადია. შუა ზაფხულში, როდესაც სხვა ქვეყნებში ძლიერი სიცხე დგას, იქ მხოლოდ საშინელი ელვა-ქუხილი იცის, რომელიც მრავალ ადამიანს ხოცავს. იმავე დროს იქ დიდ თოვლს სდებენ. აგრეთვე ისეთი ძლიერი ქარიშხალი და ცივი ქარი იცის, რომ ხანდახან ადამიანისათვის ძნელია ცხენზე

თავის შემავრება. ამიტომ, როდესაც ჩვენ ურდოში (ასე უწოდებენ ისინი იმპერატორისა და მთავრების სადგომებს) ვიმყოფებოდით, სასტიკი ქარების გამო ხშირად მიწაზე ვიყავით გართხმულნი და მტვერის კორიანტელში ვერაფერს ვერ ვხედავდით. ზამთარში იქ არასოდეს წვიმა არ მოდის, ზაფხულში კი ისე ცოტას მოწვიმს, რომ ძლიერ ასველებს მტვერსა და ბალახს. სეტყვა კი ძალიან მსხვილი იცის. როცა ჩვენ ურდოში ვიმყოფებოდით, იმპერატორის არჩევისა და ტახტზე აყვანის დღეებში, ისეთი დიდი სეტყვა მოვიდა, რომ როდესაც ის უცებ გადნა, ას ორმოცზე მეტი კაცი დააღრჩო და მრავალი ქონება და ბინა წაიღო, როგორც ეს ჩვენ სრულიად დანამდვილებით გავიგეთ. ზაფხულობით უცებ საშინლად დაცხება, შემდეგ მოულოდნელად ძლიერ სიცივეს დაიჭერს. ზამთარში კი ალაგ-ალაგ დიდ თოვლს სდებს, ალაგ-ალაგ კი სულ ცოტას. ერთი სიტყვით, მოკლედ რომ დავასკვნათ, ეს ქვეყანა მეტად ვრცელია, მაგრამ სხვა მხრივ, როგორც ის საკუთარი თვალთ ვნახეთ (ვინაიდან მასში ირგვლივ ხუთთენახევარი ვიმოგზაურეთ), ისეთი ცუდია, რომ აწერაც კი ძნელია.

### თ ა ვ ი მ ე ო რ ბ ე

#### თ ა თ რ მ ბ ი ს ბ ა რ მ ე ნ ო ბ ა ხ ა, ც ო ლ შ მ რ ო ბ ა ხ ა, ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ს ა და ბ ი ნ ე ბ ზ ე

ვილაპარაკეთ რა მიწა-წყალზე, ახლა მცხოვრებლებზე უნდა ვისაუბროთ. პირველად მათი გარეგნობა ავწეროთ, მეორედ—მათს ცოლქმრობაზე ვილაპარაკეთ, მესამედ—მათს ტანსაცმელზე, მეოთხედ—ბინებზე, მეხუთედ—მეოჯახეობაზე.

სახით ისინი ყველა სხვა ადამიანისაგან განსხვავდებიან. თვალებსა და ლაწვებს შორის მათი სახე უფრო ფართოა ვიდრე სხვებისა, ხოლო მათი ლაწვები მეტად ყვრიმალძელიანია. ყველას, იშვი-ათი გამოკლებით, თხელი ტანი აქვს და თითქმის ყველანი საშუალო სიმაღლის არიან. წვერი თითქმის სრულიად არ აქვთ, მხოლოდ ზოგიერთს ზედა ტუჩზე და ნიკაპზე რამდენიმე ბეწვი ამოდის, რომელსაც არასოდეს არ იკრეჭავენ. საქოჩრეს იპარსავენ ჩვენი კლირიკოსების მსგავსად, აგრეთვე ყველანი სამი თითის დადებაზე თავს იპარსავენ ერთი ყურიდან მეორემდე; ამ მოპარსულ ადგილს ცხენის ნალის ფორმა აქვს. აგრეთვე ყველანი შუბლს იპარსავენ ორი თითის დადებაზე. საქოჩრესა და ზემოხსენებულ მოპარსულ ადგილს შორის დატოვებულ თმას კი წარბებამდე უშვებენ. დანარჩენ თმას ქალებივით იზრდიან, ორ ნაწნავს აკეთებენ და ყურების უკან იხვევენ. პატარა ფეხები აქვთ.

გარდა ამისა, თათრები კითხვებს ყვირილით იძლევიან და საშინელ ხორხისმიერ ხმებს გამოსცემენ ხოლმე. სიმღერის დროს ხარებივით ღმუიან ან მგლებივით ყმუიან და რაღაც გაუგებარ სიტყვებს იძახიან; ხშირად სიმღერას ალაი, ალაის უმატებენ. სმის დროს უწესოდ თავს აქნევენ და სასმელს ცხენებივით ეწაფებიან.

ყველას იმდენი ცოლი ჰყავს, რამდენის შენახვაც შეუძლია: ზოგს ასი, ზოგს ორმოცდაათი, ზოგს კიდევ ათი თუ მეტი ან ნაკლები. ყველა ნათესავ ქალს ირთავენ განურჩევლად, გარდა დედისა, ქალიშვილისა ან ღვიძლი დისა; რაც შეეხება დებს ერთი მამიდან და მამის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქვრივებს, მათი შერთვა შეუძლიათ. ძმის სიკვდილის შემდეგ უმცროსი ძმა ან სხვა ვინმე უმცროსი ნათესავი ვალდებულია მისი ქვრივი შეერთოს. ყველა დანარჩენ ქალებს განურჩევლად ირთავენ, რისთვისაც მათს შობლებს დიდ ფასს აძლევენ. ქმრის სიკვდილის შემდეგ ქვრივი ქალი იშვიათად თხოვდება, თუ ვინმემ თავისი დედინაცვლის შერთვა არ ისურვა.

შეუღლებული თათარი ცოლს თავისად არ სცნობს, სანამ ეს უკანასკნელი მისგან არ დაორსულდება და არ შობს. მას უფლება აქვს ცოლს გაეყაროს, თუ ის უნაყოფია.

მამაკაცის და დედაკაცის ტანისამოსი ერთნაირადაა შეკერილი. წამოსასხამებსა და ფარფლებიან ქუდებს ისინი არ ატარებენ, იცვამენ ბუკარანის<sup>6</sup>, ძოწეულის ან ბალდაკინის<sup>7</sup> ხიფთანს, რომელსაც შემდეგნაირად კერავენ: ზემოდან ქვემოდე ის გაჭრილია, მხოლოდ მკერდზე იკვრება; მარცხენა მხრით მათ ერთი შესაკრავი აქვთ, ხოლო მარჯვენა მხრით სამი; მარცხენა მხრით ის გაჭრილია მხრებამდე. ყოველგვარი ჯუბაჩებიც ასევე იკვრება, მხოლოდ ზედა ჯუბაჩას ბეწვი საპირის მხრიდან აქვს, უკანიდან კი გახსნილია და შემკულია კუდით, რომელიც მუხლებამდე სცემს. ქმრიანი ქალები მეტად ფართო ხიფთანს ატარებენ, ბოლომდე გაჭრილს. თავზე კი რაღაცას მრგვალს იხურავენ, რომელიც წნელისა ან ხის ქერქისგან არის გაკეთებული, ერთი წყრთა. სიგრძე აქვს და ზევით ოთხკუთხედით თავდება; ეს ქუდი ქვემოდან ზემოთ თანდათან ფართოვდება, ხოლო ზევით მას აქვს გრძელი და წვრილი ოქროს, ვერცხლის თუ ხის ჩხირი ან კიდევ ფრთა; ეს ჩხირი მიმაგრებულია თავსაბურავზე, რომელიც მხრებამდე აღწევს. ხსენებული თავსაბურავი დაფარულია ბუკარანით, ძოწეულით ან ბალდაკინით, უმისოდ დედაკაცები მამაკაცებს არასოდეს არ ეჩვენებიან და იმით განსხვავდებიან ისინი სხვა ქალებისაგან. ქალიშვილებისა და ახალგაზრდა გათხოვილი ქალების გარჩევა მამაკაცებში ძალიან ძნელია, იმიტომ რომ ისინი სწორედ ისევე იცვამენ, როგორც მამაკაცები. მათი ქუდები განსხვავდება სხვა



ერების ქულებისაგან, მაგრამ ჩვენთვის ძნელია მათი ისე აწერა, რომ გასაგები იყოს.

მათი სადგომები მრგვალია კარავივით და ხელოვნურადაა გაკეთებული წნელისა და ჯოხებისაგან. ზემოთ შუა ადგილას მრგვალი სარკმელია გაჭრილი, საიდანაც სინათლე შედის და კვამლი გამოდის, იმიტომ რომ ისინი ცეცხლს ყოველთვის შუა ადგილას ანთებენ. კედლები და სახურავი ქეჩითაა დაფარული, კარიც ქეჩისგანაა გაკეთებული. ზოგიერთი სადგომი დიდია, ზოგიერთი კიდევ მომცრო, ადამიანის წარჩინებისა და ხელმოკლეობის მიხედვით. ზოგიერთი სწრაფად იშლება, იკეცება და საქონლის შემწეობით გადაიტანება ხოლმე, ზოგიერთის დაშლა არ შეიძლება, მათი გადაზიდვა ფორნებით ხდება. თუ კარავი პატარაა, ფორანში ერთ ხარს უბამენ, თუ ის დიდია—სამს, ოთხს ან მეტს, სიდიდის მიხედვით. სადაც უნდა წავიდნენ, ომში თუ სხვა ადგილას, სადგომები მუდამ თან მიაქვთ.

ისინი მეტად მდიდრები არიან შინაური პირუტყვით, აქლემებით, ხარებით, ცხვრებით, თხებითა და ცხენებით. სასაპალნე ხვადავი იმდენი ჰყავთ, რამდენიც, ჩვენი აზრით, მთელ დედამიწის ზურგზე არ იქნება. ღორები და სხვა ცხოველები მათ სრულიად არ ჰყავთ.

### თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

#### **ღვთის თაყვანისცემისა და ივის უმსახვბ, თუ რას სთვლიან ისინი ცოდვად, მკითხაობისა, დასაფლავების წინისა და ცოდვათა განწმენდის უმსახვბ**

რაკი ადამიანებზე ვილაპარაკეთ, უნდა ვისაუბროთ მათ წესებზე, რასაც შემდეგნაირად ვიზამთ. პირველად ღვთის თაყვანისცემაზე ვილაპარაკებთ, მეორედ—იმაზე თუ რას სთვლიან ისინი ცოდვად, მესამედ—მკითხაობასა და ცოდვათა განწმენდაზე, მეოთხედ—დასაფლავების წესზე.

მათ სწამთ ერთი ღმერთი, რომელსაც ყოველი ხილულისა და უხილავის შემოქმედად სთვლიან; აგრეთვე სწამთ, რომ ის არის როგორც ნეტარების მომნიჭებელი ამ ქვეყნად, ისე დამსჯელი; მაგრამ ისინი მას არც ლოცვებით სცემენ თაყვანს, არც ქება-დიდებათ, არც სხვა რაიმე წესით. ამისდა მიუხედავად მათ აქვთ რალაც კერპები, რომელთაც ქეჩისგან აკეთებენ ადამიანის მსგავსად და სადგომის შესავალთან სდგამენ ორნივე მხრიდან; ამ კერპებს შიგნით რალაცას ძუძუების მსგავსს უკეთებენ ქეჩიდანვე და ჯოგების მფარველებად სთვლიან, უხვი რძის მომცემად და პირუტყვის გამმრავლებლად. სხვა კერპებს აბრეშუმის ქსოვილისგან აკეთებენ და დიდ



პატივს სცემენ; ზოგიერთები მათ მშვენიერ დახურულ ფორანში-სდგამენ სადგომის შესასვლელთან, და თუ ვინმემ ამ ფორნიდან რამე მოიპარა, მას შეუბრალებლად ჰკლავენ.

როცა მათ ამ კერპების გაკეთება სურთ, ყველა ხნიერი დიასახლისი ერთად თავს იყრის და მოკრძალებით აკეთებს მათ, ხოლო როდესაც საქმეს მორჩებიან, ცხვარს დაკლავენ, შესჭამენ, ძვლებს კი დასწვავენ. როცა რომელიმე ჰაბუკი ავად ხდება, ისინი კერპს აკეთებენ ზემოაღნიშნული წესით და მის საწოლზე აბამენ. მხედართმთავრებს, ათასისთავებსა და ასისთავებს ყოველთვის ერთი კერპი აქვთ შუაგულ სადგომში. ამ კერპებს ისინი მსხვერპლად სწირავენ როგორც რქოსანის, ისე სასაპალნო პირუტყვის პირველად გამოწველილ რძეს; ყოველთვის, სანამ ჭამა-სმას შეუდგებოდნენ, კერპებს მსხვერპლს სწირავენ თავიანთი საჭმელ-სასმელიდან. როცა რაიმე ცხოველს ჰკლავენ, მისი გული ლანგარით კერპისთვის მიაქვთ, რომელიც ფორანზე დგას და გათენებამდე მას უტოვებენ; შემდეგ ათმევენ, ხარშავენ და სჭამენ.

უწინარეს ყოვლისა, კერპს იმპერატორისთვის აკეთებენ და მოკრძალებით ფორანზე სდგამენ მისი სადგომის წინ და მრავალსაჩუქარს სწირავენ, როგორც ეს ჩვენ ახლანდელი იმპერატორის ურლოს წინ ვნახეთ. აგრეთვე სწირავენ ცხენებს, რომლებზედაც ვერაინი შეჯდება მის სიკვდილამდე. სხვა ცხოველებსაც სწირავენ მსხვერპლად. საჭმელად დაკლული ცხოველების ძვლებს არასოდეს არ ამტკრევენ, არამედ სწვავენ. სამხრეთის მხარეს ისინი თავყანს სცემენ როგორც ღმერთს<sup>8</sup> და ამასვე აიძულებენ სხვა წარჩინებულ ადამიანებს, რომელნიც მათ ემორჩილებიან. ამიტომ მოხდა, რომ როცა ბათოსთან ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ერთ-ერთი დიდი მთავარი მიხაილი მივიდა<sup>9</sup>, რათა მას დამორჩილებოდა, იგი თავდაპირველად ორ ცეცხლს შუა გაატარეს, ხოლო შემდეგ უთხრეს, თავყვანი ეცი ჩინგიზ-ყაენს სამხრეთითო. მან უპასუხა, სიამოვნებით თავყანს ვცემ ბათოს და მის მსახურებს, მაგრამ მიცვალებულის გამოსახულებას თავყანს არ ვცემ, ვინაიდან ეს შეუფერებელია ქრისტიანისთვისო. როცა მას რამდენჯერმე განუმეორეს—თავყვანი ეცა, ხოლო ის უარზე იდგა, ბათომ იაროსლავის ვაჟის პირით გადასცა, მოკლულ იქნები, თუ თავყვანი არ გიციაო. ამაზე მან უპასუხა, მირჩენია მოკვდე, ვიდრე უწესო საქმე ჩავიდინოო. ამის შემდეგ ბათომ თავისი ქეშიკი გამოგზავნა, რომელმაც მას წიხლი ურტყა მუცელზე გულთან, სანამ იგი არ გარდაიცვალა. იმავე დროს მიხაილის ერთი მხედარი იქვე იდგა და მას ამხნევებდა: „განმტკიცდი, ვინაიდან ეს სატანჯველი წუთიერია, მას კი საუკუნო ნეტარება მოსდევს“.

ამის შემდეგ დანით ჯერ მთავარს მოსჭრეს თავი, ხოლო შემდეგ ზემოხსენებულ მხედარს.

გარდა ამისა ისინი თაყვანს სცემენ მზეს, მნათობებს, ცეცხლს, წყალს, მიწას, მუხლს იდრეკენ მათ წინაშე და საკმელ-სასმელის პირველ ნაწილს სწირავენ, განსაკუთრებით დილით, სანამ ჰამა-სმას დაიწყებდნენ. რადგან ღვთის თაყვანისცემაში არავითარ კანონს არ იცავენ, რამდენადაც ვიცით, არავისთვის ძალა არ დაუტანებიათ თავის რწმენაზე ანუ კანონზე უარი ეთქვა, გარდა ზემოხსენებული მიხაილისა. ესეცაა, რომ ჩვენი იქ ყოფნის დროს ჩერნიგოვის მთავარი ანდრეი<sup>10</sup> რუსეთიდან დასმენილ იქნა ბათოსთან, რომ ჩვენი მიწებიდან თათრების ცხენები გაჰყავს და სხვა ადგილებში ჰყიდისო; თუმცა ეს ბრალდება არ დამტკიცდა, მაგრამ ის მაინც მოჰკლეს. ეს რომ მისმა უმცროსმა ძმამ გაიგო, მოკლულის ქვრივთან ერთად ბათოსთან მივიდა და სთხოვა მამულს ნუ წაგვართმევთო. ბათომ ჰაბუკს უთხრა, წესი მოითხოვს რომ შენი ძმის ცოლი შეერთო, ხოლო ქვრივს უბრძანა მაზლს გაჰყოლოდა თათრების ჩვეულების მიხედვით. ქალმა უპასუხა, მირჩევინა მოკლულ ვიქნე, ვიდრე კანონის წინააღმდეგ წავიდეო. მათი წინააღმდეგობის მიუხედავად ბათომ ქალი და ვაჟი შეაუღლა; ორივე საწოლთან მიიყვანეს, ეს მტირალი და მყვირალი ვაჟი ქალს თავზე დააწვინეს და აიძულეს ერთმანეთს პირობითად კი არა, ნამდვილად შეერთებოდნენ.

თუმცა მათ არავითარი კანონი არ აქვთ სამართლიან საკმე-ებზე ან შეცოდების მიმართ გაფრთხილებაზე, მაგრამ მაინც ზოგიერთი ტრადიცია აქვთ იმის შესახებ, რასაც ცოდვას უწოდებენ დარაც მათ მიერ ან მათი მამების მიერ არის მოგონილი. ერთი რომ ცოდვად ითვლება დანის ჩარჭობა ცეცხლში, ან სხვაფრივ დანით ცეცხლის შეხება, ან კიდევ დანით ხორცის ამოღება ქვაბიდან. ცოდვაა აგრეთვე ცეცხლის მახლობლად ცულით რისამე ჭრა, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ამრიგად თავი ანუ ძალა ერთმევა ცეცხლსო; აგრეთვე—ცხენის გასადენ მათრახზე დაყრდნობა (ისინი დეზებს არ ხმარობენ), ისრის შეხება მათრახით, ფრინველთა ბარტყების დაჭერა და მოკვლა, ცხენისთვის აღვირის დარტყმა, ძვალზე ძვლის გატეხა. შემდეგ ცოდვად ითვლება მიწაზე რძის ან სხვა რაიმე სასმელის თუ საკმელის დაღვრა, სადგომში შარღზე გასვლა: ვინც ამას განგებ ჩაიდენს, მას ჰკლავენ, სხვა შემთხვევაში კი ფული უნდა გადაუხადოს ჯადოქარს, რომელიც მათ გასწმენდს, ხოლო სადგომსა და ყოველივეს, რაც მასშია, ორ ცეცხლს შუა გაატარებს; მაგრამ ამ განწმენდამდე ვერავინ ვერ გაბედავს შიგ შევიდეს ან იქიდან რამე გამოიტანოს. აგრეთვე თუ ვინმემ პირში ლუკმა ჩაიდო, მისი გადაყლაპვა ვერ შესძლო და უკან გამოაგდო—მას სადგომის ქვეშ გაკეთებულ

ხერელში გაატარებენ და შეუბრალებლად მოჰკლავენ. ამგვარადვე ჰკლავენ იმას, ვინც ფეხს დაადგამს ამა თუ იმ მთავრის ზღურბლს. და მათ მრავალი აქეთ ამის მსგავსი, რის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ხოლო ადამიანების მოკვლა, სხვის ადგილ-მამულზე თავდასხმა, სხვისი ქონების მოტაცება სხვადასხვა უკანონო წესით, სხვა ადამიანების შეურაცხყოფა, მეძაგობა, ღვთის ბრძანებისა და მცნების წინააღმდეგ მოქმედება მათ შორის სრულიადაც ცოდვად არ ითვლება. საუკუნო ცხონებასა და საუკუნო წაწყმენდაზე მათ წარმოდგენა არ აქვთ. მაგრამ სწამთ, რომ სიკვდილის შემდეგ სხვა ქვეყანაში იცხოვრებენ, თავიანთ ჯოგებს გაამრავლებენ, სჭამენ, სვამენ და ყოველივე იმასვე გააკეთებენ, რასაც ამ ქვეყანაში ცოცხალი ადამიანები აკეთებენ.

ისინი გულმოდგინედ მისდევენ მკითხაობას საერთოდ, ბედის-ამოკითხვას ფრინველების გაფრენისა და ცხოველების შიგნეულობის მიხედვით, ჯადოქრობას და მისნობას. როდესაც მათ ეშმაკები პასუხს აძლევენ, ჰგონიათ თვით ღმერთი გველაპარაკებო. ამ ღმერთს ისინი იტოვას უწოდებენ, ხოლო კომანები<sup>11</sup>—ხანს, ესე იგი იმპერატორს. მათ საოცრად ეშინიათ და პატივისცემა აქვთ მისი, მრავალ მსხვერპლს და საჭმელ-სასმლის პირველ ნაწილებს სწირავენ და მისგან მიღებული პასუხების მიხედვით იქცევიან. ახალ საქმეს ახალ მთვარეს ან მთვარის დაცხრობაზე იწყებენ; ამიტომ მთვარეს დიდ იმპერატორს უწოდებენ, მის წინაშე მუხლს იღრეკენ და ლოცულობენ. მზეს მთვარის დედად სთვლიან, იმიტომ რომ ის მზისაგან სესხულობს სინათლეს. სხვათა შორის, მათ სწამთ, რომ ცეცხლი ყოველივეს სწმენდს, ამიტომ მათთან მისულ დესპანებს, დიდებულებსა და სხვა პირებს აიძულებენ ორ ცეცხლს შუა გაიარონ მოტანილი საჩუქრებითურთ, რათა მათ ვინმე არ მოაჯადოონ, მოწამლონ ან სხვა რაიმე ვნება არ მოიტანონ. აგრეთვე თუ ჯოგს ან ადამიანს მეხი დაეცა, რაც იქ ხშირი შემთხვევაა, ან ისეთი რამე მოხდა, რისგანაც ისინი თავიანთ თავს წაბილწულად ან უბედურად სთვლიან, თავი უნდა გაიწმინდონ. ჯადოსნის შემწეობით და, ასე ვთქვათ, მთელ თავის იმედს ასეთ პირებზე ამყარებენ.

თუ ვინმე მათგანი სასიკვდილოდ დაავადმყოფდა, მის სადგომში შუბს ამართავენ და შავ ქერას შემოახვევენ: ამის შემდეგ არავის გარეშეთაგანს არ შეუძლია მის სადგომში შესვლა. როცა ავადმყოფს სულთმობრძაობა ეწყება, ყველანი მას შორდებიან, იმიტომ რომ ვინც სიკვდილს დაესწრო, მთვარის გამოცვლამდე აღარ შეუძლია მთავრის ან იმპერატორის ურდოში შესვლა. სულის და ხორცის გაყრის შემდეგ, თუ მიცვალებული წარჩინებული პირი იყო, მას სადმე მინდოროში მარხავენ ფარულად; მასთან ერთად მარხავენ მის

სადგომსაც, რომლის შუაზე მას დასვამენ ხოლმე, ხოლო წინ უდგამენ მაგიდას, ხორცით სავსე ხონჩას და ცხენის რძით სავსე ქოთანს. მასთან ერთად ასაფლავებენ აგრეთვე კვიციან ჭაქს და ალვირამოდებულ, უნაგირიან ცხენს, ხოლო მეორე ცხენს სჭამენ, მის ტყავს კი ჩალით სტენიან და ორ ან ოთხ ლატანზე ათავსებენ, რათა საიქიოში მიცვალებულს სადგომი ჰქონდეს საცხოვრებლად, ჭაკი ცხენი ჰყავდეს რძის მისაღებად და მოსაშენებლად, აგრეთვე სხვა ცხენი საჯდომად. ხშირად დედაკაცები იკრიბებიან, რათა ძვლები დასწვან მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად, როგორც ეს ჩვენი საკუთარი თვალთ ვნახეთ ან სხვებისგან გავიგეთ. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, რომ ახლანდელი იმპერატორის მამამ, ოკოდაი ხანმა<sup>12</sup> ბუჩქი დარგო თავის სულის მოსახსენებლად და ბრძანება გასცა იქ არავის არაფერი მოეჭრა; თუ ვინმე რაიმე წნელს მოსჭრიდა, როგორც ჩვენ თვითონ ვნახეთ, მას ტანთ ხდიდენ და სასტიკად სცემდენ. თუმცა ძალიან გვეკირდებოდა ცხენის გადენა, მაგრამ ვერც ერთი წნელის მოჭრა ვერ გავბედეთ. მიცვალებულთან მარხავენ აგრეთვე ოქრო-ვერცხლს. ფორანს, რომლითაც ცხედარი მიაქვთ, ამტვრევენ, სადგომს ანგრევენ და ვერავინ ვერ ბედავს მიცვალბულის სახელის წარმოთქმას მესამე თაობამდე.

ზოგიერთ წარჩინებულ პირს სხვანაირადაც მარხავენ. ფარულად მინდორში გადიან, ბალახს სთხრიან ფესვიანად და ერთ დიდ თხრილს იღებენ, რომელსაც გვერდით მეორე ხვრელს უკეთებენ, სადაც მიცვალბულის გვამის ქვეშ მის საყვარელ მონას სდებენ; მას იქ იმდენ ხანს ამყოფებენ, სანამ თითქმის სულთმობრძაობა დაეწყებოდეს, შემდეგ ამოჰყავთ, რათა სული მოითქვას; ეს სამჯერ ხდება. თუ მან ეს აიტანა, თავისუფალი ხდება, რაც სურს იმას აკეთებს და პატივისცემ პირად იქცევა ურდოში და მიცვალბულის ნათესავებს შორის. მიცვალბულს კი გვერდით გამოთხრილ ხაროში სდებენ, თან ზემოხსენებულ ნივთებს ატანენ, შემდეგ მთელ საფლავს მიწით ავსებენ და წინანდებურად ბალახით ფარავენ, რათა მისი აღმოჩენა შეუძლებელი გახდეს. დანარჩენში ისევე იქცევიან, როგორც ზემოთ იყო მოთხრობილი.

მათ ქვეყანაში ორი სასაფლაოა. ერთზე მარხავენ იმპერატორებსა, მხედართმთავრებსა და კეთილშობილებს. სადაც უნდა დაიხოცნონ ისინი, აქ მოაქვთ, თუ ეს მოხერხდა. მათთან ერთად დიდძალ ოქრო-ვერცხლს მარხავენ. მეორე სასაფლაოზე ჰუნგრეთში დალუპულნი მარხიან, ვინაიდან იქ მრავალი მათგანი დაიხოცა. ამ სასაფლაოებთან მიახლოებას ვერავინ ბედავს, გარდა იქ მიყენებული დარაჯებისა. თუ სხვა ვინმე მიუახლოვდა, მას იჭერენ, ტანთ ხდიან და ჯოხით სცემენ შეუბრალებლად. ჩვენ ეს არ ვიცოდით და ერთ-

ხელ ჰუნგრეთში დახოცილთა სასაფლაოს საზღვრებში შევედით; დარაჯებმა ისრებით დახოცვა მოგვინდომეს, მაგრამ რადგან დესპანები ვიყავით და იქაურ ზნე-ჩვეულებებს არ ვიცნობდით, არაფერი დაუშავებიათ, ისე გაგვანთავისუფლეს.

მიცვალებულის ნათესაეები და მის სადგომებში მცხოვრებნი ცეცხლით უნდა განიწმინდონ. ეს განწმენდა შემდეგნაირად ხდება. ანთებენ ორ ცეცხლს და მათ მახლობლად ორ შუბს ასობენ, რომელთა თავებზე თოკია გაბმული; ამ თოკზე ბუკარანის ნაჭრებს აბამენ. ამ თოკისა და ნაჭრების ქვეშ ორ ზემოხსენებულ ცეცხლს შუა ადამიანებსა, პირუტყვისა და კარვებს ატარებენ. ერთი მხრით ერთი ქალი დგას, მეორეთი—მეორე, ისინი წყალს ასხურებენ და რალაც ჯადოსნურ სიტყვებს ბუტბუტებენ. თუ ამ დროს იქ ფორანი გატყდა, ან რამე ჩამოვარდა, ეს ჯადოსნები ლებულობენ. თუ ვინმე მეხმა მოჰკლა, ყველამ, ვინც მის სადგომებში ცხოვრობდა, ზემოაღწერილი წესით ცეცხლში უნდა განელოს. მისი კუთვნილი სადგომი, საწოლი, ქეჩები, ფორნები, ტანისამოსი და სხვა ხელუხლებელი უნდა დარჩეს და უწმინდურად ითვლება.

### თ ა შ ი მ ე ო ტ ხ ე

#### მათს კარგასა და ცუდს ზნე-ჩვეულებასა და მათს საჰამელზე

წესების აწერის შემდეგ საჭიროა ვილაპარაკოთ მათ ზნე-ჩვეულებაზე, რასაც შემდეგნაირად ვიზამთ. პირველად ვიტყვით კარგ ზნე-ჩვეულებებზე, მეორედ—ცუდზე, მესამედ—საჭმელზე.

ზემოხსენებული ადამიანები, ესე იგი თათრები, უფრო ემორჩილებიან თავიანთ ხელმწიფეს, ვიდრე სხვა რომელიმე ამ ქვეყნად მცხოვრები ადამიანები, საერონი თუ სასულიერონი, და ისეთ პატივს სცემენ მას, რომ თითქმის არასოდეს არ სტყუიან მის წინაშე. ერთმანეთს იშვიათად ან თითქმის სრულიად არ აგინებენ, ჩხუბი, შუღლი, კაცის დაჭრა, ცემა-ტყეპა, მოკვლა მათ შორის არასოდეს არ ხდება. ავაზაკები და ქურდები მათ შორის არ მოიპოვებიან; ამიტომ ისინი კლიტეებით და ურდულებით არ კეტავენ სადგომებს და ფორნებს, რომელშიც თავიანთ ქონებას ინახავენ. თუ რაიმე პირუტყვი დაეკარგათ, მისი აღმოჩენი ან იქვე დასტოვებს მას, ან ამისთვის საგანგებოდ დადგენილ ადამიანებს მიუყვანს; პირუტყვის პატრონები მას ამ უკანასკნელთ მოსთხოვენ და დაუბრკოლებლივ მიიღებენ. ერთმანეთს დიდ პატივს სცემენ და ყველანი მეგობრულად არიან ურთიერთ შორის და რაც უნდა ცოტა საჭმელი ჰქონდეთ, სიამოვნებით ინაწილებენ. იმდენად ამტანნი არიან, რომ თუნდ



ერთი-ორი დღე არაფერი ეჭამოთ, არავითარ მოუთმენლობას არ იჩენენ, არამედ მღერიან და მხიარულობენ, თითქო კარგად დანაყრებული იყვნენ. ცხენით მოგზაურობის დროს უდიდეს სიცივესა და სიცხეს იტანენ. ისინი განაზებული ადამიანები არ არიან. მათ არ აქვთ ერთმანეთის შური. სადავო საქმე მათ შორის თითქმის არასოდეს არ ტყდება. ერთიმეორე კი არ სძულთ, არამედ შეძლებისამებრ დახმარებას უწევენ. მათი ქალები უბიწოები არიან და არ გაგვიგონია, რომ ურცხვად იქცეოდნენ; მაგრამ ზოგიერთი მათგანი ხუმრობის დროს ცუდ და უწმაწურ სიტყვებს ხმარობს. ამბობება მათ შორის იშვიათად ან სრულიად არ ზდება; და თუმცა ბევრს სვამენ, სიმთვრალეში იშვიათად ილანძღებიან და იშვიათად ჩხუბობენ.

ახლა მათ ცუდ ზნე-ჩვეულებებზე უნდა ვილაპარაკოთ. ისინი ქედმაღლები არიან და ყველა სხვა ადამიანს ზიზლით უტკეპიან: ამიტომ თითქმის არაფრად სთვლიან არც კეთილშობილთ, არც არაკეთილშობილთ. ჩვენ იმპერატორის კარზე ვნახეთ რუსეთის დიდი მთავარი, კეთილშობილი იაროსლავი, აგრეთვე გეორგიის (საქართველოს) მეფის და დედოფლის ვაჟები<sup>13</sup>, მრავალი სულთანი და სულთანთა მხედართმთავრები, რომელთაც ისინი სრულიადაც მართებულ პატივისცემით არ ეპყრობოდნენ; რა დაბალი წოდებისაც უნდა ყოფილიყვნენ მათდამი მიყენებული თათრები, ისინი მათ წინ მიუძღოდნენ და ყოველთვის პირველ და მომადლო ადგილს იჭერდნენ, მათ კი ხშირად უკან სვამდნენ. სხვა ადამიანებთან შედარებით ისინი მეტად ფიცხნი და ბრაზიანი არიან. დედამიწაზე არ მოიპოვებიან მათი მსგავსი მატყუარები სხვების მიმართ, მათგან თითქმის ვერასოდეს მართალს ვერ გაიგონებთ. თავდაპირველად ისინი ალერსიანი არიან, მაგრამ ბოლოს მორიელეებით იკბინებიან. ვერაგები და მზაკვრები არიან და თუ მოახერხეს ყველას ეშმაკობით ატყუებენ. უსუფთაონი არიან ჭამა-სმაში და ყოველივე საქმეში. თუ უნდათ სხვა ადამიანებს აენონ, ამას საოცრად მალავენ, რათა შეუძლებელი გახდეს მათი ზრახვების გამოცნობა და მათი ვერაგობისაგან თავის დაფარვა. ლოთობა მათ შორის საქებარ საქმედ ითვლება და როცა ვინმე ბევრს დალევს, იქვე აღებინებს, მაგრამ თავისას არ იშლის და ხელახლა სმას იწყებს. ისინი მეტად ხარბნი და ძუნწნი არიან, დიდ ოსტატობას იჩენენ რისამე თხოვნაში, ამავე დროს კი ყოველივე თავისი მაგრად ხელში უჭირავთ და თითქმის არასოდეს არაფერს იძლევიან. სხვა ადამიანების მოკვლა მათთვის თითქმის არაფრად არ ითვლება. ერთი სიტყვით, მათში ისეთი ბევრი რამეა ცუდი, რომ აწერაც კი ძნელია.

სხვა ადამიანების საზოგადოებას იმდენად ვერ იტანენ, რომ მათთან ლაპარაკიც არ სურთ, და თამაშობა იქნება თუ სხვა რამე,

ყოველთვის მათი დაჯახბნა უნდათ. ამიტომ, როცა ერთხელ მათს ჯარში მყოფნი ორი ქრისტიანი ქართველი მათივე გაწვევით ხუმრობით ორ თათარს დაეჭიდა და ორივე დასცა, მაგრამ ისე კი, რომ მათთვის არაფერი დაუშავებიათ, სხვა თათრები გაბრაზდნენ, ქართველებს გააფთრებით ეცნენ, თითოს თითო ხელი მოგლიჯეს და დაამტვრიეს.


ისინი იმდენად ხარბები არიან, რომ როგორც კი რაიმე ნივთი მოეწონებათ, მაშინვე პატრონს ჩააცვივდებიან, რათა საჩუქრად მიიღონ ან ძალით ართმევენ. ფულს ავახშებენ ისე, რომ ათს დინარში თვეში ერთ დინარს ღებულობენ<sup>14</sup>... ამიტომ ერთი მხედარი საქართველოში, რომელმაც თათრებიდან 500 ჰიპერპერი<sup>15</sup> ისესხა, ხუთი წლის შემდეგ იძულებული გახდა მათთვის 7000 ჰიპერპერი სარგებელი მიეცა. აგრეთვე ერთმა თათრის ქალბატონმა ვილაცას სესხად 50 ცხვარი მისცა და 7 წლის შემდეგ 7000 ჰიპერპერი სარგებელი მოსთხოვა, ხოლო ეს უკანასკნელი იძულებული იყო ეს გადაეხადა. გარდა ამისა, ისინი თავიანთ მენარკეებს გადასახადებით ტვირთავენ, როგორც, მაგალითად, დაბეგრეს ანაგის მიწა, რომელიც წარჩინებულ ბარონს ეკუთვნის. ერთი რომ ხანი თავის ხარკს ღებულობს, 15 დრახმას ან ასპერს<sup>16</sup> მაინც, რომელიც კარგი 30 სტერლინგი<sup>17</sup> ღირს; მეორედ—განსაკუთრებული მფლობელი, მესამედ—ოლქის მმართველი, მეოთხედ—საზეიმო ელჩები, მეხუთეა კერძო ძღვენის მირთმევა. გზად მიმავალ მალემსრობოლთ ცხენები და ხარჯი უნდა მიეცეთ. ამას გარდა თითოეული მუშა გლეხისაგან სამ ასპერს ღებულობს, თითოეული ხარისა და ყოველი ექვსი ცხვარისგანაც სამსამ ასპერს.

თუმცა მათ უდიდესი ცხვრის ფარები ჰყავთ, მაგრამ ძალიან უყვართ მათი გამრავლება; ზედმეტი სიძუნწისაგან კი იშვიათად ან სრულიად არ სჭამენ ჯანსაღ ან ცოცხალ პირუტყვს, არამედ შეეცევიან მკვდარს, მომაკვდავს, დასახიჩრებულს ან ავადმყოფს. თუმცა მათ კარვებში ხშირად ყოველივე უხვად მოიპოვება, მაგრამ ისინი არ ეხმარებიან ღარიბებსა და მათხოვრებს. მხოლოდ ერთი რამაა მათში საქები, რომ თუ ვინმე სადილად ან ვახშმად შეეცწრო, მას სიამოვნებით უნაწილებენ თავიანთ საქმელს.

გაბრაზების დროს დიდად თავშეუკავებელი არიან: ჩვენო, ამბობენ ისინი, მოისარის მიერ გატყორცნილ ისარს ვგევართ, რომელიც არ გაჩერდება, სანამ გადაულახავ დაბრკოლებას არ დაეჯახებაო. ისინი ყოყოობენ თავიანთი მრავალრიცხოვნობით და ფიქრობენ, რომ არავითარ ხალხს არ შეუძლია მათ წინააღმდეგობა გაუწიოს: იმიტომ, ამბობენ ისინი, რომ ჩვენ დიდ მდინარეს ვგევართ, რომელიც გაუვალია თავისი არაჩვეულებრივი სიღრმის გამო

2. მასალები საქართვ. და კავკ. ისტორიისათვის, 1942 წ. ნაკვ. II.

1999  
 11/11/11



და თავის მიმდინარეობაში ყოველ დაბრკოლებას სძლევეს, თუმცა მისი სათავე პატარაა და ის თავის წყლებს სხვა ნაკადულებსაც უნაწილებსო. თვით უმცირესი მათი მოსამსახურეები ქალებს იტაცებენ მათ მიერ დაპყრობილ ქალაქებში, საქართველოში, თურქეთში, სპარსეთში, დიდსა და მცირე სომხეთში, გარდა იმისა, რასაც მათ ქალაქები და სოფლები აძლევენ. იგივე მოსამსახურეები და მალემსრობლები, თუ მათ ცხენები არ ჰყავთ, გზად მომავალ ცხენოსანს აიძულებენ ძირს ჩამოხტეს, ხოლო ცხენს სადაც სურთ, იქ წაიყვანენ. თათრები არაჩვეულებრივად თავშეუყავებელი არიან, დაუცხრობელი ავხორცობით არიან შეპყრობილნი და ყოველგვარ პირუტყვში ირევიან სარაციინების მსგავსად, რომელთაც ყოველთვის მოდებული ჰქონდათ სოდომური ცოდვა, თათრებს შორისაც გავრცელებული.

ისინი ისეთი სასტიკები არიან, რომ არავითარ სიბრაულს არ გრძნობენ არც მოხუცებისს, არც ბალებსისადმი. სისხლის დაღვრას ისინი ისე უტკებრიან, როგორც წყლის დაღვრას, ხოლო ადამიანთა გართხმულ გვამებს ნაკელის გროვად. სთვლიან. მათი დაუცხრობელი სურვილია არა რომელიმე ერთი ხალხის მოსპობა, არამედ საქრისტიანოს და ყოველივე სხვა ადამიანების გაუფლტა. ისინი ყოყოჩობენ ადამიანთა დახოცვით და სულიერად მეტისმეტად სტკებნიან, როცა ბევრ ადამიანს ჰკლავენ: ზოგს მთიდან აგდებენ, ზოგს თავს ქვაზე დაადებინებენ და ქვით უჭეჭყავენ ტვინის დანთხევამდე, სხვებს კიდევ ქვის ხერხით კისერს სჭრიან. როცა სახლებში შედიან, იქ მცხოვრებთ, რომელნიც ცოცხალმკვდარნი არიან შიშისგან, გულში დანას ურჭობენ, და იმ დროს, როცა მსხვერპლი სისხლიდან იცლება; ისინი სხდებიან, სჭამენ და სვამენ, დრო და დრო ხელახლა ჭრილობებს აყენებენ და ამბობენ: აქ იწეკით ჩვენო მტრებო.

ისინი სჭამენ ყველაფერს, რის დაღეჟვაც კი შეიძლება: ძაღლებს, მგლებს, ძელიებს, ცხენებს, გაჭირვების დროს ადამიანის ხორცსაც. ერთხელ, როდესაც იმათ ალყა შემოარტყეს ჩინეთის ქალაქს, სადაც იმ ხალხის იმპერატორი იმყოფებოდა, მათ ხანგრძლივ ალყაში დგომის გამო ყოველივე სურსათი გამოვლიათ; ამიტომ ყოველი ათი კაციდან თითოს ღებულობდნენ შესაჭმელად. სჭამენ ჭაკის ბადეს, რომელშიც ახლადშობილი კვიცია გახვეული. ჩვენ დავიანახეთ; რომ ისინი თვით ტილებსა და თავგებს სჭამენ. სუფრებსა და ხელსახოცებს არ ხმარობენ. არც პური აქვთ, არც მწვანილი და მოსტენული და არც სხვა რამე, გარდა ხორცისა და იმასაც ისე ცოტას სჭამენ, რომ სხვა ხალხები იმით ძლივს გაძლებდნენ.

ხელები ძალიან უჭუჭყიანდებათ ქონით: როცა გაძლებიან, ჩექმებზე, ბალახზე ან რაც მოხვდებათ იმაზე იწმენდენ; მაგრამ წარჩი-



წებულთ აქეთ რაღაც ჩერები, რომლითაც გაძღომის შემდეგ ხელებს იწმენდენ. ერთი რომელიმე მათგანი საჭმელს სჭრის, ხოლო მერე წაჭრებს დანის წვერით ილებს და ყველას ურიგებს, ზოგს მეტს, ხოლო ზოგს ნაკლებს, იმისდა მიხედვით თუ რამდენად უნდათ პატივისცემა. ჭურჭელს არ რეცხენ, ხოლო თუ ხანდახან ხორცის წვეწვანს გამოავლებენ, ხორცთან ერთად ისევ ქოთანში ასხამენ. ასევე რეცხენ ქოთნებს, ქვაბებს და სხვა სამზარეულო ჭურჭელს. დიდ ცოდვად სთვლიან რისამე გადავდებას საჭმელ-სასმელიდან; ამიტომ ძვლებსაც არ უყრიან ძაღლებს, სანამ ტენის არ გამოსწუწნიან. ტანისამოსსაც არ რეცხავენ და არ არეცხინებენ, განსაკუთრებით თუ ქუხილი დაიწყო, სანამ ის გაივლიდეს.

როცა ცხენის რძე აქეთ, მეტისმეტად ბევრს სვამენ; ეტანებიან აგრეთვე ცხერის, თხის, ძროხისა და აქლემის რძეს. ღვინო, ლუდი და თაფლი არ აქეთ, თუ სხვა ხალხებისაგან არ მოიტანეს ან საჩუქრად არ მიიღეს. ზამთარში არავის, გარდა მდიდრებისა, ცხენის რძე არ აქვს. ისინი ფეტვს ხარშავენ წყლით და ისე თხლად, რომ მისი შეჭმა კი არა, მხოლოდ შესმა შეიძლება; თითოეული მათგანი ერთ ან ორ ჩამჩას სვამს დილით და შემდეგ მთელ დღეს არაფერს სჭამს, საღამოთი თითოეულს ცოტაოდენი ხორცი და ხორცის წვენი ეძლევა; ზაფხულობით კი, რადგან ამ დროს ცხენის რძე უხვადაა, ხორცს ნაკლებ სჭამენ, თუ შემთხვევით ვინმემ არ აჩუქათ ან ნადირი თუ ფრინველი არ დაიჭირეს.

კანონად თუ ჩვეულებად აქეთ ქალ-ვაჟი დახოცონ თუ აშკარა მრუშობაზე წაასწრეს. აგრეთვე ჰკლავენ მეძვე ქალს მამაკაცთან ერთად, რომელთანაც ის ცხოვრობს. თუ თავიანთ სამფლობელოში ვინმეს მძარცველობაზე ან აშკარა ქურდობაზე მიუხსწრეს, შეუბრალებლად ჰკლავენ. აგრეთვე ვინც მათ განზრახვას გამოამჟღავნებს, განსაკუთრებით როცა ომში წასვლას აპირებენ, იმას უკანთან ჯონს ასჯერ არტყამენ ისეთი ძალით, როგორითაც-გლეხს შეუძლია დიდი კეტი დაარტყას. აგრეთვე როცა ვინმე უმცროსთაგანი რაიმეს აშავებს, უფროსები მას სასტიკად სცემენ. ხასიდან და ცოლიდან შეძენილ შვილებს ერთმანეთში არ ანსხვავებენ: თითოეულ მათგანს მათი მამა იმას აძლევს, რაც სურს, და თუ მამა თავადთ გვარიდანაა, მისი ხასის ვაჟიც თავადი გახდება, ისევე როგორც მისი კანონიერი ცოლის ვაჟი. რამდენი ცოლიც უნდა ჰყავდეს თათარს, თითოეულ მათგანს თავისი სადგომი და ოჯახი აქვს, ერთ დღეს ის ჰვამს, სვამს და იძინებს ერთ ცოლთან. მეორე დღეს მეორესთან. მაგრამ ერთ-ერთი ცოლი უფროსად ითვლება და მასთან ის უფრო ხშირად ცხოვრობს ვიდრე სხვებთან. ესეცაა, რომ რამდენიც უნდა იყვნენ, ცოლები იშვიათად ჩხუბობენ ერთმანეთში.

მამაკაცები სრულიად არაფერს არ აკეთებენ გარდა ისრებისა, აგრეთვე ნაწილობრივ ჯოგს უთვალყურებენ: უყვართ ნადირობა და სროლა, ამიტომ ყველანი, დიდიდან პატარამდე, მარჯვე მსროლელები არიან. როცა მათს ბავშვებს ორი-სამი წელი შეუსრულდებათ, მაშინვე ცხენზე ჯდომასა და ჭენებას სწავლობენ; მათ მშვილდს აძლევენ ასაკის მიხედვით და სროლას ასწავლიან. ისინი მეტად მარჯვენი და გამბედავნი არიან. გოგოებიც და ქალებიც ცხენებზე სხდებიან და მიჭენობენ მამაკაცებივით. ჩვენ გვინახავს, რომ ისინი მშვილდებსა და კაპარჭებს ატარებდნენ. როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს დიდ ხანს შეუძლიათ ცხენით მრგზაურობა. მათ მეტად მოკლე უხანგები აქვთ. ცხენებს გულმოდგინედ უვლიან და საზოგადოდ მეტად მომჭირნნი არიან. მათი ქალები ყველაფერს აკეთებენ: შუბებს, ტანისამოსს, ფეხსაცმელებს, ჩექმებს და ყოველივე ტყავის ნაწარმოებს, მართავენ ფორნებს და ახდენენ მათ შეკეთებას, ტვირთავენ აქლემებს. ისინი ყველანი მეტად ხელმარჯვენი და მარდნი არიან მუშაობაში. ყველანი შარვლებს იცვამენ, ხოლო ზოგიერთნი ისრებს ისვრიან მამაკაცებივით.

არც ერთი თათარი ფეხით არ დადის, ყველანი, თვით უკანასკნელი მსახურები ცხენზე ან ხარზე სხდებიან; რადგან მეტად მოკლე ფეხები აქვთ, უსწორმასწორო ნაბიჯით დადიან და ისიც ცოტა ხანს. თავიანთ ცხენებს არ ჭედავენ და ქერს არ აჭმევენ. საუკეთესო გასართობად და ვარჯიშობად ჭიდაობასა და ისრის სროლას სთვლიან. სხეულით ქრისტიანებზე უფრო სუსტები არიან. საოცარი მონადირეები არიან. ნადირობის დროს ვიწრო წრეს ჰქმნიან, ამრიგად ნადირს გარს უვლიან და ისრებით ხოცავენ და აჭერენ.

### თ ა ვ ი მ ი ხ შ ი თ

#### თათართა სახელმწიფოს დასაწყისზე, მათს მთავრებზე, იმპერატორის და მისი მთავრების ხელისუფლებაზე

ვილაპარაკეთ რა ზენ-ჩვეულებებზე, უნდა შევეხოთ მათ იმპერიას: პირველად მის დასაწყისს, მეორედ—მათს მთავრებს, მესამედ—იმპერატორის და მთავრების ხელისუფლებას.

არის ერთი მიწა აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ და რომელსაც მონღოლი ჰქვია. ამ მიწაზე ოდესღაც ოთხი ხალხი ცხოვრობდა: ერთს მათგანს იეკა-მონღოლები, ესე იგი დიდი მონღოლები ერქვა, მეორეს—სუ-მონღოლები, ესე იგი, წყლის მონღოლები, რომელნიც თავიანთ თავს ტარტარებს<sup>18</sup> უწოდებენ, ერთი მდინარის მიხედვით, რომელიც მათ ქვეყანაში გადი-

ოდა და ტარტარის სახელწოდებით იყო ცნობილი; მესამეს მერკიტი ერქვა, ხოლო მეოთხეს მეგრიტი. ყველა ამ ხალხს ერთი და იგივე სახის მოყვანილობა და ერთი ენა ჰქონდა, თუმცა სხვადასხვა ხელმწიფე ჰყავდათ და სხვადასხვა ოლქში ცხოვრობდნენ.

იეკა-მონღოლების ქვეყანაში იყო ვინმე კაცი, რომელსაც ჩინგიზი ეწოდებოდა. ის იქცა ძლიერ მებადურად ღვთის წინაშე, ვინაიდან ადამიანებს ასწავლა ქურდობა, ავაზაკობა, ძარცვა-გლეჯვა; აგრეთვე ის დადიოდა სხვა ქვეყნებში და ხელიდან შემთხვევას არ უშვებდა ადამიანები მოეტაცნა და შეეერთებინა: თავისი თანამეტომენი კი ისე მიიზიდა, რომ ისინი ყოველ ბოროტ მოქმედებაზე უკან მიჰყვებოდნენ როგორც თავიანთ წინამძღოლს. მანვე დაიწყო ომი შუ-მონღოლებისა ანუ თათრების წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც მრავალი ადამიანი დააგროვა, მოჰკლა მათი მთავარი და მრავალი ბრძოლის შემდეგ მთელი თათრობა დაიპყრო და დაიმონა. ამის შემდეგ მათთან ერთად თავს დაესხა მერკიტებს, რომლებიც თათრების ქვეყნის მახლობლად ცხოვრობდნენ და ისინიც დაიმორჩილა. იქიდან მეგრიტების წინააღმდეგ გაილაშქრა, რომელნიც აგრეთვე დაამარცხა.

რა რომ ნაიმიანებმა გაიგეს, რომ ჩინგიზი ასე ამალდა, დიდად აღშფოთდნენ, ვინაიდან თვით მათ წინათ მეტად მამაცი იმპერატორი ჰყავდათ, რომელსაც ყველა ზემოხსენებული ხალხი ხარკს აძლევდა. მისი აღსრულების შემდეგ მისი ადგილი მისმა ვაჟებმა დაიჭირეს: მაგრამ ისინი ახალგაზრდები და უგუნურები იყვნენ და არ იცოდნენ ხალხის დამორჩილება, ერთმანეთში კი უთანხმოება და შუღლი ჰქონდათ; ამიტომ, როდესაც ჩინგიზი ასე ამალდა, ისინი თავს ესხმოდნენ ზემოხსენებულ ქვეყნებს, ხოცავდნენ მამაკაცებს, ჯდაცავენ და ბავშვებს და ნადავლი მიჰქონდათ. როცა ჩინგიზმა ეს გაიგო, თავი მოუყარა ყველა თავის ქვეშევრდომს. მეორე მხრით ნაიმიანებიც და ყარა-ჩინელებიც<sup>19</sup>, ესე იგი შავი ჩინელებიც აგრეთვე მრავლად შეიკრიბნენ ორ მთას შუა მოქცეულ ვიწრო ხეობაში, რომელიც ჩვენ განვვლეთ, როცა მათ იმპერატორთან მივემგზავრებოდით. დაიწყო დიდი ბრძოლა, რომელშიც ნაიმიანები და ყარა-ჩინელები დამარცხებულ იქნენ მონღოლების მიერ. მათი დიდი ნაწილი გაიჟლიტა, ხოლო ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, დამონებულ იქნა.

ზემოხსენებული ყარა-ჩინელების მიწაზე ჩინგიზ-ყაენის ვაჟმა ოკოდაიმ, მას შემდეგ რაც ის იმპერატორი გახდა, ააშენა ქალაქი, რომელსაც ომილი უწოდა<sup>20</sup>. მის მახლობლად სამხრეთით არის დიდი უდაბნო<sup>21</sup>, სადაც, როგორც დანამდვილებით ირწმუნებიან, ველური ადამიანები ცხოვრობენ; ისინი თურმე სრულად არ ლაპარაკობენ, ფეხებზე სახსრები არ აქვთ, ისე რომ თუ მიწაზე დაეც-

ნენ, სხვის დაუხმარებლად ვერ აღგებთან; მაგრამ იმდენი მოსაზრება ჰქონიათ, რომ აქლემის ბეწვიდან ქეჩებს აკეთებენ, რომელსაც ტანზე იცვამენ და ქარის წინააღმდეგ სდგამენ; თუ თათრები თავს დაესხნენ და ისინი ისრებით დაკოდეს, კრილობებზე ბალახს იღებენ და საჩქაროდ გარბიან მტრებისაგან.

ხოლო მონღოლები თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ, ჩინელების საწინააღმდეგო ომისათვის მოემზადნენ, ბანაკიდან აიშალნენ და მათს ქვეყანაში შეიქრნენ. ეს რომ ჩინელების იმპერატორმა გაიგო, მათ წინააღმდეგ გამოვიდა მთელი თავისი ლაშქრით: დაიწყო მკაცრი ბრძოლა, რომელშიც მონღოლები დამარცხებულ იქნენ, ხოლო მონღოლთა ყველა წარჩინებული პირი მოკლულ იქნა, გარდა შვიდისა. ამიტომ როდესაც დღეს მათ ვინმე მუქარით ეუბნება, თქვენ დაგხოცენ თუ ამა და ამ ქვეყანაში შეხვედით, ვინაიდან იქ მრავალი ხალხი ცხოვრობს და ბრძოლაში გამოსადეგი ადამიანები მოიპოვებიანო, ისინი უპასუხებენ: „ერთხელაც გავგვლიტეს, ჩვენ მხოლოდ შვიდნი გადავრჩით, მაგრამ ახლა უზარმაზარ ხალხად ვიქცეთ, ამიტომ ჩვენ არ გვაშინებს ასეთი რამეები“. ჩინგიზი კი სხვა ვადარჩინილებთან ერთად თავის ქვეყანაში წავიდა.

ცოტაოდენი დასვენების შემდეგ ჩინგიზმა ხელახლა საომრად მზადება დაიწყო და ჭურების ქვეყანას დაესხა: ეს ხალხი ნესტორიანული სექტის ქრისტიანებია; მონღოლებმა ისინიც დაამარცხეს და მათი ანბანი მიიღეს, მანამდე კი მათ არავითარი დამწერლობა არ ჰქონიათ; ამჟამად კი ამ დამწერლობას მონღოლურს უწოდებენ.

აქედან ჩინგიზი სარი ჭურების<sup>22</sup> ქვეყნის, კარანიტების ქვეყნის, ვოირატების ქვეყნის<sup>23</sup> და კომანების ქვეყნის<sup>24</sup> წინააღმდეგ წავიდა, ყველა ისინი დაიპყრო და თავის ქვეყანაში დაბრუნდა.

ცოტაოდენი დასვენების შემდეგ მან ზემოხსენებული ხალხებო შეაგროვა, ჩინელების წინააღმდეგ გაილაშქრა და ხანგრძლივი ომის შემდეგ მათი მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი დაიპყრო, ხოლო ჩინეთის იმპერატორი მის მთავარ ქალაქში შეამწყვდია. ამ ქალაქის ალყა ისე დიდხანს გაგრძელდა, რომ მონღოლების ჯარს სურსათი შემოაკლდა; როცა საკვები სულ აღარ იყო, ჩინგიზ-ყენმა ბრძანება გასცა, რომ მათ ყოველი მეათე კაცი მიეცათ შესაქმელად. მოქალაქეები კი ვაჟკაცურად იცავდნენ თავს ისრებითა და მანქანებით, ხოლო როდესაც ქვები გამოვლიათ, ვერცხლის სროლა დაიწყეს, განსაკუთრებით გამდნარი ვერცხლის, ვინაიდან ეს ქალაქი დიდი სიმდიდრით იყო აღსავსე. რადგან თათრებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ქალაქის დაძლევა ვერ შესძლეს, მიწის ქვეშ დიდი ხვრელი გასჭრეს თავიანთი ბანაკიდან შუაგულ ქალაქამდე, სადაც უცებ მიწიდან ამოცვინდნენ და ბრძოლა აუტეხეს მოქალაქეებს, რომელნიც ამას სრუ-

ლიად არ ელოდნენ; ქალაქს გარეთ დარჩენილებიც აგრეთვე იბრძოდნენ, მათ კარიბჭე შემუსრეს, იმპერატორი და მრავალი ადამიანი დახოცეს, ქალაქს დაეპატრონნენ და ოქრო, ვერცხლი და სხვა სიმდიდრე გაიტაცეს. ამ შემოხსენებული ჩინეთის მიწა-წყალზე მათ თავიანთი ადამიანები დააყენეს და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდნენ. და პირველად ჩინეთის იმპერატორის დამარცხების შემდეგ, შემოხსენებული ჩინგიზ-ყაენი იმპერატორი გახდა<sup>25</sup>. ჩინეთის ქვეყნის ერთი ნაწილი კი, რომელიც ზღვის პირას ძევს, მათ დღემდე ვერ დაიპყრეს.

შემოხსენებული ჩინელები კი კერპთაყვანისმცემლები არიან. მათ განსაკუთრებული დამწერლობა აქვთ. ამბობენ, რომ მათ ძველი და ახალი აღთქმაც აქვთ, წმინდანთა ცხოვრებაც; მეუღაბნოებიც ჰყავთ და ტაძრების მსგავსს სახლებსაც აშენებენ, სადაც თავის დროზე ლოცულობენ და რაღაც წმინდანებიც ჰყავთო. თაყვანს სცემენ ერთს ღმერთს, ჩვენს უფალს იესო ქრისტეს და საუკუნო ცხოვრება სწამთ, მაგრამ არ ინათლებიან. ჩვენს საღმრთო წერილს პატივს სცემენ, ქრისტიანები უყვართ და მრავალ მოწყალებას სჩადიან; მშვიდნი და ადამიანთ მოყვარულნი სჩანან. წვერი არ აქვთ და სახის მოყვანილობით ძალიან წააგავან მონღოლებს, მხოლოდ ისეთი ფართო სახეები არ აქვთ. განსხვავებული ენა აქვთ. მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებიან მათზე ხელმარჯვე ოსტატები ყველა იმ ხელობაში, რომელსაც ჩვეულებრივ ადამიანები მისდევენ. მათი მიწა-წყალი მეტად მდიდარია პურით, ღვინით, ოქროთი, ვერცხლით, აბრეშუმით და ყველა ნივთით, რომელიც ადამიანის ბუნების გამოკვებას ემსახურება.

ცოტაოდენი დასვენების შემდეგ მან თავისი ჯარი გაჰყო. ერთი თავისი ვაჟი ტოსუხი<sup>26</sup>, რომელსაც აგრეთვე ხანს ანუ იმპერატორს უწოდებდნენ, მან ჯარით კომანების წინააღმდეგ გაგზავნა: ისინი ტოსუხმა ხანგრძლივი ომის შემდეგ დაამარცხა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა. მეორე თავისი ვაჟი ჯარითურთ მან ინდოელების წინააღმდეგ გაგზავნა; მათ დაიპყრეს მცირე ინდოეთი. ეს შავი სარაციონები არიან, რომელთაც ეთიოპებს უწოდებენ. იმავე ჯარმა გაილაშქრა ქრისტიანების წინააღმდეგ, რომელნიც დიდ ინდოეთში ცხოვრობენ. როცა ამ ქვეყნის მეფემ, რომელსაც ხალხში იოანე ხუცესს უწოდებენ<sup>27</sup>, ეს გაიგო, მან ჯარი შეაგროვა და მათ წინააღმდეგ გაემართა. მან სპილენძის ადამიანები გააკეთებინა, მათში ცეცხლი გააღვივებინა, ისინი უნაგირიან ცხენებზე შეასმევინა, ხოლო უკან საბერველებით აღჭურვილი კაცები დაასმევინა. ამრიგად მომზადებული სპილენძის ადამიანებით და ცხენებით ისინი თათრების წინააღმდეგ გამოვიდნენ საბრძოლველად. როცა ბრძოლის ადგილას მი-



ვბრუნდნენ, ეს ცხენები წინ გაუშვეს ერთი-მეორის გვერდით, ხოლო უკან მჯდომარე ადამიანებმა არ ვიცი რაღაც დააყარეს სპილენძის ფიტულებში ანთებულ ცეცხლს და ძლიერად დაჰბერეს საბერველებით. ამის გამო თითქო ბერძნულმა ცეცხლმა მტრის ჯარისკაცები და ცხენები შეტრუსა, ხოლო ჰაერი დააბნელა. მაშინ მათ ისრები დააყარეს თათრებს, რომლებიც მრავლად დახოცეს და დაკოდეს, და ამრიგად, თავიანთი საზღვრებიდან გარეკეს დიდად აშლილნი; ჩვენ არასოდეს გავგიგონია, რომ ისინი ხელახლა იქ დაბრუნებულ-ოყვნენ.

როცა თათრები უდაბნოს გზით უკან ბრუნდებოდნენ, რაღაც ქვეყანაში მივიდნენ, სადაც, როგორც იმპერატორის კარზე მყოფი რუსი კლირიკოსები და სხვა დიდხანს იქ მცხოვრები ადამიანები გვარწმუნებდნენ, რაღაც მახინჯი არსებანი ნახეს, რომელთაც ქალების სახე ჰქონდათ. როცა მრავალი თარჯიმანის პირით მათ იკითხეს, სად არიან ამ ქვეყნის მამაკაცებიო, მონსტრმა ქალებმა უპასუხეს, ყველა დედაკაცი აქ ადამიანის სახით იბადება, მამაკაცებს კი ძალღის სახე აქვთო<sup>28</sup>. რადგან თათრებმა ამ ქვეყანაში დააყოვნეს, მდინარის მეორე ნაპირას ძალღი მამაკაცები შეგროვდნენ, და თუმცა სუსხიანი ზამთარი იდგა, ყველანი წყალში ჩაცვინდნენ, რის შემდეგაც მტვერში ამოიგანგლნენ, ისე რომ წყალში არეული მტვერი მათს ტანზე გაიყინა. ამის რამდენჯერმე განმეორების შემდეგ ისინი სქელმა ყინულმა დაჰფარა; მაშინ მათ თათრებზე იერიში მიიტანეს დიდი სისწრაფით. ეს უკანასკნელი მათ ისრებს ტყორცინდნენ, მაგრამ ისრები უკან ცვიოდნენ, თითქო ქვას მოხვდნო; თათრებმა მათ ვერც სხვა იარაღით დააკლეს რაიმე. ძაღლები კი უტევდნენ და კბენდნენ მათ, მრავალი დახოცეს და თავიანთი საზღვრებიდან გარეკეს. აქედან წარმოსდგება მათი ანდაზა: „მამაშენი ან შენი ძმა ძაღლებს მოკლულია“. იქ დატყვევებული ქალები თათრებმა თავიანთ ქვეყანაში წამოიყვანეს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ სიკვდილამდე.

სანამ ის ჯარი, სახელდობრ მონღოლებისა, უკან დაბრუნდებოდა, ის მივიდა ბურიტაბეტის ქვეყანაში<sup>29</sup>, რომელიც ომში დაამარცხა. იქაური მცხოვრებლები კერპთთაყვანისმცემლები არიან, რომელთაც უცნაური, უკეთ ვთქვათ, შესაბრაალისი ჩვეულება აქვთ. როგორც დავგარწმუნეს, როცა იქ ვინმეს მამა მოუჟღებდა, ისინი მთელ ნათესაობას უყრიან თავს და გვამს სჭამენ. მათ წვერი არ აქვთ, ხოლო თუ ვინმეს როგორმე თმის ღერი გაეზარდა, რაღაც რკინით იგლეჯს, რომელსაც, როგორც ჩვენ ვნახეთ, ისინი მუდამ ხელში ატარებენ; ისინი მეტისმეტად მახინჯები არიან. იქიდან თათრის ჯარი თავის ქვეყანაში დაბრუნდა.

იმ დროს, როცა ჩინგიზ-ყაენმა სხვა ჯარები აღმოსავლეთით გაგზავნა, თითონ ყერგისის ქვეყანაში<sup>30</sup> გაემგზავრა, მაგრამ იმ დროს ვერ დაიპყრო, არამედ, როგორც გვიამბეს, კასპიის მთებამდე მიაღწია. ეს მთები კი ამ ადგილას, სადაც ისინი მივიდნენ, ანდამატის ქვისაგან შედგებოდა თურმე, ამიტომ მათს ისრებსა და რკინის იარაღს იზიდავდა. მათ ნახეს ადამიანები, რომელნიც კასპიის მთებს შუა იყვნენ მომწყვდეულნი და რომელთაც ის მთები გაემტვრიათ; მაგრამ თათრების წინ რაღაც ღრუბელი იდგა, რომელსაც ისინი ვერასგზით ვერ მიუახლოვდნენ, იმიტომ რომ მიახლოების-თანავე იხოცებოდნენ.

მაგრამ სანამ ზემოხსენებულ მთებს მიაღწევდნენ, თვეზე მეტს ვრცელ უდაბნოში დადიოდნენ. იქიდან კიდევ ერთ თვეზე მეტი აღმოსავლეთისკენ იარეს, დიდი ტრამალი განვლეს და რაღაც ქვეყანას მიადგნენ, სადაც, როგორც სარწმუნოდ გვითხრეს, ნავალი გზები ნახეს, თუმცა ვერც ერთი ადამიანი ვერ აღმოაჩინეს. მაგრამ ძებნაში ისეთი გულმოდგინება გამოიჩინეს, რომ ბოლოს ერთი კაცი იპოვეს ცოლით, რომელნიც ჩინგიზ-ყაენს მიჰგვარეს. როცა მან ჰკითხა, სად არიან ამ ქვეყნის ადამიანებიო, მათ უპასუხეს, მიწაში ცხოვრობენ მთებს ქვეშო. ჩინგიზ-ყაენმა ცოლი დააკავა, ხოლო ქმარი თავისი მოციქულებითურთ მათთან გაგზავნა სათქმელად, რომ ისინი მასთან მისულყვნენ. მათთან მისვლისთანავე გაგზავნილებმა მათ ჩინგიზ-ყაენის ნაბრძანევი გადასცეს. ამაზე მათ უპასუხეს, რომ მის ბრძანებას შევასრულებთ და ამა და ამ დღეს მოვალთო; მაგრამ იმავე დროს მიწის ქვეშ გათხრილი ფარული გზებით შეიკრიბნენ. თათრების წინააღმდეგ გაილაშქრეს, მოულოდნელად თავს დაესხნენ და მრავალი დახოცეს. ამიტომ ჩინგიზ-ყაენი მისი ჯარითურთ გაიქცა იმ ქვეყნიდან; ზემოხსენებული მამაკაცი და დედაკაცი მან თან წაიყვანა, ისინი სიკვდილამდე თათრების ქვეყანაში ცხოვრობდნენ. როდესაც მათ ჰკითხეს, რატომ ცხოვრობთ მიწის ქვეშო, მათ უპასუხეს, ხანდახან წლის განმავლობაში მზის ამოსვლის დროს ისეთი ხმაურობა ატყდება, რომ მისი ატანა შეუძლებელია და ჩვენ დაი-რასა და დაფდაფებს ვურტყამთ, რათა ის ხმაურობა არ გავიგონოთო.

როცა ჩინგიზი იმ ქვეყნიდან ბრუნდებოდა, მათ სანოვაგე შემოაკლათ და საშინელი შიმშილი დაიწყო. ამ დროს მათ ხელში ჩაუვარდათ რაღაც ახლადმოკლული ცხოველის შიგნეული, რომელიც გაწმინდეს, მოხარშეს და ჩინგიზ-ყაენს მიართვეს, ხოლო მან ის შეჭამა თავისიანებთან ერთად. ამ შემთხვევის გამო მან დააწესა, რომ პირუტყვისაგან არაფერი გადააგდონ, რის ჭამაც კი შეიძლება, არც სისხლი, არც შიგნეული, არც სხვა რამ, გარდა განავალისა.

იქიდან ის თავის ქვეყანაში დაბრუნდა, სადაც მრავალი კანონი და დადგენილება გამოსცა, რომელთაც თათრები მტკიცედ იცავენ. ჩვენ მხოლოდ ორს მოვისხენებთ. ერთით დადგენილია, რომ თუ ვინმე გაამაყდა და იმპერატორად გახდომა მოინდომა თვითნებურად, მთავრების არჩევნების გარეშე, ის შეუბრალებლად უნდა მოიკლას. ამიტომ ახლანდელი გუიუქ ხანის<sup>31</sup> არჩევამდე ერთი მთავარი, ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი, მოკლულ იქნა იმიტომ, რომ მას უარჩევნოდ უნდოდა მეფეობა. მეორე დადგენილება აწესებს, რომ მათ მთელი დედამიწა უნდა დაიპყრან და ზავი არ დასდონ არავისთან, ვინც მათ არ დაემორჩილება, სანამ თათრების დალუპვის დრო არ დადგება; ვინაიდან ისინი უნდა დაილუპონ, როგორც მათთვის ნაწინასწარმეტყველება, ხოლო ვინც მათგან გადაარჩება, როგორც ამბობენ, თავისი დამპყრობელის კანონი უნდა მიიღოს. ჩინგიზ-ყაენმა აგრეთვე დააწესა, რომ მათი ლაშქარი გაიყოს ათასეულებად, ასეულებად, ათეულებად და ბევრებად (ესე იგი ათი ათასეულებად). თავის დადგენილებათა და წესდებათა მიღების შემდეგ ის მოკლულ იქნა მეხის მიერ<sup>32</sup>.

მას ოთხი ვაჟი ჰყავდა: პირველს ერქვა ოკოდაი, მეორეს ტოსუკ-ხანი, მესამეს თაადაი, ხოლო მეოთხეს სახელი არ ვიცით. ამ ოთხმა ვაჟმა სხვა თანადამსწრე დიდებულებთან ერთად იმპერატორად უფროსი ვაჟი ოკოდაი აირჩიეს. ამ ოკოდაის ვაჟები არიან ახლანდელი იმპერატორი გუიუქი, კოქტენი და ხირენენი. ჰყავდათუ არა მას სხვა შვილები, ჩვენ არ ვიცით. ტოსუკ-ხანის ვაჟები არიან: ბათო, რომელიც ყველაზე ძლიერი და მდიდარია იმპერატორის შემდეგ, ორდუ, რომელიც ყველაზე უფროსია მთავრებს შორის, სიბანი, ბორა, ბერქა, თაუტი, ხოლო ტოსუკის დანარჩენი ვაჟების სახელები არ ვიცით. თაადაის ვაჟები არიან ბურინი და ხადანი, სხვები ჩვენთვის უცნობნი არიან. ხოლო ჩინგიზ-ყაენის იმ შვილს, რომლის სახელი ჩვენ არ ვიცით, შემდეგი ვაჟები ჰყავს. პირველს ჰქვია მენგუ, დედამისს კი სეროქტანი, რომელიც თათრებში პირველად ითვლება იმპერატორის დედის შემდეგ; ხოლო მენგუ ყველაზე ძლიერია ბათოს შემდეგ; მეორეს ბეკასი ჰქვია. მას კიდევ სხვა მრავალი ვაჟი ჰყავდა, მაგრამ მათი სახელები არ ვიცით.

მხედართმთავრების სახელები შემდეგია: ორდუ, რომელიც პოლონეთსა და ჰუნგრეთში იყო, ბათო, კადანი, სიბანი, ბურეტი, რომელიც ჰუნგრეთში იყვნენ; ცირპოდანი, რომელიც ღმრთულ ზღვის გაღმა იბრძვის დამასკოს სულთანის წინააღმდეგ. სხვები თავიანთ ქვეყანაში დარჩნენ: მანგუ, კოქტენი, სირენენი, ყუბილაი, სერემუმი, სინოკური, თუატემური, კარახაი, სიბედეი, რომელიც სარდალთუხუცესად ითვლება<sup>33</sup>, ბორა, ბერქა, მანცი, კორენზა.



რომელიც ყველაზე უმცროსია სარდლებს შორის. ბევრი სხვა მხედართმთავარიც არის, მაგრამ მათი სახელები არ ვიცით<sup>34</sup>.

ამ თათართა იმპერატორს გასაოცარი ძალაუფლება აქვს ყველას მიმართ. არავის არსად ცხოვრება არ შეუძლია, გარდა იმ ადგილისა, რომელსაც ის მას დაუნიშნავს. ის სამყოფ ადგილს უნიშნავს მხედართმთავრებს, მხედართმთავრები კი ადგილს უნიშნავენ ათასისთავეებს, ათასისთავეები—ასისთავეებს, ასისთავეები—ათისთავეებს. გარდა ამისა, რაც უნდა ბრძანოს, ყოველ დროს და ყოველ ადგილას, ომს შეეხება ეს ბრძანება, სიკვდილსა თუ სიცოცხლეს, ყოველივე ამას ისინი სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებენ. ყოველწლიურად ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ ის ქალიშვილებს ჰკრებს თათართა ყველა სამფლობელოში; ამ ქალიშვილებიდან, რომელიც სურს, თავისთვის იტოვებს, ხოლო დანარჩენთ თავის ადამიანებს ურიგებს, როგორც მოეპოიანება. რამდენი მალემსრბოლიც უნდა გაგზავნოს მან და სადაც უნდა გაგზავნოს, ყველანი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ ცხენები და ხარჯი მისცენ. საიდანაც უნდა მოვიდნენ მასთან მოხარკეები ან ელჩები, მათაც აგრეთვე ცხენები, ფორნები და სურსათი უნდა მიეცეს. მათთან სხვა ქვეყნებიდან მოსული ელჩები დიდ გაპირებებს განიცდიან როგორც კვების, ისე ჩაცმის მხრივ, ვინაიდან მათ მცირე და უფარგისი ხარჯი ეძლევათ, განსაკუთრებით მთავრებისაგან, რომლებთანაც ისინი იძულებული არიან მივიდნენ და შეჩერდნენ; ათ კაცზე იმდენს აძლევენ, რომ ორს ძლივს ეყოფა; როგორც მთავრების კარზე, ისე გზაზე მათ მხოლოდ ერთხელ აძლევენ საქმელს და ისიც ძლიერ ცოტას. გარდა ამისა, თუ მათ რაიმე შეურაცხყოფა მიიღეს, ადვილად ვერ იჩივლებენ, ამიტომ მათ ყოველი წყენა მოთმინებით უნდა გადაიტანონ.

გარდა ამისა, როგორც მხედართმთავრები, ისე სხვა წარჩინებული და მდაბიო პირები ელჩებს ბევრ საჩუქარს სთხოვენ, ხოლო თუ მათ არ მისცეს, აბუჩად იგდებენ. თუ ელჩები დიდი ადამიანის მიერ არიან გამოგზავნილი, ისინი მცირედი საჩუქრებით არ კმაყოფილდებიან, არამედ ამბობენ: „თქვენ დიდი ადამიანისაგან ხართ მოსული, მაშ ასე ცოტას რად იძლევით“? და არ ღებულობენ. თუ ელჩებს სურთ თავიანთი საქმეები კარგად მოაგვარონ, ბევრი უნდა გაასაჩუქრონ. ამიტომ ჩვენც იძულებული გავხდით საჩუქრად მიგვეცა იმ ნივთების დიდი ნაწილი, რომელიც ღვთისმოსავი ადამიანებისაგან მივიღეთ. უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ყოველივე იმპერატორს ეკუთვნის, ისე რომ ვერავინ ვერ გაბედავს თქვას, ეს ჩემია, ეს მისიაო, არამედ ყოველივე, ესე იგი ქონება, პირუტყვი და ადამიანები, იმპერატორისაა და ამის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ იმპერატორის ბრძანებაც კი გამოვიდა.

ასეთივე ხელისუფლება აქვთ მხედართმთავრებს თავიანთ კაცებზე, ვინაიდან როგორც თათრები, ისევე სხვები, განაწილებული არიან მხედართმთავრებს შორის. მხედართმთავართა მალემსრბოლთ, სადაც უნდა გაიგზავნონ ისინი, როგორც იმპერატორის ქვეშევრდომნი, ისე სხვები, ვალდებული არიან სიტყვის შეუბრუნებლად მისცენ ცხენები, სურსათი, გამყოლები და მსახურები. როგორც მხედართმთავრები, ისე სხვები ვალდებული არიან იმპერატორს ერთი, ორი და სამი წლით, როგორც ის მოისურვებს, ჭაკი ცხენები მისცენ რძისთვის; მხედართმთავრების კაცები ვალდებული არიან იგივე, გააკეთონ თავიანთი ბატონებისათვის: იმიტომ რომ მათ შორის არავინ არის თავისუფალი. მოკლედ რომ ვთქვათ, იმპერატორი და მხედართმთავრები მათი ქონებიდან ღებულობენ ყველაფერს, რაც უნდათ და რამდენიც უნდათ. მათ პიროვნებასაც ისე იყენებენ, როგორც მოეპრიანებათ.

იმპერატორის სიკვდილის შემდეგ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მხედართმთავრები შეიკრიბნენ და იმპერატორად ზემოხსენებული ჩინგიზ-ყაენის შვილი ოკოდაი აირჩიეს; მან ბჭობა გამართა მთავრებთან და ჯარი გაანაწილა. ბათო, რომელიც მისი ნათესავი იყო მეორე მუხლში, მაღალი სულთანის<sup>36</sup> და ბისერმინების ქვეყნის<sup>36</sup> წინააღმდეგ გაგზავნა; ეს უკანასკნელნი სარაციელები<sup>37</sup> იყვნენ და კომანთა ენაზე ლაპარაკობდნენ. შევიდა რა მათს ქვეყანაში, შეებრძოლა და ომში დაამარცხა ისინი. მაგრამ ერთი ქალაქი, სახელად ბარხინი<sup>38</sup> დიდხანს უწყვედა წინააღმდეგობას მას, ვინაიდან ქალაქის ვარშემო მრავალი თხრილი გასჭრეს და ზემოდან დაჰვარეს. როცა თათრები ქალაქთან მიდიოდნენ, თხრილებში ვარდებოდნენ. ამიტომ მათ ვერ შესძლეს ამ ქალაქის აღება, სანამ ეს თხრილები არ ამოავსეს. ხოლო როდესაც მეორე ქალაქის, სახელად იაკინთის, მცხოვრებლებმა ეს გაიგეს, მათ შესახვედრად გამოვიდნენ და ნებაყოფლობით დანებდნენ, ამიტომ მათი ქალაქი არ დაანგრიეს, მხოლოდ მრავალი მათგანი დახოცეს, სხვები გადაასახლეს, ქალაქი კი გაძარცვეს და სხვა ადამიანებით დაასახლეს.

და წავიდნენ ქალაქის წინააღმდეგ, რომელსაც ორნასი<sup>39</sup> ქვია. ეს ქალაქი მეტად მრავალრიცხოვანი იყო. იქ მრავალი ქრისტიანი ცხოვრობდა, სახელდობრ. ხაზარები, რუსები, ალანები და სხვები, აგრეთვე სარაციელები, ქალაქს სარაციელები ფლობდნენ. ხოლო ეს ქალაქი აღსაყვ იყო ყოველი სიმდიდრით, ვინაიდან რაღაც მდინარის პირას იდგა, რომელიც იაკინთზე და ბიხერმინების ქვეყანაზე გადის და ზღვას ერთვის; ამიტომ ეს ქალაქი თითქო ზღვის ნავსადგურია და სხვა სარაციელებს იქ დიდი ბაზარი აქვთ. რადგან თათრებმა სხვანაირად მისი დაძლევა ვერ შესძლეს, კალაპოტი შეუტვა-

ლეს მდინარეს, რომელიც ქალაქში შედიოდა, და წალეკს მთელი მისი ქონებითა და ადამიანებით.

ამის შემდეგ შევიდნენ თორკების<sup>40</sup> ქვეყანაში, რომლის მცხოვრებნი კერპთთაყვანისმცემლები არიან. დაამარცხეს რა ისინი, მთრუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრეს, სადაც უდიდესი სისხლისღვრა გამოიწვიეს, ქალაქები და ციხეები დაანგრის; ადამიანები დახოცეს; აგრეთვე ალყა შემოარტყეს რუსეთის დედაქალაქს კიევს, ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღეს იგი და მცხოვრებლები გაულიტეს<sup>41</sup>; ამიტომ, როდესაც ჩვენ მათ ქვეყანაში ვმოგზაურობდით, ველებზე უმარავ დახოცილ ადამიანთა თავის ქალებსა და ჩონჩხებს ვხედავდით. ეს ქალაქი მეტად დიდი და მრავალრიცხოვანი იყო, ამჟამად კი თითქმის არარადაა ქცეული: იქ ორასიოდე სახლი თუ მოიპოვება, იქაურ მცხოვრებლებს კი ისინი უდიდეს მონობაში ამყოფებენ. იქიდან წასულმა თათრებმა მთელი რუსეთის მიწა-წყალი დაარბიეს მახვილით ხელში.

რუსეთიდან და კომანიიდან ზემოდასახლებული მხედართმთავრები წინ წავიდნენ და ჰუნგრებსა და პოლონელებს შეებრძოლნენ. ამ თათრებიდან მრავალი დაიხოცა პოლონეთსა და ჰუნგრეთში და თუ ჰუნგრები კი არ გაქცეულიყვნენ, არამედ მამაცად შეგებებოდნენ, თათრებს თავიანთი მიწა-წყლიდან განდევნიდნენ, ვინაიდან თათრები ისეთი შიშის ზარმა მოიცვა, რომ ყველას გაქცევა უნდოდა. მაგრამ ბათომ მათ წინაშე თავისი მახვილი იშოშვლა და შესძახა: „არ გაიქცეთ! ვერავინ გადარჩება. თუ სიკვდილი გვიწერია, უმჯობესია ყველანი დავიხოცოთ; ვინაიდან დადგება დრო, როცა, როგორც ჩინგიზ-ყანმა იწინასწარმეტყველა, ყველანი უნდა დავიღუპოთ; თუ ის ჟამი ახლა დადგა, უმჯობესია ავიტანოთ“. ამრიგად ისინი გამხნევდნენ, შეჩერდნენ და ჰუნგრეთი დაარბიეს.

იქიდან დაბრუნების შემდეგ ისინი მორღვანების ქვეყანაში შევიდნენ, სადაც მცხოვრებლები კერპთთაყვანისმცემლები არიან, და ისინი ომში დაამარცხეს. იქიდან ბილერების, ესე იგი დიდი ბულგარეთის<sup>42</sup> წინააღმდეგ გაილაშქრეს და სრულიად მოაოხრეს. იქიდან კიდევ უფრო ჩრდილოეთით წავიდნენ ბასკარტების<sup>43</sup>, ესე იგი დიდი ჰუნგრეთის წინააღმდეგ, რომელიც აგრეთვე დაამარცხეს. იქიდან გამოსვლის შემდეგ ისევ ჩრდილოეთით გაემართნენ და პაროსიტებთან<sup>44</sup> მივიდნენ, რომელთაც თურმე პატარა კუჭი და პირი აქვთ; ისინი ხორცს არ სჭამენ, არამედ როცა მოხარშავენ, ქოთანზე იხრებიან, ოხშივარს ისუნთქავენ და ამრიგად ძაღლონეს იკრეფენ; თუ რამეს ჭამენ, ძლიერ ცოტა რაოდენობით.

დსიძრნენ რა იქიდან, სამოგედებთან<sup>45</sup> მივიდნენ, რომელნიც მხოლოდ ნადირობით ცხოვრობენ და თავიანთ კარვებსა და ტანი-

სამოსს მხოლოდ ნადირის ტყავისგან იკეთებენ. წავიდნენ რა იქიდან, რალაც ოკეანის განაპირა ქვეყანაში მივიდნენ, სადაც ერთგვარი მონსტრები ნახეს, რომელთაც, როგორც სარწმუნოდ ვადმოგვცეს, ყოველმხრივ ადამიანური გამოსახულება ჰქონდათ თურმე, მხოლოდ ფეხების კიდურები ისეთივე ჰქონდათ, როგორც ხარებს, ხოლო პირისაზე როგორც ძაღლებს<sup>46</sup>; ორ სიტყვას ისინი თურმე ადამიანურად წარმოსთქვამდნენ, ხოლო მესამეს ძალღივით ჰყეფდნენ და, ამრიგად, საუბარში ყეფას ურევდნენ, ხოლო შემდეგ ხელახლა უბრუნდებოდნენ თავიანთ აზრს, ამიტომ შეიძლებოდა მათი ვაგება. იქიდან ისინი კომანიაში დაბრუნდნენ, სადაც ზოგიერთი მათგანი დღემდე ცხოვრობს.

იმავე დროს ოკოდაი ხანმა ცირპოდანი ჯართურთ სამხრეთით გაზაუნა ყერგისების წინააღმდეგ, რომელნიც მან დაამარცხა. ეს ადამიანები კერპთთაყვანისმცემლები არიან და წვერი არ ამოსდიოთ. იმათ ისეთი ჩვეულება აქვთ თურმე, რომ თუ ვინმეს მამა მოუკვდა, გლოვის ნიშნად სახეზე თითქო ღვედს. იჭრის ერთი ყურიდან მეორემდე.

მათი დამარცხების შემდეგ ის სამხრეთით წავიდა სომხების (არმენების) წინააღმდეგ. მაგრამ როცა უდაბნოში მიდიოდნენ, რალაც მონსტრები ნახეს, რომელთაც, როგორც დანამდვილებით გვარწმუნებდნენ, ადამიანის სახე ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ერთი ხელი ებათ შუა მკერდზე და ერთი ფეხი; ერთ მშვილდისაარს ორ-ორი სროლილობდნენ თურმე და ისე სწრაფად დარბოდნენ, რომ ცხენებს არ შეეძლოთ მათი დაწევა. ისინი ასკინკილა მირბოდნენ, ხოლო როდესაც ასეთი სირბილით დაიღლებოდნენ, ფეხზე და ხელზე იწყებდნენ გორვას ბორბალივით; როცა ამრიგადაც დავიღლებოდნენ, ისევ წინანდებურ სირბილს დაუბრუნდებოდნენ. ისიდორემ<sup>47</sup> მათ ციკლოპედები უწოდა. თათრებს ზოგიერთი მათგანი მაინც დაეხოცათ, მაგრამ, როგორც რუსმა კლირიკოსებმა გვიამბეს იმპერატორის კარზე, მრავალი მათგანი ზემოხსენებული იმპერატორის კარზე ელჩებად მოსულიყვნენ თურმე, რათა ზავის ჩამოგდების შესაძლებლობა მიეღოთ.

იქიდან გამოსვლის შემდეგ სომხეთში (არმენიაში) შევიდნენ, რომელნიც დაიპყრეს ისევე, როგორც საქართველოს (გეორგიას) ერთი ნაწილი, ხოლო ამ ქვეყნის მეორე ნაწილი მათი ბრძანების მიხედვით დამორჩილდა; და ყოველ წელიწადს ისინი ხარკად ორმოც ათას ჰიპერპერს იხდიან<sup>48</sup>, რაიცა დღემდე გრძელდება. იქიდან ისინი დაიძრნენ ურუმის სულთანის ქვეყნისაკენ<sup>49</sup>; ეს სულთანი საკმაოდ დიდი და ძლიერი იყო; მასაც შეებრძოლნენ და დაამარცხეს.

ბრძოლით და გამარჯვებით ისინი ჰალაშის სულთნის სამფლობელომდე მივიდნენ, სადაც ახლაც იბრძვიან და დღემდე თავიანთ ქვეყანაში არ დაბრუნებულან. მეორე ჯარი ბალდახის<sup>50</sup> ხალიფის წინააღმდეგ წავიდა, რომელიც მათ აგრეთვე დაიპყრეს და ის მათ ყოველდღე ოთხას ბიზანტინს<sup>51</sup> აძლევს ხარკად, გარდა ბალდაქინებისა და სხვა საჩუქრებისა. ყოველწლიურად ის ხალიფს ელჩებს უგზავნის, რათა ის მასთან მივიდეს, ხალიფი კი ხარკთან ერთად დიდ საჩუქარს უგზავნის და თხოვს მაპატიეთო. იმპერატორი საჩუქრებს ღებულობს, მაგრამ მაინც არ იშლის მის გამოწვევას.

### თ ა ვ ი მ ე მ მ ს ე

#### როგორ მოჰქმედობენ თათრები ბრძოლებში

მას შემდეგ, რაც ხელისუფლების შესახებ ვილაპარაკეთ, ომის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ ამრიგად: პირველად—ჯარის წყობაზე, მეორედ—იარაღზე, მესამედ—ომში ხმარებულ მხაკვრობაზე, მეოთხედ—ციხეებისა და ქალაქების აღყაზე, მეხუთედ—მათს ვერაგობაზე იმათ მიმართ, ვინც მათ ნებდება და მათს სიმკაცრეზე ტყვეებისადმი. ჯარის წყობაზე შემდეგს ვიტყვი: ჩინგიზ-ყაენმა დაადგინა, რომ ათი კაცი ერთს დაემორჩილოს, რომელსაც ჩვენებურად ათისთავი ჰქვია; ათი ათისთავის უფროსად ერთი დადგინდა, რომელსაც ასისთავი ჰქვია, ხოლო ათი ასისთავი ერთს ათასისთავს ემორჩილება; ათი ათასის თავის უფროსად ერთი დადგინდა და ამ რიცხვს მათებურად ბნელი<sup>52</sup> ჰქვია. მთელი ჯარის სათავეში ორისამი მხედართმთავარი დგას, მაგრამ ისე კი რომ ყველანი ერთს მათგანს ემორჩილებიან. თუ ბრძოლის დროს ათეულიდან ერთი, ორი, სამი ან მეტი გაიქცა, ყველას ხოცავენ; მოკლედ რომ ვთქვათ, თუ იმათ ერთად არ დაიხიეს, ყველა გაქცეულთ ხოცავენ. აგრეთვე თუ ერთი, ორი ან მეტი ვაჟაკურად ჩაება ბრძოლაში, ხოლო დანარჩენები იმ ათეულიდან მათ არ გაჰყენენ, ამ უკანასკნელთ ხოცავენ; თუ ათეულიდან ერთი ან რამდენიმე ტყვედ მოხვდა, ხოლო ამხანაგებმა ისინი არ გაანთავისუფლეს, მათაც ხოცავენ.

თითოეულ მათგანს ორი ან სამი მშვილდი უნდა ჰქონდეს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი მშვილდი წესიერ მდგომარეობაში, სამი დიდი კაპარკი, ისრებით სავსე, აგრეთვე ერთი ცულდი და თოკი იარაღების სატრეველად. მდიდრებს წვეტიანი ერთპირიანი შახვილები აქვთ, ოდნავ მოღუნულად, ზოგიერთს აგრეთვე ტყავის რახტიანი ცხენები ჰყავთ და ტყავის საბარკულები, მუზარადები და ჯავშნები აქვთ<sup>53</sup>. ზოგიერთ მათგანს შუბი უჭირაეს, რომელსაც



წვერი მოკაუჭებული აქვს, რათა, თუ საჭირო იქნა, ადამიანი ჩამოათრიონ უნაგირიდან. მათი ისრები სიგრძით ორ წყრთას, ერთი ხელის გულის დადებას და ორი თითის დადებას უდრის. ისრების რკინა მეტად მახვილია და ორივე მხრიდან ჭრის როგორც ორღესული მახვილი. ისინი კაპარჭში ყოველთვის ქლიბს ატარებენ ისრების გასალესად. ზემოხსენებულ რკინის ბუნიკებს ერთი თითის დადება ბოლო აქვთ, რომლითაც ისინი ტარს ეცობიან. მათი ფარები ტირიფის ან სხვა ხის წნელისაგან კეთდება, მაგრამ, როგორც ეტყობა, ფარებს ისინი მხოლოდ ბანაკში და იმპერატორისა თუ მხედართმთავრების საგუშაგოში ატარებენ. ფრინველისა, ნადირისა, და უიარაღო ადამიანისთვის სასროლად მათ სხვანაირი ისრები აქვთ, სამი თითის დადება სიგრძისა. სანადიროდ სხვა მრავალნაირი ისრებიც მოეპოვებათ.

როცა ომში წასვლას განიზრახავენ, პირველად წინამსრბოლთ გზავნიან, რომელთაც თან არაფერი მიაქვთ, გარდა ქეჩებისა და იარაღისა და მხოლოდ ცხენები მიჰყავთ. ისინი არაფერს არ იტაცებენ, სახლებს არ სწვავენ და პირუტყვს არ ხოცავენ, მხოლოდ ადამიანებს კოდავენ და ჰკლავენ, ხოლო თუ ეს ვერ შესძლეს, მათ აოტებენ, მაგრამ დახოცვას ამჯობინებენ, ვიდრე ოტებას. მათ მიჰყვება ჯარი; რომელიც, პირიქით, იტაცებს ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდება; თუ ადამიანები შეხვდათ, იჭერენ და ხოცავენ. მხედართმთავრები ყოველმხრივ მზვერავებს გზავნიან, რომელთაც ადამიანები და სიმაგრეები უნდა აღმოაჩინონ, და ისინი მეტად დახელოვნებული არიან ამ საქმეში.

როდესაც მდინარის ნაპირას მიდიან, რაც უნდა ფართო იყოს ის, შემდეგნაირად გადადიან. უფროს კაცებს მრგვალი და მსუბუქი ტყავი მიაქვთ, რომელსაც პირზე რგოლები აქვს შემოვლებული, რგოლებში კი ბაწარი იყრება. ამ ტყავს ბაწრით ისე შემართავენ ხოლმე, რომ ის მრგვალ ტომარს დაემსგავსება; მასში ტანისამოსს და სხვანივთებს სდებენ, მაგრად კრავენ, ზემოთ უნაგირებს და სხვა მაგარივთებს აწყობენ, ხოლო თვითონ შუაში სხდებიან. ამრიგად მომზადებულ ნაჭურჭელს ცხენის კულზე აბამენ, ეს ცხენი მდინარეში ცურვით მიდის, ხოლო მასზე კაცი ზის და მიერეკება. ხანდახან თათრები მდინარეს ორი ნიჩბის შემწეობით გადასცურავენ ხოლმე. ცხენებს წყალში აგდებენ, წინ ცურვით ცხენს უშვებენ მხედრითურთ, რომელიც მას მიერეკება, ხოლო უკან სხვა ცხენები მიჰყვებიან ცურვით; ამრიგად გადადიან პატარა და დიდ მდინარეებს. დანარჩენებმა, უფრო ღარიბებმა, მაგრად შეკერილი ტყავის ტოპრაკი ანუ ჩანთა უნდა იქონიონ, რომელშიც ტანისამოსს და სხვა ნივთებს აწყობენ;

მას მაგრად ჰკრავენ, ცხენს კუდზე აბამენ და ისე გადააქვთ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველთვის, როდესაც მტრებს დაინახავენ, მათ წინააღმდეგ მიდიან და თითოეული სამ-ოთხ ისარს ესვრის. თუ დაინახეს, რომ მათი დამარცხება შეუძლებელია, თავისიანებისკენ იხევენ; ამას მოსატყუებლად შერებიან, რათა მტერი მათ გამოუდგეს და მათ მიერ მოწყობილ საფარში მოხედეს, სადაც ისინი მას კოდავენ და ჰკლავენ<sup>54</sup>. აგრეთვე, თუ დაინახეს, რომ მათ წინააღმდეგ დიდი ლაშქარია დაძრული, ისინი ხანდახან უკან იხევენ ერთი ან ორი დღის სავალზე, თავს ესხმიან ქვეყნის მეორე ნაწილს. ადამიანებს ჟღერენ იქ და ყოველივეს ანადგურებენ და ძარცვავენ. თუ დაინახეს, რომ ამის გაკეთებაც არ ძალუძთ, ათი და თორმეტი დღის სავალზე იხევენ და ხანდახან უშიშარ ადგილას ჩერდებიან სანამ მტრის ჯარი არ დაიშლება; მაშინ მოულოდნელად ჩნდებიან და მთელ ქვეყანას აოხრებენ. ომებში მეტად მზაკვარნი არიან, ვინაიდან სხვა ხალხებს ორმოც წელზე მეტს ებრძვიან.

ბრძოლის დაწყების წინ მთელ ჯარს საომარ წესზე აწყობენ. ჯარის მეთაურები ანუ მხედართმთავრები ბრძოლაში არ შედიან, არამედ მოშორებით სდგანან, მოწინააღმდეგის ლაშქრის პირისპირ და გვერდით ამხედრებული ჭაბუკები, ცოლები და ცხენები ჰყავთ. ხანდახან ადამიანის მსგავს ფიტულებს აკეთებენ და ცხენებზე სვამენ, რათა მეტნი გამოჩნდნენ. მტრის წინააღმდეგ ტყვეებისა და სხვა მათთან მყოფი ადამიანების რაზმებს იფარებენ, ხანდახან ამ მოწინავე რაზმში თათრებიც ურევიათ. სხვა რაზმებს, უმამაცესი ადამიანებისაგან შემდგარათ, შორს გზავნიან მარჯვნივ და მარცხნივ, რათა მტერმა ისინი ვერ დაინახოს; ამრიგად მას წრეს ავლებენ, ავიწროვებენ და ყოველ მხრივ ბრძოლას უტეხენ. თუმცა ხანდახან ისინი ცოტანი არიან, მაგრამ გარემოცულ მტერს ჰგონია, ბევრნი არიანო; ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ისინი მხედართმთავრის ანუ მეთაურის გვერდით თავმოყრილ ჭაბუკებს, დედაკაცებს, ცხენებსა და ფიტულებს ხედავენ, რომელთაც მეომრებად სთვლიან და ამიტომ უშიშა და შეშფოთებას ეძლევიან. ისიც უნდა ითქვას, რომ თათრები, თუ ეს მათთვის მოსახერხებელია, გაურბიან ხელჩართულ ბრძოლას, ხოლო ადამიანებსა და ცხენებს ისრებით კოდავენ და ხოცავენ; ისინი ხელჩართულ ბრძოლაში ებმებიან, როცა ადამიანები და ცხენები დაღლილი არიან ისრებით.

როცა ისინი ხედავენ, რომ მტრის დაძლევა არ შეუძლიათ, თვალთმაქცურად ილტვიან მისგან; როდესაც მდევარი ილღება ხანგრძლივი დევნისაგან, თათრები დასვენებულ ცხენებზე გადასხდებიან, მოტრიალდებიან, მტერს თავს ესხმიან და ატყვევებენ ან ხოცავენ.

3. მასალები საქართ. და კავკ. ისტორიისათვის, 1942 წ. ნაკვ. II.

ხანდახან გაქცეული თათრები იფანტებიან და ფართოვდებიან, რათა მტერს გზა დაუთმონ თავიანთ რაზმებს შორის, ხოლო შემდეგ სტვენისა და ძახილის ხმაზე სწრაფად ერთდებიან, მტერს გარს ერტყებიან და ანადგურებენ. ყველა ქვეყანაში, რომელსაც თათრები აოხრებენ, ჩვეულებრივ შიმშილი იწყება.

სიმაგრეებს ისინი შემდეგნაირად ღებულობენ. თუ ასეთი სიმაგრე შეხვდათ, ისინი მას გარემოცავენ ხოლმე, ხოლო ხან ისე ჩაქეტავენ, რომ არავის არ შეუძლდა არც შესვლა, არც გამოსვლა. შეუჩერებლივ დღისით და ღამით ძლიერ ესვრიან მანქანებსა და ისრებს, რათა ალყაშემორტყმულთ მოსვენება არ მიეცეთ. თვით თათრები კი ისვენებენ, იმიტომ თავიანთ ჯარს ნაწილებად ჰყოფენ და ეს ნაწილები რიგ-რიგობით შედიან ბრძოლაში, რათა არ დაიქანცონ. თუ ამ გზით ციხე-სიმაგრე ვერ აიღეს, ბერძნულ ცეცხლს იყენებენ; ხანდახან დახოცილი ადამიანების ქონსაც ღებულობენ, აღნობენ და სახლებს ასხამენ; თუ ცეცხლი ამ ქონს მოედო, მისი ჩაქრობა თითქმის შეუძლებელია. თუ ამანაც არ უშველა და თუ ამ ქალაქს ან სიმაგრეს მდინარე აქვს, ისინი აუბუბებენ მას, კალაპოტს უცვლიან ან, თუ შეიძლება, სიმაგრეს წალეკავენ. თუ ეს შეუძლებელია, სიმაგრის ქვეშ ხერხებს სჭრიან და შეიარაღებულნი შიგ შედიან. შესულთაგან ერთი ნაწილი ცეცხლს უკიდებს ციხე-სიმაგრეს, ხოლო მეორე ადამიანებს ებრძვის. თუ ის ამ გზითაც ვერ აიღეს, მის პირდაპირ თავის ბანაკს ან სიმაგრეს აკეთებენ, რათა დაცულ იქნან მტრის ხელშუბებისაგან და ამრიგად დიდხანს დგანან, თუ მოლოდინის წინააღმდეგ მეციხოვნე ჯარს დამხმარე ძალა არ მოუვიდა და მათ არ დაახევინა.

როცა ციხე-სიმაგრესთან სდგანან, ალერსიანი სიტყვებით ატყუებენ ალყაშემორტყმულთ და მრავალ რამეს აღუთქვამენ მათ, რათა ისინი დანებდნენ. ხოლო თუ მართლა დანებდნენ, ეუბნებიან: „გამოდით, რათა ალვრიცხოთ ჩვენი წესის მიხედვით“, როცა ისინი გამოდიან, თათრები ჰკითხავენ, რომელმა თქვენგანმა იცით რაიმე ხელობაო და ასეთებს სტოვებენ; სხვებს კი, იმათ გარდა, რომელთაც მონებად იხდიან, ნაჯახით თავს სჭრიან. თუმცა ამრიგად, როგორც ვთქვით, ზოგიერთებს ისინი ცოცხლად სტოვებენ, მაგრამ კეთილშობილ და პატივსაცემ ადამიანებს არასოდეს არ ინდობენ. თუ შემთხვევით: რაიმე გარემოების წყალობით, ზოგიერთი მათგანი გადარჩა, ვერც მუდარით, ვერც გამოსყიდვით თავს ვერ დააღწევს მონობას. ომის დროს ყველა ტყვეს ხოცავენ, თუ ზოგიერთი მათგანის მონად დატოვება არ მოისურვებს. დასახოცად განწირულთ ასისტავებს უნაწილებენ, რათა მათ ორღესული ნაჯახით თავი მოკვეთონ; ასისტავები კი მათ თავიანთ ადამიანებს უნაწილებენ



და თითოეულ მათგანს ათ-ათს ან მეტსა და ნაკლებს აძლევენ, უფროსთა სურვილის მიხედვით.

### თ ა ვ ი მ ე უ ვ ი ლ ე

#### მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე

ავწერეთ რა როგორ ომობენ ისინი, საჭიროა ვილაპარაკოთ მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე, რასაც შემდეგნაირად ვიქმნთ. პირველად ვიტყვი, როგორ ჰკრავენ ისინი ვინმესთან ზავს, მეორედ—მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების სახელებზე, მესამედ—ქვეყნებზე, რომელთაც მათ მამაცი წინააღმდეგობა გაუწიეს, მეოთხედ—სიმკაცრეზე, რომელსაც ისინი დაპყრობილთა წინააღმდეგ იჩენენ.

უნდა ითქვას, რომ ისინი არავისთან არ ჰკრავენ ზავს იმათ გარდა, ვინც მათ ემორჩილება, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვი, ჩინგიზ-ყაენიდან ბრძანება აქვთ, თუ შესაძლებელია, ყველა ერი დაიმორჩილონ. და აი რას ითხოვენ ისინი მათგან: როცა მათ მოესურვებათ, მათთან ერთად უნდა გაილაშქრონ ყველას წინააღმდეგ და შეათედი მისცენ როგორც ადამიანებისა, ისე ქონებისაგან. გაღათვილიან რა ათს ჭაბუქს, ერთს წაიყვანენ. იმასვე უშვრებიან ქალიშვილებს, რომელნიც თავიანთ ქვეყანაში მიჰყავთ და იქ მომსახურებისთვის იყენებენ. დანარჩენებს აღრიცხავენ ხოლმე და თავიანთი ჭვეულების მიხედვით აწესრიგებენ. ხოლო როცა მათზე სრულ ძალა-უფლებას მოიპოვებენ, არასოდეს მიცემულ დაპირებას არ ასრულებენ, არამედ ყოველგვარ საშუალებას ეძებენ მის დასარღვევად. მაგალითად, როდესაც ჩვენ რუსეთში ვიყავით, როგორც გადმოვცეს, იქ გუიუქ-ხანისა და ბათოსაგან ერთი სარაციანი იქნა გამოგზავნილი. ეს გამგე ყოველ მამაკაცს, რომელსაც სამი ვაჟი ჰყავდა, ერთს ართმევდა. მიჰყავდა აგრეთვე უცოლო მამაკაცები და ისეთი ქალები, რომელთაც კანონიერი ქმრები არ ჰყავდათ. ასახლებდნენ აგრეთვე ღარიბ-ღატაკებს, რომელნიც მოწყალეობით ცხოვრობდნენ. დანარჩენნი თავიანთი წესის მიხედვით აღარიცხვინა და ბრძანება გასცა, რომ ყველამ, როგორც დიდმა, ისე პატარამ, თვით ერთი დღის ბაღმა, მდიდარმაც და ღარიბმაც, ხარკი გადაიხადოს, სახელდობრ, თეთრი დათვის ტყავი, შავი წავის ტყავი, სიასამურის ბეწვი, შავი მელიის ბეწვი და რაღაც შავი პატარა ცხოველი, რომელიც სოროში ცხოვრობს და რომლის სახელის გადმოცემა ლათინურად ჩვენ არ ძალგვიძს, გერმანულად კი ილტისი ჰქვია, პოლონურად და რუსულად დოხორი<sup>55</sup>. ვინც ამ ხარკს არ გადაიხდის, ის თათრებთან მიჰყავთ და მონობაში რჩება.

ისინი აგრეთვე ქვეყნების მფლობელებს იწვევენ, რომ მათთან გამოცხადდნენ დაუყოვნებლივ; როდესაც იქ ცხადდებიან, თათრები მართებული პატივისცემით არ ეპყრობიან, არამედ ისე ექცევიან, როგორც უმდაბლეს პიროვნებათ: იძულებულს ხდიან დიდი საჩუქრები მიართვან მხედართმთავრებს, მათს ცოლებს, მოხელეებს, ათასისთავებსა და ასისთავებს; საზოგადოდ ყველანი, თვით მათი მსახურები, უცხო მფლობელებს თავს აბეზრებენ საჩუქრების თხოვნით; და არა მარტო მათ, არამედ მათ მიერ წარგზავნილ ელჩებსაც. ზოგიერთისთვის კი შემთხვევას ეძებენ, რომ მოჰკლან, როგორც ეს მიხაილსა და სხვებს უყვეს; ზოგიერთებს ეფერებიან და შინ წასვლის ნებას აძლევენ, რათა სხვები მიიზიდონ; ზოგიერთებს კიდევ სასმელით ან საწამლაკით ღუპავენ. ხოლო მათი განზრახვა იმაში მდგომარეობს, რომ მარტო გაბატონდნენ დედამიწაზე და ამიტომ ყოველ ღონისძიებას ეძებენ კეთილშობილი ადამიანების გასაჟლეტად. იმათგან, რომელთაც წასვლის ნებას აძლევენ, ისინი ვაჟებსა და ძმებს თხოულობენ, ამათ კი აღარასოდეს აღარ უშვებენ, როგორც ეს უყვეს იაროსლავის ვაჟს, ალანების რომელიღაც მთავარს და მრავალ სხვას. ხოლო თუ მამა ან ძმა უმემკვიდრეოდ გადავა, ისინი არასოდეს შვილსა ან ძმას არ გაუშვებენ, პირიქით, მთელ მის სამფლობელოს დაეპატრონებიან, როგორც ერთ სოლანგელ მთავარს უყვეს.

იმ მფლობელების ქვეყნებში, რომელთაც ნება ეძლევათ შინ დაბრუნდნენ, ისინი თავიანთ მოადგილეებს ანუ ბასქატებს<sup>56</sup> ნიშნავენ; როგორც მთავრები, ისე საზოგადოდ ყველანი ვალდებული არიან მათი ხელის ერთ დაქნევას დაემორჩილონ. ხოლო თუ რომელიმე ქალაქის ან ქვეყნის მცხოვრებლები იმას არ იზმენ, რაც მათსურთ, ეს ბასქატები აცხადებენ, რომ ისინი თათრების ორგულნი არიანო და ამრიგად აოხრებენ ამ ქალაქსა თუ ამ ქვეყანას, ხოლო მცხოვრებთ ხოცავენ თათრების ძლიერი რაზმის შემწეობით, რომელიც ამ ქვეყნის მმართველის ბრძანებით მოულოდნელად მიდიან და უცებ თავდასხმას აწყობენ, როგორც ეს ერთ ქალაქს მოუვიდა, როცა ჩვენ თათრების ქვეყანაში ვიმყოფებოდით. იგივე უყვეს იმათ რუსებს კომანთა ქვეყანაში. და არა მარტო თათართა მთავარი, რომელიც რაიმე ქვეყანას დაეუფლა, ან მისი მოადგილე, არამედ ყოველი თათარი, განსაკუთრებით წარჩინებული, სხვის ქვეყანაში ან ქალაქში გავლის დროს ისე ბრძანებლობს, როგორც ხელმწიფე გარდა ამისა, ისინი თხოულობენ და ყოველი პირობის გარეშე ეპატრონებიან ოქროს, ვერცხლს და სხვას, რაც სურთ და რამდენიც სურთ.

თუ იმ ხელმწიფეებს, რომელნიც მათ დამორჩილდნენ, რაიმე ჭადაო შემთხვევა წარმოეშვათ, ისინი მის გასარჩევად თათრების იმპერატორთან უნდა გაემგზავრონ, როგორც ეს გეორგიის (საქართველოს) მეფის ორ ვაჟს მოუხდა<sup>57</sup>. ერთი მათგანი კანონიერი იყო, სახელად მელიქი, ხოლო მეორე—დავითი—გაჩნდა როგორც მრუშობის ნაყოფი. ამ უკანონო ვაჟს მამამისმა თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილი დაუტოვა. მეორე, რომელიც უფრო ახალგაზრდა იყო, თავისი დედიტურთ წავიდა თათრების იმპერატორთან, სადაც გაემგზავრა აგრეთვე დავითიც. მელიქის დედა, საქართველოს დედოფალი, რომელთანაც შეუღლების ძალით მისი ქმარი ამ სამეფოს ფლობდა, ვინაიდან იქ ქალები მფლობელობენ, გზაში გარდაიცვალა. მათ კი, მისვლის შემდეგ, მრავალი საჩუქარი დაარიგეს; განსაკუთრებით ბევრი საბოძვარი გასცა კანონიერმა ვაჟმა, რომელიც ითხოვდა, რომ მისთვის დაებრუნებიათ მამის მიერ დავითისთვის დატოვებული მამული, ვინაიდან, მისი სიტყვით, ის მრუშობის ნაყოფი იყო და არ შეეძლო მისი ფლობა. დავითი კი უპასუხებდა: თუმცა მე ხასის შვილი ვარ, მაგრამ სამართალს ეთხოვლობ თათრების კანონის მიხედვით, რომელიც არავითარ განსხვავებას არ ხედავს კანონიერ ცოლისა და მხევლის მიერ დაბადებულ ვაჟებს შორისო. ამიტომ ეს საქმე კანონიერი ვაჟის წინააღმდეგ გადაწყდა: ის დავითს დაუმორჩილეს, როგორც უფროსს<sup>58</sup>, რომელსაც უბრძანეს წყნარად და მშვიდობიანად დაუფლებოდა მამის მიერ დატოვებულ სამკვიდროს. ამრიგად, მელიქმა დარიგებული საჩუქრები დაჰკარგა და თავისი ძმის დავითის წინააღმდეგ წარმოებული სადავო საქმე წააგო.

თათრები ხარკს ღებულობენ აგრეთვე იმ ერებისგან, რომელნიც მათგან შორს ცხოვრობენ და ისეთ ერებს მეზობლობენ, რომელთაც ისინი რამდენიმედ უფროხიან ან ვერ დაუფლებიან; ისინი მათ უფრო ადამიანურად ეპყრობიან, რათა მათ ჯარები არ გამოგზავნონ თათრების წინააღმდეგ, ან კიდევ რათა სხვებს არ შეეშინოთ თათრებისადმი დამორჩილება. ასე მოექცნენ ისინი ობეზებს (აფხაზებს) ანუ გეორგიელებს (ქართველებს), რომელთაც, როგორც ვთქვით, 50 თუ 40 ათას ჰიპერპერს ანუ ბიზანტიის ახლევინებენ და სხვა მხრივ ამ მიზნის გამო აღარ აწუხებენ. ამისდა მიუხედავად, როგორც მათგან გავიგეთ, მათ განზრახული აქვთ ამბოხება მოაწყონ<sup>59</sup>.

მათ მიერ დამარცხებული ქვეყნების სახელები შემდეგია: ჩინეთი, ნაიმანი, სოლანგი, ყარა-ჩინეთი ანუ შავი ჩინეთი, კომანია, ტუმატი, ვოირატი, კარანიტი, ჰუიური, სობოალი, მერკიტი, მენიტი, ბირიჰრიური, გოსმიტი, სარაცინები, ბისერმინები, თურქომანები, ბილერები, დიდი ბულგარეთი, ბასხარე, დიდი ჰუნგრეთი, ყერგისი.

კოლონა, თორატი, ბურიტაბეტი, პეროსიტები, სასები, იაკობიტები, ალანები ანუ ასები, აფხაზები ანუ ქართველები, ნესტორიანები, სომხები, კანგიტები, კომანები, ბრუტახები, რომელნიც იუდეველნი არიან, მორღვა, თორქები, ხაზარები, სამოგედები, სპარსელები, თოასელები, პატარა ინდოეთი ანუ ეთიოპია, ჩერქეზები, რუთენები, ბალდახი, სართი და მრავალი სხვა, რომელთა სახელები ჩვენთვის, უცნობია<sup>60</sup>.

აი იმ ქვეყნების სახელები, რომელნიც მათ მამაცურად წინააღმდეგობას უწევენ და დღემდე დამორჩილებული არ არიან მათგან. დიდი ინდოეთი, მანგია<sup>61</sup>, ალანების ერთი ნაწილი, ჩინელების ერთი ნაწილი, საიები<sup>62</sup>. მათ ალყა შემოერტყათ ამ საიების რომელიღაც ქალაქისათვის და მისი აღება ეცადნათ; მაგრამ ალყაშემორტყმულთ მანქანები დაედგათ მათი მანქანების წინააღმდეგ და დაემსხვრიათ ისინი. ბოლოს, რადგან მანქანებსა და ბოძალებს ისინი ქალაქთან საბრძოლველად არ მიეშვათ, მათ ხერელი გაეთხარათ და ქალაქში შეჭრილიყვნენ; ზოგიერთს ცეცხლის წაქიდება დაეწყო, ხოლო ზოგიერთს ბრძოლა. მაგრამ ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილი ხანძრის ჩასაქრობლად გაქცეულიყო, ზოლო მეორე ქალაქში შეჭრილთ შებოდა, მრავალი მათგანი დაეხოცა, და სხვები დაეჭრა და თათრები აეძულებინა უკან დაბრუნებულიყვნენ. რა რომ თათრებს დაენახათ, რომ ვერას გახდებოდნენ და მრავალი მათგანი დაიღუპა, უკან დაეხიათ.

სარაციების მიწა-წყლიდან და სხვა ადგილებიდან, სადაც თათრები თავიანთ თავს ბატონებად გრძნობენ, მათ საუკეთესო ხელოსნები მიჰყავთ და აიძულებენ მათთვის იმუშაონ, ხოლო სხვები გადასახადს იხდიან თავიანთი შრომიდან. ყოველგვარ ხორბლელს ისინი ბატონების ბეღლებში ჰყრიან. თითოეულს მსახურს წონით დღეში ზომიერი რაოდენობა ეძლევა, ამას გარდა, სამჯერ კვირაში ცოტადენი ხორცი; მაგრამ ამას მხოლოდ ქალაქში მცხოვრები ხელოსნებმღებულობენ. გარდა ამისა, როცა ბატონებს მოეპოიანებათ, ისინი ყველა ხელოსანს აიძულებენ მათ მისდიონ უკან მსახურებთან ერთად. მაგრამ ესეცაა, რომ ისინი თათრების, ან უკეთ ვთქვათ, ტყვეების რიცხვში ითვლებიან; იმიტომ რომ, თუმცა ისინი თათრებისადმი არიან მიკუთვნილნი, მაგრამ მათ ეპყრობიან არა როგორც თათრებს, არამედ როგორც მონებს და სხვა ტყვეების მსგავსად ყოველგვარ სახიფათო საქმეზე გზავნიან, მაგალითად, ბრძოლის დროს პირველ რიგებში აყენებენ, ჭაობსა ან მდინარეში გადასვლის დროს პირველად უნდა შევიდნენ ფონში, ერთი სიტყვით, ყოველნაირად იყენებენ. თუ რაიმე დააშავეს ან პირველი ხელის დაქნევას არ დაემორჩილნენ, მათ ისე ურტყამენ, როგორც ვირებს. ისინი ცოტას ჭამენ

ცოტას სვამენ და მეტისმეტად ცუდად არიან ჩაცმულნი, თუ რაიმე თვით არ გამოიმუშავეს როგორც ოქრომჭედლებმა და სხვა დარგის კარგმა ხელოსნებმა. მაგრამ ზოგიერთებს ისეთი ბოროტი ბატონები ჰყავთ, რომ მათ მოსვენებას არ აძლევენ და საბატონო სამუშაო იმდენად დიდა, რომ დრო არ რჩებათ თავისთვის რაიმე გააკეთონ, თუ დასვენებასა და ძილზე უარი არ სთქვენს; თავისთვის რამის გაკეთებაც მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ცოლი ჰყავს და საკუთარი სადგომი აქვს. სხვა მსახურნი, რომელნიც მათ სახლებში ჰყავთ, არაჩვეულებრივად დაბეჩავებული არიან. ხშირად გვინახავს, რომ მათ პაპანაქება სიციხეში და აუტანელ სიციხეში მარტო შარვალი ეცვათ, დანარჩენი სხეული კი სრულიად ტიტველი ჰქონდათ. აგრეთვე გვინახავს, რომ ზოგიერთ მათგანს ხელისა და ფეხის თითები მოყინული ჰქონდათ; აგრეთვე, როგორც გვითხრეს, სხვები გაყინულიყვნენ და გახეიბებულყვნენ დიდი სიცივეების გამო.

მათ მრავალი ტყვე ქალი ჰყავთ. დაპყრობილი ქალაქებიდან გამოჰყავთ ხელოსნები, რომელთაც თავიანთ თავისთვის სასარგებლოდ სთვლიან, და მათ მუდმივ მონობაში აპყობებენ. აგრეთვე ტყვე ქალიშვილებსა და გაუთხოვარ ქალებს მზარეულებად იმსახურებენ, მაგრამ არც ტანისამოსს აძლევენ და თითქმის არც აკმევენ.

### თ ა ვ ი მ ი რ ვ ე მ

#### როგორ უნდა ვიმოხმოთ თათრებს

ვილაპარაკეთ რა მათდამი დამორჩილებულ ქვეყნებზე, საჭიროა ვთქვათ თუ როგორ უნდა შევხედეთ თათრებს ომში. ამის შესახებ, მგონია, შეიძლება ასე ვილაპარაკოთ. პირველად ვთქვათ მათს განზრახვაზე; მეორედ—მათს იარაღსა და ჯარის წყობაზე, მესამედ—როგორ უნდა შევხედეთ მათ ვერაგობას შეტაკების დროს, მეოთხედ—ციხეებისა და ქალაქების გამაგრებაზე, მეხუთედ—როგორ უნდა მოვექცეთ მათ ტყვეებს.

თათრების განზრახვა იმაში მდგომარეობს, რომ თუ შეიძლება, მთელი დედამიწა დაიპყრან და ეს, როგორც ზემოთ ვთქვით, მათ ჩინგიზ-ყაენისაგან აქეთ ნაბრძანევი. ამიტომ მათი იმპერატორი თავის სიგელებში ასე სწერს; „ღვთის ძალით ყოველ ადამიანთა მბრძანებელი“; ხოლო მის ბეჭედზე შემდეგი წარწერაა: „ღმერთი ზეცაზე, ხოლო გუიუქ-ხანი დედამიწაზე. ღვთის ძალით ყოველ ადამიანთა იმპერატორის ბეჭედი“. ამიტომ, როგორც უკვე ვთქვით, ისინი არავისთან ზავს არ სდებენ იმათ გარდა, ვინც მათ დაემორჩილება. ვინაიდან საქრისტიანოს გარდა, დედამიწის ზურგზე ქვეყანა



არ მოიპოვება, რომელსაც თათრები არ დაუფლებოდნენ, ისინი ჩვენ წინააღმდეგ სამძრად ემზადებიან. ამიტომ დაე, ყველა იცოდეს, რომ როცა ჩვენ თათრების ქვეყანაში ვიყავით, დავესწარიტ სახეიმო კრებას, რომელიც რამდენიმე წლის წინათ იყო დანიშნული, სადაც მათ აირჩიეს იმპერატორი, ანუ, მათი ენით რომ ვთქვათ, ხანი, გუიუქი. ამ გუიუქ-ხანმა ყველა მთავრითურთ დროშა აღმართა ღვთის ეკლესიისა და რომის იმპერიის წინააღმდეგ, ყველა ქრისტიანული სამეფოებისა და დასავლეთის ხალხების წინააღმდეგ, თუ ისინი არ შეასრულებენ, რასაც იგი უფალ პაპს და დასავლეთის ქრისტიან ხალხებს უბრძანებს. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა შესრულდეს, ერთი იმიტომ, რომ ისინი დაპყრობილ ადამიანებს უღმობელ და აუტანელ მონობაში აგდებენ, რომელიც დღემდე გაუგონარი იყო, მაგრამ ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ; მეორეც იმიტომ, რომ არაფერში არ შეიძლება მათ ვერწმუნოთ: არავის არ შეუძლია მათს სიტყვებს დაენდოს, რამდენადაც ისინი თავიანთ აღთქმას არ ასრულებენ, და როდესაც მოხერხებულ შემთხვევას პოულობენ, საქმითაც და სიტყვითაც იტყუებიან. აგრეთვე, როგორც ზემოთ ვთქვიტ, ცდილობენ დედამიწის ზურგიდან აღგავონ ყველა ხელმწიფე, კეთილშობილი ადამიანები და მხედრები, მხოლოდ ამისთვის დამორჩილებულთა მიმართ მზაკრობასა და თვალთმაქობას იყენებენ. გარდა ამისა, ქრისტიანებისთვის უღირსი ქცევა იქნებოდა მათდამი დამორჩილება, მათი სიბილწის გამო და კიდევ იმიტომ, რომ მათი ღვთის თაყვანისცემა არარობამდეა დასული, ისინი სულს ღუპავენ, ხოლო სხეულს დაუჯერებელი ტანჯვანწვალებით ქანცავენ. თავდაპირველად ისინი ალერსიანნი არიან, მაგრამ შემდეგ ადამიანს მორიელბივით გესლავენ და აწამებენ. ამავე დროს ისინი ქრისტიანებზე უფრო მციკერიცხოვანნი და სხეულიტ სუსტნი არიან.

ზემოხსენებულ კრებაზე დანიშნულ იქნენ მეომრები და მხედართმთავრები. ყველა ქვეყნიდან, რომელიც მათ ემორჩილებათ, მათ ყოველი ათი კაციდან სამი კაცი გამოჰყავთ მათი მსახურბითურთ. ერთმა ჯარმა, როგორც ჩვენ გვითხრეს, ჰუნგრეთის გზით უნდა გამოილაშქროს, მეორემ—პოლონეთის; და მოვლენ, რათა შეუწყვეტლივ, თერამეტი წელიწადი იბრძოლონ. ლაშქრობის დაწყების დროც დანიშნული აქეთ: 1247 წლის მარტი. სამ-ოთხ წელიწადში კომანიამდე მივლენ, ხოლო იქიდან ზემოდასახელებულ ქვეყნებს დაესხმიან თავს. ყოველივე ეს უცილობლად მოხდება, თუ ღმერთმა არ შეგვიწყალა და ისეთივე დაბრკოლება არ შეუქმნა, როგორიც იმ დროს შეხედათ, როცა ისინი ჰუნგრეთსა და პოლონეთში მოვიდნენ; ვინაიდან მაშინ ოცდაათი წელიწადი სულ წინ უნდა ევლოთ,



მაგრამ მათი იმპერატორი მოწამლულ იქნა და მათ აღარ უომიათ დღევანდელ დღემდე. ახლა კი, რადგან ახალი იმპერატორი უკვე არჩეულია, ისინი ხელახლა ემზადებიან საომრად. ამას გარდა, საჭიროა ვიცოდეთ, რომ თვით იმპერატორმა თავისი საკუთარი პირით სთქვა, ჯარი უნდა გავგზავნოთ ლივონიასა და პრუსიაშიო.

ხოლო რადგანაც მათ განზრახული აქვთ დაარბიონ ან დაიმონონ მთელი დედამიწა, ასეთი დამონება კი აუტანელია ჩვენი ადამიანებისთვის, ამიტომ, როგორც ზემოთ ვთქვით, საჭიროა, რომ მათ შევებრძოლოთ. მაგრამ თუ ერთმა ქვეყანამ არ მოისურვა მეორეს მიეშველოს, ისინი ააოხრებენ იმ მიწა-წყალს, რომელსაც თავს დაესხმიან, და დატყვევებული ადამიანებით მეორეს დაეცემიან; ამ ტყვეებს კი პირველ რიგებში დააყენებენ; თუ ამ ტყვეებმა უხეიროდ იბრძოლეს, დახოცავენ, ხოლო თუ კარგად იბრძოლეს, მოეფერებიან; და რათა ისინი არ გაექცნენ, ოქროს მთებს აღუთქვამენ; ხოლო როგორც კი დარწმუნდებიან, რომ ვერსად წავლენ, უმკაცრეს მონობაში ჩაადებენ. აგრევე ექცევიან ქალებს, რომელნიც სურთ ხასებად და მონებად იყოლიონ. არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელსაც, ჩვენი აზრით, შეეძლოს მარტოდ მარტო წინააღმდეგს მათ: იმიტომ რომ, როგორც ვთქვით, ისინი საომრად ადამიანებს ჰკრებენ ყველა ადგილიდან, რომელთაც ჰვლობენ. ამიტომ, თუ ქრისტიანებს უნდათ თავიანთი თავი, თავიანთი მიწა-წყალი და მთელი ქრისტიანობა გადაარჩინონ, საჭიროა, რომ მეფეებმა, მთავრებმა, ბარონებმა და ქვეყნის გამრიგებებმა თავი მოიყარონ და ზაერთო გადაწყვეტილებით ჯარი გავგზავნონ მათთან საბრძოლველად, სანამ ისინი ქვეყანაში გაიბნეოდნენ; იმიტომ რომ, თუ ქვეყანას მოედვენ, ვერც ერთი ვერ შესძლებს მეორესთვის სათანადო დახმარების გაწევას: თათრები ყოველგან გუნდ-გუნდად ეძებენ ადამიანებს და ხოცავენ, სადაც კი მიუსწრებენ. ხოლო თუ მოწინააღმდეგე ციხეში ან ქალაქში ჩაიკეტა, ისინი სამოთხ ათას კაცს სტოვებენ ალყის შემოსარტყმელად, თვითონ კი იფანტებიან და ადამიანებს ჟღერენ.

ვისაც მათ წინააღმდეგ ბრძოლა სურს, შემდეგი იარაღი უნდა იქონიოს: კარგი და მაგარი მშვილდი, ბოძალდი, რომლისაც მათ ძალიან ეშინიათ, ისრების საკმაო რაოდენობა, აგრეთვე კარგი რკინის კეტი ან გრძელტარიანი ჩუგლუვი, აგრეთვე გრძელსახელურიანი ფარი. მშვილდის და ბოძალდის ისრების წვერები თათრულად უნდა გამოიწროთ მარილიან წყალში, რათა მათ უკეთ გაბასრონ მათი იარაღი. აგრეთვე საჭიროა მახვილებისა და კაუჭიანი შუბების ქონა მათ გადმოსათრეველ უნაგირიდან, ვინაიდან იქიდან ადვილად ვარდებიან, შემდეგ დანები და ორმაგი აბჯარი, რომე-

ლიც მათმა ისრებმა ადვილად ვერ უნდა გახვრიტოს, მუზარადი და სხვა იარაღი მხედრის სხეულისა და ცხენის დასაცავად მათი იარაღისა და ისრებისაგან. თუ ზოგიერთები ისე კარგად შეიარაღებული არ იქნებიან, როგორც ვთქვით, ისინი უკანა რიგებში უნდა დარჩნენ, როგორც თათრები შერებიან და მათ ზიანი მიაყენონ მშვილდისრებიტა და ბოძალებით. და ფული არ უნდა დავზოგოთ იარაღის მოსამზადებლად, რათა შევძლოთ სულის, სხეულის, თავისუფლებისა და სხვა საგნების შენარჩუნება.

თათრების მსგავსად ჯარში რაზმები ათასისთავებს, ასისთავებს, ათისთავებსა და მხედართმთავრებს უნდა დაექვემდებარონ. ეს მხედართმთავრები არავითარ შემთხვევაში ბრძოლაში არ უნდა ჩაებნენ, როგორც ბრძოლაში არ ებმიან მათი მხედართმთავრები, არამედ ჯარს ყური უნდა უგდონ და განაწყონ. კანონით უნდა დადგინდეს, რომ ბრძოლაში ყველანი ერთად უნდა ჩაებნენ ან მწყობრებად, და თუ ვინმე ომში წასვლისას ან თვით ბრძოლის დროს მეორეს მიატოვებს ან ასპარეზიდან გაიქცევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მთელი ჯარი ილტვის, ის მკაცრად უნდა დაისაჯოს: იმიტომ რომ ამ შემთხვევაში მტრის ჯარის ნაწილი ლტოლვილთ მისდევს და ისრებს ესვრის, ხოლო მეორე ნაწილი უკან დარჩენილთ ებრძვის და ამრიგად იწვევენ რა არე-დარევეს, დარჩენილთაც ჟლეტს და გაქცეულთაც. აგრეთვე, მკაცრად უნდა დაისაჯოს ის, ვინც დავლას მივარდება მტრის სრულ დამარცხებამდე: ასეთ ადამიანებს თათრები შეუბრალებლად ხოცავენ.

თუ შესაძლებელია, ბრძოლის ასპარეზად ტრიალი მიინდობი უნდა აირჩეს, რათა თათრები ყოველმხრივ კარგად გამოჩნდნენ; აგრეთვე, თუ შესაძლებელია, ჩვენ უკანიდან ან გვერდიდან დიდი ტყე უნდა გვკონდეს; მაგრამ ისე კი, რომ მტერმა ვერ შესძლოს ჩვენს ჯარსა და ტყის შუა შემოჭრა. მთელი ჯარი არ უნდა შეგუნდეს, არამედ რამდენიმე ნაწილად დაიყოს და ერთი მეორის შორიახლო დადგეს. იმათ უკუსაქცევად, ვინც მტრის ჯარიდან პირველად გამოდის, ერთი ნაწილი უნდა გაიგზავნოს. თუ თათრები თვალთმაქცურად გაიქცნენ, შორს არ უნდა დავედევნოთ, რათა მათ მიერ მომზადებულ საფარში არ ჩავცვიდეთ; საჭიროა მზად ვიყოლიოთ მეორე რაზმი, რაფა, თუ წინ წარგზავნილ რაზმს გაუჭირდა, მას მიეშველოს. გარდა ამისა საჭიროა ყოველი მიმართულებით მზვერავების ყოლა, რათა უკანიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან ცნობები ვიქონიოთ წინმოძვალ თათრის რაზმებზე და ყოველი მათი რაზმის უკუსაქცევად ჩვენი რაზმი ვავგზავნოთ. ისინი ყოველთვის ცდილობენ თავიანთს მოწინააღმდეგეს გარს შემოერთყან, რასაც ყოველის ღონისძიებით უნდა ვუფრთხილდეთ: იმიტომ რომ

ამის გამო ჯარი ადვილად მარცხდება. ჯარის ნაწილები შორს არ უნდა დაედევნონ მათ, იმიტომ რომ ისინი ჩვეულებრივ საფრებს აკეთებენ და საერთოდ უფრო ვერაგობით იბრძვიან, ვიდრე ძალღონით.

მხედართმთავრები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ, თუ საჭირო გახდა, დახმარება გაუწიონ ბრძოლაში ჩაბმულთ. დიდხანს მათი დევნა სასურველი არ არის იმიტომაც, რომ ცხენები არ დაილაღონ: ჩვენ ცხენები ცოტა გვყავს, თათრები კი სამი-ოთხი დღე აღარ ჯდებიან იმ ცხენზე, რომელზედაც ერთი დღე იბრძოდნენ; რადგან მათ ბევრი ცხენი ჰყავთ, არ სწყუხან, თუ ისინი დაიღლებიან. თუ თათრები უკან დაიხვევენ, ჩვენები ერთმანეთს არ უნდა დაშორდნენ: ისინი ამას განგებ შვრებიან, რათა მტრის ჯარი დაიქსაქსოს, რის შემდეგ ადვილად შედიან ქვეყანაში და არბევენ მას. საჭიროა აგრეთვე სურსათის დაზოგვა, რათა მათი ნაკლებობის გამო იძულებული არ გავხდეთ უკან დავიხიოთ და თათრებს საშუალება მიეცეთ მთელი ქვეყანა ააოხრონ და თავიანთი ჯარის განვრცობით ღვთის სახელი შეაგინონ. თუ ზოგიერთი მეომარი იძულებული გახდა უკან დაიხიოს, უნდა თვალყური ედევნოს, რომ მისი ადგილი სხვამ დაიჭიროს.

ჩვენმა მხედართმთავრებმა გუშაგები უნდა დააყენონ დღისით და ღამით, რათა მტერი მოულოდნელად თავს არ დაგვეცეს; იმიტომ რომ თათრები დემონებივით მრავალ ბოროტს და მანებელ საქმეს იგონებენ. კიდევ მეტი: ყოველთვის, დღისით და ღამით მზად უნდა ვიყოთ, ტანთ გაუხდელად ვიძინოთ და განცხრომას არ მივეცეთ სუფრაზე, რათა მტერმა მოულოდნელად არ მოგვისწროს. იმიტომ რომ თათრები ყოველთვის ფხიზლობენ, რათა ზიანი მოგაყენონ. იმ ქვეყნის მცხოვრებლებმა კი, რომელიც თათრების თავდასხმას ელის ან უფრთხის, ფარული ორმოები უნდა იქონიონ და შიგ ჭირნახული და სხვა რამეები შეინახონ ორი მიწების გამო: ერთი იმიტომ რომ ყოველივე ეს თათრებს ხელში არ ჩაუვარდეთ, ხოლო მეორე იმიტომ რომ, თუ უკან დაბრუნდნენ, შეიძლებოდეს მათი აღმოჩენა. თივა და ჩალა უნდა დაიწვას, რათა თათრებმა საკვები ვერ იშოვნონ თავიანთი ცხენებისათვის.

როცა ქალაქებისა და ციხეების გამაგრება გვიწევდა, თავდაპირველად მათი მდებარეობა უნდა დავათვალიეროთ. ციხე-სიმაგრეების მდებარეობა ისეთი უნდა იყოს, რომ შეუძლებელი იქნეს მისი აღება მანქანებით და ისრებით; მას წყალი და შეშა საკმაოდ უნდა ჰქონდეს და, თუ შესაძლებელია, მტერმა ვერ უნდა მოახერხოს მისი შესასვლელისა და გამოსასვლელის გადაჭრა; აგრეთვე შიგ ადამიანთა საკმაო რიცხვი უნდა მოიპოვებოდეს რიგ-რიგობით საბრძოლველად. გულმოდგინედ თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ თათ-

რებმა ციხე-სიმაგრე მოტყუებით არ აიღონ, სურსათი რამდენიმე წლით უნდა მოვიმარაგოთ, გავუფრთხილდეთ მას და ზომიერად ვინმართო; არაეინ იცის რამდენ ხანს ვიქნებით გარემოცული, იმიტომ რომ თათრები მრავალ წელს დგანან ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრესთან. ალანთა ქვეყანაში იმათ, როგორც ვიცით, თორმეტი წელიწადის განმავლობაში ჰქონდათ ალყა შემორტყმული ერთი მთისთვის, რომელმაც მათ მამაცი წინააღმდეგობა გაუწია და მრავალი თათარი და წარჩინებული პირი შეიწირა. სხვა ციხე-სიმაგრეები და ქალაქები, რომელთაც ასეთი მდებარეობა არ აქვთ, ღრპა თხრილებითა და მტკიცე კედლებით უნდა შემოიზღუდონ და საკმაოდ უნდა მომარაგდნენ მშვილდ-ისრებით, ქვებითა და შურდულებით. და ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ თათრებმა მანქანები არ დასდგან, არამედ ისინი ჩვენი მანქანებით მოვიგერიოთ; მათს მოახლოებას ქალაქთან ხელი უნდა შევუშალოთ ბოძალდებით, შურდულებითა და მანქანებით. სხვა მხრივაც მზად უნდა ვიყოთ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. იმ ციხე-სიმაგრეებისა და ქალაქების მიმართ, რომელნიც მდინარის პირას სდგანან, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა მათ წყალი არ მიუშვან და არ წაღეკონ. ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, თათრები ამჯობინებენ, რომ მათი მოწინააღმდეგენი ქალაქებში და ციხე-სიმაგრეებში ჩაიკეტონ, ვიდრე ველზე შეებრძოლონ. მაშინ ისინი ამბობენ,—ეს ჩვენი გოჭები არიან, ბოსელში შერეკილინო; ამიტომ მათ ყარაულს უყენებენ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი.

თუ რომელიმე თათარი ბრძოლის დროს ცხენიდან ჩამოაგდეს, ის მაშინვე უნდა დატყვევებულ იქნეს, იმიტომ რომ ქვეითად ისინი ძლიერად ისვრიან და ჰკოდავენ და ხოცავენ ადამიანებსა თუ ცხენებს. თუ ასეთ ადამიანებს შევინარჩუნებთ, შეიძლება მათ სანაზღაუროდ მუდმივი ზავი ან დიდი თანხები მივიღოთ, იმიტომ რომ ძლიერ უყვართ ერთმანეთი. როგორ უნდა გამოვიცნოთ თათრები, ამის შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ მათი გარეგნობის აწერის დროს. ტყვეებს ფხიზელი ყარაული უნდა მივუყენოთ, რათა ისინი არ გაიპარონ. მათ შორის მრავალი სხვა ხალხის ადამიანები არიან, რომელთა მათგან გამორჩევა ზემოთ მოყვანილი აღწერის მიხედვით შეიძლება. უნდა ვიცოდეთ აგრეთვე, რომ მათ ჯარში მრავალია ისეთი, რომელნიც მოხერხებულ შემთხვევაში და თუ ისინი დარწმუნებული იქნებიან, რომ ჩვენები მათ არ დახოცავენ, როგორც ჩვენ თვითონ გვარწმუნებდნენ, მათ შეებრძოლებიან და მეტ ზიანს მიაყენებენ, ვიდრე მათი აშკარა მტრები.

ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ყოველივე ზემოთ თქმული მოგვეყვანა მხოლოდ როგორც პირადად ნახული და გაგონილი და არა

იმისთვის, რომ გვესწავლებინა მცოდნე პირებისთვის, რომელნიც მებრძოლ ჯარში მსახურობენ და სამხედრო ხერხები იციან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვინც ამაში გამოცდილი და განსწავლულია, ბევრად უფრო კარგსა და სასარგებლოს მოიგონებს, მაგრამ ისიც კი, ზემოთ თქმულის წყალობით, შესაძლებლობას მიიღებს შემთხვევა და შინაარსი იპოვოს დაფიქრებისათვის; ვინაიდან საღმრთო წერილში სწერია: შესმენით ბრძენი უფრო ბრძენი გახდება, ხოლო გონიერი საჭესა დაეუფლება.

## წიგნი მეორე

თ ა მ ი ა ი რ ვ ე ლ ი

### ქმა იოანე დე კლანო კარკინის მოგზაურობა თათრების პირველ საპარაულომდე

ვილაპარაკეთ რა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შევხედოთ მათ ომში, ბოლოს ავწეროთ ჩვენ მიერ განვლილი გზა, იმ ქვეყნების მდგომარეობა, რომელიც გზად ვნახეთ, იმპერატორისა და მისი მთავრების კარის განრიგება და ჩამოვთვალოთ თათართა მიწა-წყალზე ნახული მოწმეები.

როდესაც ჩვენ განვიზრახეთ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, თათრებთან გაემგზავრებულიყავით, ჩვენ ბოჰემიის მეფესთან<sup>63</sup> მივე-  
დით. ვინაიდან ეს ხელმწიფე დიდი ხანია კეთილგანწყობილი იყო ჩვენდამი, ჩვენ რჩევა ვკითხეთ, თუ რომელი მიმართულება სჯობდა სამოგზაუროდ; მან გვიპასუხა, რომ პოლონეთისა და რუსეთის გზით წასვლას გვირჩევდა, იმიტომ რომ პოლონეთში ნათესავები ჰყავდა, რომელთა დახმარებით ჩვენ შეგვეძლო რუსეთში გადავსულიყავით. მან ჩვენ წერილი და კარგი მეგზურები მოგვცა, ამასთანვე ბრძანება გასცა, რომ ჩვენთვის სურსათი ეძლიათ, სანამ მის სოფლებსა და ქალაქებში ვიქნებოდით და მისი სამფლობელოდან მის დისწულ მთავარ ბოლესლავთან<sup>64</sup> არ მივიდოდით, რომელიც აგრეთვე ჩვენი ნაცნობი და მახლობელი იყო. ამ უკანასკნელმა აგრეთვე ბრძანება გასცა ჩვენ ლაუტისციის დუკა კონრადამდე<sup>65</sup> მივეცილებინეთ, რომელ-  
თანაც იმჟამად, ღვთის ჩვენდამი განსაკუთრებული მოწყალების გამო, რუსეთის მთავარი ბატონი ვასილკო<sup>66</sup> მოვიდა. მან ბევრი რამ გვიამბო თათრების შესახებ, ვინაიდან მათთვის ელჩები გაეგზავნა, რომელნიც უკვე დაბრუნებულიყვნენ. გავიგეთ რა, რომ თათრებისათვის საჩუქრები უნდა მიგვეძღვნა, ჩვენ საგზაო ხარჯებისთვის შეგროვილი მოწყალებით რამდენიმე წავისა და სხვა ცხოველების ბეწვეული ვიყიდეთ. დუკა კონრადმა და კრაკოვის დუკის მეუღლემ, აგრეთვე ეპისკოპოსმა და ზოგიერთმა სამხედრო პირმა მრავალი ასეთი ბეწვეულით დაგვასაჩუქრეს.

ბოლოს მთავარმა ვასილკომ კრაკოვის მთავრის, ეპისკოპოსისა და ბარონების თავგამოდებული თხოვნის ზეგავლენით თავის სამფლობელოში წაგვიყვანა და რამდენიმე დღე თავის ხარჯზე გვაცხოვ-



რა, რათა დაგვესვენა. ჩვენი თხოვნის მიხედვით მან თავისი ეპისკოპოსები შეკრიბა; ჩვენ მათ უფალი პაპის ეპისტოლე წაუკითხეთ, რომელშიც ის მათ ურჩევდა წმინდა ეკლესიას შეერთებოდნენ. ჩვენც ჩვენი მხრით, რამდენადაც შეგვეძლო, ამასვე ვურჩევდით როგორც მთავარს, ისე ეპისკოპოსებსა და სხვებს. მაგრამ ვინაიდან იქ არ იყო ვასილკოს ძმა მთავარი დანიელი<sup>67</sup>, რომელიც ბათო ყაენთან წასულიყო, მათ ვერ შესძლეს გადაჭრილი პასუხის მოცემა.

ამის შემდეგ დუკა ვასილკომ მსახური მოგვცა და რუსეთის დედაქალაქ კიევისკენ გაგვისტუმრა. გზაზე ჩვენ განუწყვეტლივ საფრთხე გვემუქრებოდა ლიტოველების მხრით, რომელნიც ხშირად თავს ესხმოდნენ რუსეთის მიწა-წყალს, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ჩვენ უნდა გაგვევლო. რუსების მხრით კი უზრუნველყოფილი ვიყავით, რაკი ზემოხსენებული მსახური გვახლდა; ამას გარდა მათი უდიდესი ნაწილი ან გაჟლეტილია, ან თათრების მიერ ტყვედნაა წაყვანილი.

დანილოვში ჩვენ ისეთი დაღლილობა ვიგრძენით, რომ კინაღამ დაიხიზოცენით; ამისდა მიუხედავად ფორნით გზას გავუდევით თოვლსა და საშინელს სიცივეში. კიევში მისვლის შემდეგ ჩვენი მგზავრობის განგძობაზე ვეთათბირეთ იქაურ ათასისთავსა და სხვა წარჩინებულ პირებს. მათ გვითხრეს, თუ თათრებთან იმავე ცხენებით წახველით, რომლებითაც აქ მოხველით, ისინი ყველანი დაიხიზოცებიან, ვინაიდან მათ არ იციან თოვლის ქვეშ საკვების ძებნა, როგორც ამას თათრის ცხენები შერებინაო; სხვა საკვების შოვნა კი მათთვის შეუძლებელია, ვინაიდან თათრებს არც ჩალა მოეპოვებათ, არც თივა და არც სხვა საკვებო. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ჩვენი ცხენები იქ დაგვეტოვებინა ორი მოსამსახურითურთ მათ მოსავლელად, ხოლო ათასისთავს საჩუქარი მივეცით, რათა ჩვენთვის სხვა ცხენები და გამყოლი მოეცა.

ამრიგად, მირჩქმის მეორე დღეს<sup>68</sup> ჩვენ გზას დავადექით და სოფელ კანოვში<sup>69</sup> მივედით, რომელიც უშუალოდ თათრებისგან იყო დამოკიდებული. ამ სოფლის უფროსმა ცხენები და გამყოლი მოგვცა მეორე სოფლამდე, რომელსაც ვინმე ალანი მიხეი განაგებდა, მამაკაცი აღსაესე ყოველივე ბოროტებითა და ვერაგობით. სახელდობრ, მან გამოგვიგზავნა კიევში ზოგიერთი თავისი მცველი, რათა ჩვენთვის ვითომდა კორენცას<sup>70</sup> სახელით ეუწყებინა, რომ მასთან მივსულიყავით. ეს იმისთვის ჩაიდინა, რომ ჩვენთვის საჩუქრები დაეტყუებინა. ხოლო როცა ჩვენ მასთან მივედით, ჩვენთვის 'მიუღგომელი აღმოჩნდა და არ მოისურვა ჩვენი გაცილება, სანამ 'საჩუქრები არ აღუთქვით; რაკი ჩვენ დავინახეთ, რომ წინ ვერ წავიდოდით, ზოგიერთ რამეს შევპირდით და მივეცით კიდევ; რაც შესა-

ფერისად მიგვაჩნდა, მაგრამ მან არ ისურვა მიღება, სანამ არ მივეუ-  
მატეთ მისი სურვილის მიხედვით. ზოგიერთი რამ კიდევ მან წაგვარა-  
თვა მზაკვრობით, ქურდულად და ბოროტებით.

### თავი მეორე

#### როგორ მიიღეს ის თავდაპირველად მის თანამგზავთან ერთად თათრებმა

როცა შაბათს დიდი მარხვის პირველ კვირაში<sup>71</sup>, მზის ჩასვლი-  
სას ღამის გასათევად გავჩერდით, შეიარაღებული თათრები საზარელი  
სახით მოგვეპარდნენ და გვეკითხეს, რა ხალხი ხართო. როცა ჩვენ ვუპა-  
სუხეთ, უფალი პაპის ელჩები ვართო, მათ ზოგი რამ აიღეს.  
ჩვენი სანოვაგიდან და მაშინვე გაგვშორდნენ. დილით ძლიერ მოვას-  
წართ ცოტაოდენი მანძილის გავლა, რომ უკვე იმათი უფროსები  
შეგვხვდნენ, ვინც საყარაულოში იყვნენ, და შეგვეკითხნენ, რად მოხ-  
ველით ჩვენთან და რა საქმე გაქვთო. ჩვენ ვუპასუხეთ, ჩვენ უფალი  
პაპის ელჩები ვართ, ის კი ქრისტიანების მამა და ხელმწიფე არის-  
ოქო. მან გამოგვეჩვენა თქვენს მეფესა, თავადებთან და ყველა  
თათრებთან, ვინაიდან სურს, რომ ქრისტიანები თათრების მეგობ-  
რები იყვნენ და მათთან მშვიდობიანად იცხოვრონოქო. გარდა ამისა,  
მას სურს, რომ თათრები ამაღლდნენ ზეცაში ღვთის წინაშე და  
ამიტომ მათ, როგორც ჩვენი პირით, ისე თავისი ეპისტოლით არწ-  
მუნებს ქრისტიანები გახდნენ და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სარ-  
წმუნოება მიიღონ, ვინაიდან სხვა გზით არ შეუძლიათ ცხოვნება.  
გარდა ამისა ის გაცეხულია იმ საშინელი სისხლის ღვრის გამო,  
რომელიც თათრებმა მოახდინეს, განსაკუთრებით საქრისტიანოში,  
ხოლო ყველაზე მეტად ჰუნგრეთსა, მორავიასა და პოლონეთში, სადაც  
პაპის ქვეშევრდომები ცხოვრობენ, რომელთაც თათრები არაფრით  
არ შეურაცხყვიათ, არც უფიქრიათ მათი შეურაცხყოფა. და ვინაიდან  
ამით ღმერთი საშინლად განარისხეს, ის მათ ურჩევს მომავალში ეს-  
აღარ ჰქნან, ხოლო უკვე ჩადენილი შეცოდებანი მოინანიონ. ბოლოს,  
ის მათ სთხოვს მისწერონ, რის ვაკეთებას აპირებენ და როგორია  
მათი განზრახვა.

ამის მოსმენის და გაგებისთანვე თათრებმა გვითხრეს, ცხენებსა-  
და გამყოლს მოგვცემთ კორენცამდეო, რის შემდეგ დაგვიწყეს საჩუ-  
ქრების თხოვნა, რაიცა ჩვენ მივეცი. მივიღეთ რა ცხენები, რომლე-  
ბიდანაც ისინი ჩამოხტნენ, ჩვენ მათი გამყოლითურთ კორენცასთან  
გავემგზავრეთ, მაგრამ მათ დაგვასწრეს და ამ მხედართმთავარს  
მალემსრბოლი გაუგზავნეს ჩვენი ნალაპარაკევის გადასაცემად.

ეს მხედართმთავარი უფროსობს იმ ჯარებს, რომელნიც ყარაულად არიან დაყენებული მთელი დასავლეთის ხალხების წინააღმდეგ, რათა ისინი მოულოდნელად თავს არ დაეხსნენ თათრებს. ამბობენ, მას სამოცი ათასი შეიარაღებული კაცი ჰყავს თავის ხელქვეითო.

### თ ა ვ ი მ მ ს ა მ მ

#### როგორ მიიღო ისინი კორმენცაჲ

როდესაც მის კარზე მივედით, მან ჩვენი სადგომი მოშორებით დაგვადგმევინა და თავისი მმართველები გამოგვიგზავნა გამოსაკითხად, რით გვინდა ჩვენ მას თაყვანი ვსცეთ, ესე იგი რა ძღვენის მირთმევას ვაპირებთ. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ უფალ პაპს არაფითარი ძღვენი არ გამოუგზავნია, ვინაიდან არ ჰგონებია, რომ ჩვენ მის სადგომამდე მივალწევდით, რომ, ამას გარდა, ჩვენ მეტად სახიფათო გზით ვიმოგზაურეთ; ამისდა მიუხედავად ჩვენ მას სათანადო პატივს მივუძღვნით და რაიმეს მივართმევთ იმ მარაგიდან, რაც ჩვენ თავის სარჩენად გვაქვს ღვთისა და მისი უწმინდესობის წყალობით. საჩუქრების მიღების შემდეგ, იმათ ურდოში ანუ კარავში წაგვიყვანეს; მათ გვიბრძანეს, რომ სადგომის წინ სამჯერ მოგვედრიკა მარცხენა მუხლი და ყოველნაირად ვცდილიყავით ფეხი არ დაგვებიჯებინა ზღურბლზე. კარავში შესვლის შემდეგ ჩვენ იძულებული გავხდით დაგვეჩოქნა მხედართმთავრისა და საგანგებოდ მოწვეულ წარჩინებულთა წინაშე და ზემოთ ნათქვამი გაგვემეორებინა. ამასთანვე პაპის ეპისტოლე გადავეცით; მაგრამ ჩვენ მიერ კიევში დაქირავებულმა და თან წამოყვანილმა თარჯიმანმა ვერ შესძლო მისი გადათარგმნა, სხვა, უკეთესი მთარგმნელი კი არ გვაყვდა. აქ ჩვენ ცხენები და სამი თათარი მოგვცეს, რომელთაც ჩქარა ბათოსთან მიგვიყვანეს; ის მათ შორის უძლიერესად ითვლება მათი იმპერატორის შემდეგ, ისინი ვალდებული არიან მას უფრო მეტად დაემორჩილონ ვიდრე სხვა მთავრებს.

ჩვენ გზას გაუღდექით დიდი მარხვის მეორე კვირის სამშაბათს და ყოველდღე დილიდან საღამომდე, ხშირად ღამითაც მივიღოდით, ისეთი სიჩქარით, რომლითაც ჩვენს ცხენებს შეეძლოთ ჰენება; ცხენებს კი სამჯერ თუ ოთხჯერ ვიცვლიდით ღლეში: ამისდა მიუხედავად ბათოსთან მხოლოდ დიდ ხუთშაბათს მივალწვიეთ.

ჩვენი გზა გადიოდა კომანთა მიწა-წყალზე, რომელიც მთლიანად ვაკეს წარმოადგენს. აქ ოთხი დიდი მდინარეა. პირველს ჰქვია ნეპერი, რომლის ნაპირას რუსეთის მხარეზე კორენცა მომთაბარეობს; ხოლო მეორე მხარეზე ტრამალეზში—მონტი, რომელიც მასზე უფრო წარჩი-

ნებულია. მეორე მდინარეს დონი ჰქვია. მის ნაპირებზე ვილაც თავადი მომთაბარეობს, სახელად ტირბონი, რომელსაც ცოლად ბათოს და ჰყავს. მესამეს ვოლგა ჰქვია, ეს მეტისმეტად დიდი მდინარეა, რომლის ნაპირას ბათო დგას. მეოთხეს იაევი ჰქვია, მის ნაპირებზე ორი ათასისთავი მომთაბარეობს, ერთი—ერთი მხრიდან, ხოლო მეორე—მეორედან. ყველა ისინი ზამთარში ზღვისკენ ეშვებიან, ხოლო ზაფხულში ზემოხსენებული მდინარეების ნაპირებზე მთებზე ადიან. ეს დიდი ზღვაა, საიდანაც გამოდის წმინდა გიორგის ტოტი, რომელიც კონსტანტინეპოლისკენ მიმდინარეობს<sup>72</sup>. ეს მდინარეები, განსაკუთრებით ვოლგა, მეტად თევზმარავალი არიან, ისინი საბერძნეთის ზღვას ერთვიან, რომელსაც აგრეთვე დიდი ზღვა ეწოდება<sup>73</sup>. ჩვენ კარგა ხანს გაყინულ ნეპრზე ვმოგზაურობდით. საბერძნეთის ზღვის გაყინულ სანაპიროზე მოგზაურობა მრავალ ადგილას სახიფათო იყო. ეს ზღვა სამი მილის მანძილზე იყინება ნაპირიდან.

მაგრამ სანამ ბათოსთან მივალწევდით, ორმა ჩვენმა თათარმა გაგვისწორო, რათა მისთვის მოეხსენებიათ, რა ველაპარაკეთ ჩვენ კორენცას.

### თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

#### როგორ მიიღო ისინი დიდმა მთავარმა ბათომ

როცა კომანთა ქვეყნის საზღვარზე ბათოსთან მივალწიეთ, ჩვენ კარგად მოგვათავსეს ერთი ლიეს<sup>74</sup> მანძილზე მისი სადგომიდან. როცა მის კარზე უნდა წავმდგარიყავით, გვითხრეს, ორ ცეცხლს შუა უნდა გაიაროთო. ამაზე ჩვენ არა გზით არ ვთანხმდებოდით. მათ გვითხრეს: თამამად წადით, ჩვენ ამას მხოლოდ იმიტომ გაკეთებინებთ, რომ თუ ჩვენი მპრძანებლის წინააღმდეგ რაიმე ბოროტი განზრახვა გაქვთ ან თან საწამლავს ატარებთ, ცეცხლი ყოველ ბოროტებას მოსპობს. ჩვენ ვუპასუხეთ: თუ ასეა, ჩვენ ვავივლით, რათა იქვი არ გამოვიწვიოთ. ამრიგად, როდესაც ურდოში მივედით, მისმა მმართველმა ელდეგაიმ<sup>75</sup> გვკითხა, რით გინდათ თაყვანი სცეთო? ჩვენ იგივე ვუპასუხეთ, რაც კორენცას. საჩუქრების გადაცემისა და მიღების, აგრეთვე ჩვენი მისვლის მიზეზების მოსმენის შემდეგ, მთავრის სადგომში შეგვიყვანეს, მხოლოდ წინდაწინ მუხლი მოგვადრეკინეს და გაგვაფრთხილეს, ზღურბლს ფეხი არ ახლოთო. სადგომში შესვლის შემდეგ ჩვენი სიტყვა მუხლმოდრეკილებმა წარმოვთქვით, შემდეგ ეპისტოლე გადავეცით და ვითხოვეთ, რომ თარჯიმანები მოეცათ მის გადასათარგმნელად. ისინი ვნების პარასკევს მოგვცეს და ჩვენ მათთან ერთად ეპისტოლე გულმოდგინედ გადავ-

თარგმნით რუსულ, სარაკინულ და თათრულ ენებზე. ეს თარგმანი ბათოს მიერთება: მან ის ყურადღებით წაიკითხა და განიხილა. ამის შემდეგ ხელახლა ჩვენს სადგომში წაგვიყვანეს, მაგრამ არავითარი საქმელი არ მოგვეცეს, გარდა ცოტაოდენი ფეტვისა ჯამით და ისიც მხოლოდ ჩვენი მისვლის პირველ ღამეს.

ეს ბათო დიდებულად ცხოვრობს; მას, მათი იმპერატორის მსგავსად, მეკარეები და ყოველგვარი მოხელეები ჰყავს; ის თავის ერთ-ერთ ცოლთან ერთად მალალ ადგილას ზის როგორც ტახტზე; როგორც მისი ძმები და მისი ვაჟები, ისე სხვა დიდებულები უფრო დაბლა სხედან, შუა ადგილას, მერხზე, ხოლო დანარჩენი ადამიანები—მათ უკან იატაკზე, მამაკაცები მარჯვნივ, ხოლო დედაკაცები მარცხნივ. მისი ტილოს კარვები დიდიცაა და ლამაზიც, ისინი წინათ ჰუნგრეთის მეფეს<sup>76</sup> ეკუთვნოდნენ. ვერც ერთი გარეშე კაცი, გარდა მისი ოჯახის წევრისა, რაგინდ ძლიერი და სახელოვანი უნდა იყოს იგი, ვერ გაბედავს მის კარავს მიუახლოვდეს, თუ არ მიწვევით ან კიდევ თუ შემთხვევით არ გამომჟღავნდა, რომ ეს ბათოს სურს. ჩვენ კი, ჩვენი საქმის გადაცემის შემდეგ, მარცხნივ დავჯექით: ასე იქცევიან დესპანები იქით მოგზაურობის დროს; იმპერატორიდან უკან დაბრუნებისას კი ჩვენ ყოველთვის მარჯვნივ გვათავსებდნენ. კარავის შესავლის მახლობლად შუა ადგილას მაგიდას დგამენ, ხოლო მისზე სასმელი იდგმება ოქროს და ვერცხლის ჭურჭელში. არც ბათო, არც სხვა თათარი თავადები, განსაკუთრებით შეკრებულებაში, არასოდეს არ სვამენ, თუ მათ წინ არ იმღერეს და გიტარაზე არ დაუკრეს. ხოლო როდესაც ბათო ამხედრებული გამოდის, მას თავს მზისაგან ყოველთვის საფარით ან შუბზე მიმაგრებული პატარა კარვით უფარავენ; ასე იქცევიან სხვა წარჩინებული თათარი თავადები და მათი ცოლები. ეს ბათო მეტად მოწყალედ ეპყრობა თავის ადამიანებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად მაინც ძლიერ ეშინიათ მისი; ბრძოლებში ის მეტად შეუბრალებელია, ხოლო ომის დროს დიდად გულისხმიერი და მზაკვარი, ვინაიდან ძალიან დიდ ხანს უბრძოლნია.

### თ ა ვ ი მ ა ხ უ თ ი

#### როგორ მოგზაურობდნენ კომანებისა და კანგიტების ჰემჰანაში ბათოდან წასვლის შემდეგ

დიდ შაბათს<sup>77</sup> ჩვენ ბათოს სადგომში მიგვიწვიეს; ჩვენთან გამოვიდა ბათოს ზემოხსენებული მმართველი და მისი სახელით გამოგვიცხადა, რომ მათს საკუთარ ქვეყანაში წავსულიყავით იმპერატორ გუიუქთან, ხოლო აქ ზოგიერთი ჩვენგანი დავვეტოვებინა,



რათა ისინი მათ უფალ პაპთან დაებრუნებიათ. ჩვენ მათ მისი უწმინდესობისათვის გადასაცემად მოხსენება ჩავაბარეთ ჩვენი მოღვაწეობის შესახებ; მაგრამ როდესაც ისინი ზემოხსენებულ მხედართმთავარ მონტიუსთან მივიდნენ, იქ დაკავებულ იქნენ ჩვენს დაბრუნებამდე. ჩვენ კი ქრისტეს აღდგომის დღეს ვწირეთ, მცირედი ტრაპეზი მივიღეთ და გზას გაუდღექით ორ თათართან ერთად, რომელნიც კორენცამ მოგვიჩინა, ამავე დროს ცხარე ცრემლებით ვტიროდით, ვინაიდან არ ვიცოდით სასიკვდილოდ მივდიოდით თუ სასიცოცხლოდ. ჩვენ ისე დაუსტებელი ვიყავით, რომ ძლივს ვიჯექით ცხენებზე, იმიტომ რომ მთელი დიდი მარხვის განმავლობაში ჩვენი საკვები მარილწყლიანი ფეტვისაგან შედგებოდა, ხოლო სასმელად ქებაში გამდნარი თოვლი გვქონდა.

კომანიაში ჩვენ დიდი სისწრაფით ვმოგზაუროდით, ვინაიდან ცხენებს დღეში ხუთჯერ და ხანდახან მეტჯერაც ვიცვლიდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უდაბურ ადგილებზე მივდიოდით: მაშინ ჩვენ საუკეთესო, უღონიერეს ცხენებს ვღებულობდით, რომელთაც შეეძლოთ ხანგრძლივი ჯაფა აეტანათ გამოუცვლელად. ამრიგად ვიმოგზაურეთ დიდი მარხვის დაწყებიდან აღდგომის კვირის დასრულებამდე.

ამ კომანთა ქვეყანას ჩრდილოეთიდან უშუალოდ რუსეთის, მორდინებისა და ბილერების, ესე იგი დიდი ბულგარეთის შემდეგ ბასტარკების ქვეყანა, ესე იგი დიდი ჰუნგრეთი აკრავს. ბასტარკებს იქით პაროსიტები და სამოგედები არიან. სამოგედებს იქით ოკეანის უდაბურ ნაპირებზე ის ადამიანები ცხოვრობენ, რომელთაც, როგორც ამბობენ, ძალღთა პირი აქვთ. სამხრეთით კომანიას ალანთა, ჩირქასთა, ხაზართა ქვეყნები, საბერძნეთი, კონსტანტინეპოლი, აგრეთვე იბერთა, კახთა, ბრუტაქთა მიწა-წყალი აკრავს; ამბობენ, ბრუტაქები ურიები არიან და თავს იპარსავენო; აქეთვეა ციტორების, გეორგიელების (ქართველების), არმენების (სომხების) და თურქების ქვეყნები<sup>78</sup>. დასავლეთით ჰუნგრეთი და რუსეთი ძევს. კომანთა ქვეყანა მეტად ვრცელი და გრძელია; მაგრამ მისი მცხოვრებლები, ესე იგი კომანები, თათრებმა გაჟლიტეს; ზოგიერთნი გაიქცნენ, ზოგიერთნი დამონებულნი არიან; მრავალი გაქცეულთაგანი ისევ უკან ბრუნდება.

ამის შემდეგ კანგიტების ქვეყანაში<sup>79</sup> შევედით, რომელიც მრავალ ადგილას მოკლებულია წყალს და ბმ უწყლობის გამო ნაკლებ დასახლებულია. იმიტომ მოხდა, რომ რუსეთის მთავრის იაროსლავის კაცებიდან, რომელნიც თათრების ქვეყანაში მიდიოდნენ ამ ტრამალის გზით, მრავალი დაიხოცა წყურვილით. ისევე, როგორც კომანთა ქვეყანაში, აქაც გზათ მრავალი მიცვალბებული ადამიანისათვის ქალები და ძვლები ვნახეთ, მიწაზე დაყრილი ნაკელის მსგავ-



სად; ამ მიწა-წყალზე კი ჩვენ ვიმოგზაურეთ პასექის მერვე დღიდან თითქმის უფლის ამალღებამდე. ამ ქვეყნის მცხოვრებლები კერპთთაყვანისმცემლები იყვნენ და, ისევე როგორც კომანები, მიწათმოქმედებას არ მისდევდნენ, არამედ მხოლოდ მესაქონლეობით ცხოვრობდნენ; ისინი სახლებს არ იშენებდნენ, არამედ კარვებში ცხოვრობდნენ. თათრებმა ისინიც გასწყვიტეს და ახლა მათ მიწაზე ცხოვრობენ, გადარჩენილები კი მონებად აქციეს.

### თ ა ვ ი მ ე მ ქ ვ ს მ

#### არგორ მივიღწენ ისინი მომავალი იმპერატორის პირველ კარზე

კანგიტების ქვეყნიდან ჩვენ ბისერმინების ქვეყანაში<sup>80</sup> გადავედი; ისინი კომანურ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ სარაციული სჯული აქვთ. ამ ქვეყანაში ჩვენ მრავალი დანგრეული ქალაქი, დაშლილი ციხე-კოშკი და დაცარიელებული სოფელი ვნახეთ. ამ ქვეყანაში არის ერთი დიდი მდინარე, რომლის სახელი ჩვენთვის უცნობია; მის ნაპირას ძვეს ერთი ქალაქი, სახელწოდებით იანკინთი, მეორე— ბარხინი და მესამე— ორნასი და სხვა კიდევ მრავალი, რომელთა სახელები არ ვიცით. ამ ქვეყანას ჰყავდა მბრძანებელი, რომელსაც მაღალ სულთანს უწოდებდნენ; იგი თათრებმა მოჰკლეს მთელ მის მოდემასთან ერთად; მისი საკუთარი სახელიც ჩვენთვის უცნობია<sup>81</sup>. ამ ქვეყანაში მეტად მაღალი მთებია; მას სამხრეთით იერუსალემი, ბალდახი და სარაციების მთელი მიწა-წყალი აკრავს. აგრეთვე მისი საზღვრების მახლობლად ორი ღვიძლი ძმა ცხოვრობს, თათართა მხედართმთავრები, ბურინი და კადანი, ჩინგიზ-ყაენის ვაჟის თიადის<sup>82</sup> შვილები. ჩრდილოეთით ამ ქვეყანას შავი ჩინელების მიწა-წყალი და ოკეანე საზღვრავს. იქ ცხოვრობს ბათოს ძმა სიბანი<sup>83</sup>. ამ ქვეყანაში ჩვენ მოგზაურობა დავიწყეთ ამალღებას, ხოლო გავათავეთ თითქმის ერთი კვირით ადრე წმინდა იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულამდე<sup>84</sup>.

შემდეგ ჩვენ შევედით შავი ჩინელების ქვეყანაში, სადაც თათრებს ხელახლა მხოლოდ ერთი ქალაქი აუშენებიათ, სახელად ომილი. აქ იმპერატორს ერთი სახლი აქვს აგებული, სადაც ჩვენ დასალევად მიგვიპატიჟეს. იქ მყოფმა იმპერატორის წარმომადგენელმა ჩვენ წინ აცეკვა ქალაქის წარჩინებული პირები და აგრეთვე ორი თავისი ვაჟიშვილი.

გავემგზავრეთ რა იქიდან, ჩვენ მკირე ზომის ზღვას<sup>85</sup> მივადექით, რომლის ნაპირზე მკირე ზომისვე მთა ძვეს. ამბობენ, რომ ამ მთაში არის ხერელი, რომლიდანაც ზამთარში ისეთი სუსხიანი ქარი-

შხალი ჰქრის, რომ ძალიან ძნელია, სახიფათოც ამ ადგილას გაგ-  
ლაო. ხოლო ზაფხულობით, მართალია, იქიდან ქარის ღმუილი ისმის,  
მაგრამ მსუბუქად ჰქრისო. ჩვენ რამდენიმე დღე მივიდიოდით ამ  
ზღვის ნაპირას, რომელიც თუმცა დიდი არ არის, მაგრამ კუნძუ-  
ლებითაა სავსე, შემდეგ ის მარცხენა მხარეს დავტოვეთ<sup>86</sup>. ეს ქვე-  
ყანა მდიდარია მრავალი მდინარით, მაგრამ ისინი პატარები არიან;  
მდინარეების ნაპირებზე, ორივე მხრიდან, მცირე ზომის ტყეებია.

ამ ქვეყანაში ცხოვრობს თათრების მხედართმთავრების უფროსი  
ორდუ<sup>87</sup>; აქვეა მისი მამის ურდო ანუ კარი, რომელშიც ერთ-ერთი  
მისი ცოლი ცხოვრობს როგორც გამგებელი. თათრებს ჩვეულებად  
აქვთ, რომ ისინი არ ანგრევენ თავიანთი მთავრებისა და წარჩინე-  
ბულების სასახლებს, არამედ ყოველთვის რომელიმე ქალს ნიშნავენ  
მის მმართველად, რომელსაც აძლევენ იმ საჩუქრების ნაწილს, რასაც  
ჩვეულებრივ თავიანთ მბრძანებლებს აძლევენ.

ამრიგად ჩვენ მივალწიეთ იმპერატორის პირველ ურდომდე,  
რომელშიც ერთ-ერთი მისი ცოლი იმყოფებოდა. მაგრამ, რადგან  
ჩვენ ჯერ იმპერატორი არ გვენახა, მათ არ ისურვეს ჩვენი დაპა-  
ტიება და მის ურდოში შეყვანა, არამედ ჩვენს კარავშივე რაც შეიძ-  
ლება კარგად გაგვიმასპინძლდნენ თათრების ჩვეულების მიხედვით  
და ერთი დღით იქ დავგტოვეს, რათა კარგად დავგვეყვანა.

იქიდან პეტრეპავლობის წინა დღით<sup>88</sup> გავედით და ნაიმანე-  
ბის ქვეყანაში შევედით; ისინი კერპთთაყვანისმცემლები არიან. თვით  
პეტრეპავლობადღეს იქ დიდი თოვლი მოვიდა და საშინელი სიცივე  
დაიჭირა. ეს მიწა მეტისმეტად მთიანი და ცივია, ხოლო ვაკე ადგი-  
ლები ნაკლებ გვხვდება. ზემოხსენებული ორი ხალხი მიწათმოქმე-  
დებს არ მისდევდა, არამედ კარვებში ცხოვრობდა თათრებივით,  
რომელთაც ისინი აგრეთვე გაჟლიტეს. ამ ქვეყანაში ჩვენ მრავალი  
დღე ვიმოგზაურეთ.

ამის შემდეგ ჩვენ შევედით მონღოლების ანუ ჩვენ მიერ თათ-  
რებად წოდებული ხალხის ქვეყანაში. ამ მიწა-წყალზე ჩვენ, როგორც  
გვგონია, სამი კვირა მივიდიოდით ჩქარის ჰენებით და ნეტარი მარია  
მაგდალინელის დღეს<sup>89</sup> მივედით ახლანდელ იმპერატორ გუიუქთან.  
მთელი გზა ჩვენ დიდი სისწრაფით განვვლეთ, იმიტომ რომ ჩვენს  
თათრებს ნაბრძანები ჰქონდათ რაც შეიძლება ჩქარა მივეყვანეთ იმ  
ადგილას, სადაც უკვე რამდენიმე წლის წინათ სახეიმო ყრილობა<sup>90</sup>  
იყო დანიშნული ამ იმპერატორის ასარჩევად. ამიტომ ადრე ვდგე-  
ბოდით და საღამომდე უქმელი ვმოგზაურობდით; ხშირად ღამის  
გასათევ სადგურზე ისე გვიან მივიდიოდით, რომ უვახშმოდ ვრჩებო-  
დით და საღამოს კერძი მხოლოდ მეორე დღით გვეძლეოდა. ცხე-  
ნებს სრულიად არ ვზოგავდით. ხშირად დღისით ახალ ცხენებს ვღე-

ბულობდით, ხოლო ღონეგამოცლილთ უკან ვაბრუნებდით. ამრიგად, რაც ძალი და ღონე გექონდა წინ მივჭენობდით.

### თ ა შ ი მ ე შ ვ ი დ ე

#### როგორ მიიღო გუიუჰმა მინორიტი ქმები

როცა ჩვენ გუიუჰთან მივედით, მან ბრძანება გასცა, ჩვენთვის კარავი და სურსათი მოეცათ, როგორსაც ჩვეულებრივ თათრები იძლევიან; მაგრამ ჩვენ უკეთ მოგვამარაგეს, ვიდრე სხვა ელჩებს ამარაგებენ. მასთან კი არ მივუწვევივართ, იმიტომ რომ ის ჯერ იმპერატორად არჩეული არ იყო და არავის ღებულობდა მართვა-გამგეობის საქმეების გამო. ბათომ მას გამოუგზავნა უფალი პაპის-ეპისტოლეს თარგმანი და აცნობა ჩვენ მიერ წარმოთქმული სიტყვების შინაარსი.

მას შემდეგ, რაც ჩვენ იქ ხუთი თუ ექვსი დღე დავყავით, მან თავის დედასთან გაგვაგზავნა, სადაც საზეიმო კრება იყრიდა თავს. როცა იქ მივედით, ისეთი უზარმაზარი კარავი დავინახეთ, თეთრი პორფირიდან გაკეთებული, რომ, ჩვენი აზრით, მასში ორი ათას კაცზე მეტი დაეტოვდა; მის გარშემო შემოვლებული იყო ფიცრის ღობე, რომელიც სხვადასხვა გამოხატულებით იყო აჭრელებული.

ამრიგად, ჩვენს მცველებად დაყენებულ თათრებთან ერთად მივედით იქ, სადაც თათართა ყველა მხედართმთავრები შეიკრიბნენ; თითოეული მათგანი თავისი კაცებითურთ გარშემო დანავარდობდა ველებსა და გორაკებზე. პირველ დღეს მათ ყველას თეთრი პორფირი ეცვა, ხოლო მეორე დღეს—წითელი. მაშინ გუიუჰიც მოვიდა ამ კარავთან. მესამე დღეს ყველანი ცისფერ პორფირში იყვნენ გამოწყობილი, ხოლო მეოთხე დღეს საუკეთესო ბალდაკინში. შემოხსენებულ ღობეს კი ორი დიდი ჭიშკარი ჰქონდა; ერთს მათგანში მხოლოდ იმპერატორს შეეძლო შესვლა და თუმცა ის გაღებულ იყო, იქ გუშაგები არ იდგნენ, ვინაიდან არავის შეეძლო ამ ჭიშკარში შესვლა-გამოსვლა. მეორე ჭიშკარში ყველა შედიოდა, ვისაც ამის ნებართვა ჰქონდა და იქ ყარაული იდგა დაშნებით, მშვილდებით და ისრებით; და თუ ვინმე კარავს მიუახლოვდებოდა აღნიშნულ საზღვრებს იქით, მას იჭერდნენ და სცემდნენ, ხოლო თუ ის გაიქცეოდა, ესროდნენ ისარს, რომელსაც რკინის წვეტი არ ჰქონდა. იქ მრავალი იყო ისეთი. რომელთაც აღვირსა, რახტსა, უნავირსა და თოქალთოზე, ჩვენი ანგარიშით, თითქმის ოცი მარკის<sup>21</sup> ოქრო ჰქონდა.

კარავში თავმოყრილი მხედართმთავრები, როგორც ეტყობოდა, იმპერატორის არჩევანზე თათბირობდნენ. დანარჩენი ხალხი კი გარეთ

იყო მოთავსებული, მოშორებით ღობიდან. ამრიგად ისინი დარჩნენ თითქმის შუადღემდე, შემდეგ კი დაიწყეს ცხენის რძის სმა და საღამომდე იმდენი დალიეს, რომ მათი ცქერა გაცეცხას იწვევდა. ჩვენ კი შეღობილ ეზოში მიგვიწვიეს და ლუდი მოგვაწოდეს, ვინაიდან ჩვენ სრულიად არ ვსვამდით ცხენის რძესა და ამრიგად, თავიანთი აზრით, დიდი პატივი გვცეს. ისინი ჩვენ გვაძალებდნენ გვესვა, მაგრამ რადგან ჩვენ ამას შეჩვეული არ ვიყავით, ვერაფერით ვერ ავიტანეთ; ამიტომ ვუთხარით, რომ ეს ჩვენთვის სამძიმოა თქო და ამის შემდეგ თავი დაანებეს დაძალებას.

ღობის გარეთ იყვნენ რუსი მთავარი იაროსლავ სუზდალელი, მრავალი ჩინელი და სოლანგელი მთავარი, აგრეთვე ორი ქართველი უფლისწული, ბალდახის ხალიფის ელჩი, რომელიც თვითაც სულთანი იყო და, როგორც ჩვენ გამოვიანგარიშეთ, ათზე მეტი სხვა სარაციონელი სულთანი. მმართველებმა ჩვენ გვითხრეს, რომ იქ იყო ოთხი ათას კაცზე მეტი ელჩი იმათგან, ვინც ხარკს იხდიდა ან საჩუქარს გზავნიდა, აგრეთვე სულთანები და მთავრები, რომელნიც თვით მოვიდნენ დასამორჩილებლად, შემდეგ ისეთები, რომელთაც თათრებმა გამოუძახეს ან რომელნიც ქვეყნის ვაგვეებად იყვნენ. ისინი ყველანი აგრეთვე ღობის გარეთ იდგნენ და ყველას სასმელს თავაზობდნენ. ჩვენ და მთავარ იაროსლავს კი თითქმის ყოველთვის პირველ ადგილს გვაძლევდნენ, როცა ჩვენ ღობის გარეთ ვიყავით.

### თ ა ვ ი მ ე რ ვ ი

#### როგორც იქნა იგი ტახტზე აუპყრობილი

როგორც გვახსოვს, იქ სრულ კმაყოფიან დაახლოებით ოთხი კვირა დაეყავით და გვეონია, რომ იქ არჩევა იდღესასწაულეს, თუმცა ეს არ გამოუტყხადებიათ. ეს უფრო იმიტომ გვენიშნებოდა, რომ როცა გუიუქი კარვიდან გამოდიოდა და სანამ ის გარეთ რჩებოდა, მას უგალობდნენ და მის წინაშე რაღაც ლამაზ წინელებს ხრიდნენ, ძოწეული ფერის მატყლით თავშემკობილთ. ამას ისინი არ შერებოდნენ არც ერთი სხვა მხედართმთავრის წინაშე. ამ სადგომს ანუ კარს ისინი სირა ურდოს უწოდებენ.

იქიდან ჩვენ ყველანი ერთად სხვა ადგილას გავემგზავრეთ, სამი თუ ოთხი ლიეს მანძილზე. იქ მშვენიერ ველზე, მდინარის ნაპირას<sup>92</sup> მთებს შუა გამზადებული იყო მეორე კარავი, რომელსაც ისინი ოქროს ურდოს უწოდებენ. იქ უნდა მომხდარიყო გუიუქის ტახტზე დასმა ღვთისმშობლის მიძინების დღეს, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, ეს გადადებულ იქნა დიდი სეტყვის გამო. ეს კარავი

ამართული იყო ოქროს ფურცლებით დაფარულ სვეტებზე, ეს ფურცლები ხეზე ოქროსავე ლურსმნებით იყო მიჭედელი. ზემოდან ის ბალდაკინით იყო დახურული, ხოლო გარედან სხვა ქსოვილები ეფარა.

ჩვენ იქ დავრჩით ნეტარი ბართლომეს დღემდე<sup>3</sup>, როდესაც უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი და სამხრეთისკენ პირმიბრუნებული დადგა. ზოგიერთნი ერთიმეორისგან გასროლილი ქვის მანძილზე დადგნენ, განუწყვეტლივ ლოცვებს კითხულობდნენ, იჩოქებდნენ და უფრო და უფრო სამხრეთისკენ მიიწევდნენ. ჩვენ კი არ გვინდოდა მუხლთ მოდრეკა, ვინაიდან არ ვიცოდით რას აკეთებდნენ ისინი, ჯადოქრობდნენ თუ იჩოქებდნენ ღვთისა ან სხვა ვინმეს წინაშე. ეს დიდხანს გაგრძელდა, შემდეგ ისინი კარავში დაბრუნდნენ და გუიუქი იმპერატორის ტახტზე დასვეს, ხოლო მხედართმთავრებმა მის წინაშე მუხლთ მოიდრიკეს. მთელმა ხალხმა დაიჩოქა ჩვენს გარდა, ვინაიდან ჩვენ მისი ქვეშევრდომები არ ვიყავით. ამის შემდეგ მათ დაიწყეს სმა და, თავიანთი ჩვეულების მიხედვით, განუწყვეტლივ სვეს საღამომდე. შემდეგ ურმებრთ მოზიდეს უმაროლოთ მოხარული ხორცი, რომელიც მსახურებმა დაარიგეს თითო-თითო ნაჭერი ოთხ-ხუთ კაცზე. ხანის კარავში კი მარილიან ხორცსა და წვეს იძლეოდნენ და ეს ასე ხდებოდა ყოველდღე მთელი ნადიმის დასრულებამდე.

### თ ა ვ ი მ ე მ ც ხ რ მ

#### ბეჩებინსა და ვლჩების მიღება იმპერატორის მიერ

იმ ადგილზე, სადაც იმპერატორი ტახტზე იქნა აყვანილი, ჩვენ მასთან მიგვიწვიეს. როცა მისმა პირველმა მდივანმა ჩინგიმ ჩასწერა როგორც ჩვენი, აგრეთვე ჩვენი წარმომგზავნელების სახელები, აგრეთვე სოღანგთა მთავარისა და სხვათა სახელები, მან სია ხმამალა წაიკითხა იმპერატორისა და ყველა მთავრების წინაშე. ამის შემდეგ თითოეულმა ჩვენგანმა ოთხჯერ მარცხენა მუხლი მოიდრიკა, და ჩვენ ხელახლა ჩავგავაგონეს, რომ ზღრუბლს არ შევხებოდით: ჩვენ გულდასმით გავგზხრიკეს, დანები ხომ არ აქვთო, მაგრამ ვერაფერი გვინახეს. კარავში აღმოსავლეთის კარით შეგვიყვანეს, იმიტომ რომ დასავლეთის კარით ვერავინ ბედავს შესვლას, გარდა იმპერატორისა. ასევე იქცევა ყოველი მთავარი თავის კარავში; ნაკლებ წარჩინებული პირები აგრე რიგად არ იცავენ ამ წესს.

ამრიგად, ჩვენ მას პირველად წარვუდგეით მის სადგომში მას შემდეგ, რაც ის იმპერატორი გახდა. იმავე ღროს ის სხვა ელჩებსაც

ლებულობდა; მაგრამ მათგან ბუერი არ შესულა მის კარავში. იქ ამ ელჩებმა იმდენი საჩუქარი მიართვეს, სახელდობრ ხავერდი, ძოწეული, ბალდაკინი, ოქრომკედით მოქსოვილი აბრეშუმის სარტყლები, უძვირფასესი ბეწვეული და სხვა რამ, რომ პირდაპირ საოცარი სანახავე იყო. სხვათა შორის, მირთმეულ იქნა ერთნაირი მზის საფარი ანუ ქოლგა, რომლითაც იმპერატორს თავს უჩრდილებდნენ. ის მთლიანად პატიოსანი თვლებით იყო მოქედილი. ერთი რომელიც ოლქის მმართველმა მას მრავალი ბალდაკინ გადაფარებული აქლემი მოუყვანა, რომელთა უნაგირებს ისეთი მოწყობილობა ჰქონდათ, რომ შიგნით ადამიანებს შეუწუხებლად შეეძლოთ ჯდომა. აქლემთა რიცხვი, ჩვენი ანგარიშით, ორმოცი თუ ორმოცდაათი იქნებოდა. მთართვეს აგრეთვე მრავალი ცხენი და ჯორი, რომელთაც ასალები ეფარათ და რკინის ან ტყავის რახტები ჰქონდათ. ჩვენც გვკითხეს, ხომ არაფერს მიუძღვნიეთო. მაგრამ რადგან თითქმის ყველაფერი უკვე დახარჯული გვქონდა, არაფერი გაგვარჩნდა მისართმევი. იქვე, სადგომების მოშორებით, გორაზე ხუთასზე მეტი ფორანი იდგა, პირთამდე სავსე ოქროთი, ვერცხლით და აბრეშუმის ტანისამოსით. ყოველივე ეს განაწილებულ იქნა იმპერატორსა და მთავრებს შორის და თითოეულმა მთავარმა თავისი წილიდან თავისი კაცები დასაჩუქრა სურვილისამებრ.

### თ ა ვ ი მ ე ა თ ე

#### იმპერატორის გაუმორება დედისაგან და რუსის მთავრის იაროქლავის სიკვდილი

იქიდან ჩვენ გადავედით სხვა ადგილას, სადაც გაშლილი იყო საოცარი, მთლიანად ძოწეულისაგან გაკეთებული კარავი, რომელიც ჩინელებს ეჩუქებინათ. ჩვენ შიგნით შევეყავით და ყოველი შესვლის დროს ლუდს ან ღვინოს გვთავაზობდნენ და, თუ გვსურდა, მოხარულ ხორცსაც გვაძლევდნენ. იქ იყო მომადლოდ ამართული ფიცრული, რომელზედაც იმპერატორის ტახტი იდგა, საოცრად გამოკვეთილი სპილოს ძვლისაგან და, რამდენადაც გვახსოვს, ოქროთი და ძვირფასი ქვებით შემკული. ამ ფიცრულზე საფეხურებით ადიოდნენ, ზევით კი ის მრგვალი იყო. ტახტის მახლობლად მერხები იდგა; იქ ქალბატონები მარცხნივ სხდებოდნენ სკამებზე, ხოლო მარჯვნივ მალა არავინ იჯდა; დიდიკაცები დაბლა ისხდნენ მერხებზე, შუა ადგილას, სხვები კი მათ უკან თავსდებოდნენ; ყოველდღე მრავალი ქალბატონი იყრიდა თავს. ეს სამი ზემოხსენებული კარავი მეტად დიდი ზომისაა, იმპერატორის ცოლებს კი სხვა კარავები აქვთ, თეთრი ქეჩისგან გაკეთებული, საკმაოდ ვრცელი და ლამაზი.



იქ იმპერატორი თავის დედას გამოეთხოვა. ეს უკანასკნელი ერთი მხრით გაემგზავრა, ხოლო იმპერატორი მეორეთი, რათა გასამართლება მოეხდინა. ამ იმპერატორის მამიდა<sup>94</sup> დატუსაღებული იყო იმისთვის, რომ მოწამლა მამა მისი, როდესაც მათი ჯარი ჰუნგრეთში იყო<sup>95</sup>. ამიტომ მათი ჯარი, რომელიც იმ ქვეყნებში იმყოფებოდა, უკან გამობრუნდა. ამის გამო ის ქალი გაასამართლეს მრავალ სხვასთან ერთად და ყველანი დახოცეს.

ამავე დროს გარდაიცვალა იაროსლავი—დიდი მთავარი სუზდალისა, რომელიც რუსეთის ნაწილს წარმოადგენს. ის მიწვეული იყო იმპერატორის დედასთან, რომელმაც ვითომდა პატივისცემის ნიშნად მას თავის ხელით მიაწოდა საჭმელ-სასმელი. თავის ბინაზე დაბრუნებისთანვე მან თავი ცუდად იგრძნო და მეშვიდე დღეს მოკვდა, ხოლო მისი სხეული უცნაურად გალურჯდა. ყველანი ამბობდნენ, მოსწამლეს, რათა უფრო ადვილად და საბოლოოდ დაეპატრონონ მის მამულსო<sup>96</sup>. ამას ამტკიცებს ისიც, რომ იმპერატორის დედამ, იაროსლავის მხლებლების უცნობლად, მალემსრობლი გაგზავნა რუსეთში მის ვაჟთან ალექსანდრესთან და თავისთან მიიწვია ვითომდა მამამისის სამკვიდროს გადასაცემად. ამ უკანასკნელმა არ ისურვა წასვლა, ამავე დროს კი იმპერატორის დედა წერილებს უგზავნიდა, ჩემთან გამოცხადდი, მე მსურს მამაშენის მამული გიწყალობოვო. მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, რომ თუ ის მართლაც გამოცხადდებოდა, იმპერატორის დედა მას მოჰკლავდა ან სამუდამოდ დაატყვევებდა.

### თ ა ვ ი მ ე თ ი რ თ ე მ ე ბ ა

#### როგორ წარუღვნენ ბოლოს ბერებმა იმპერატორს, ვისიძოლა მხარეთვეს და თვითაც მიიღეს

იაროსლავის სიკვდილის შემდეგ, თუ ჩვენ დროს დათარიღებაში არ ვცდებით, ჩვენმა თათრებმა იმპერატორთან წავიყვანეს, რომელმაც, როგორც კი მათგან ჩვენი მისვლა გაიგო, გვიბრძანა დედამისთან დავებრუნებულიყავით; როგორც სანდო პირებმა დაგვარწმუნეს, ის მეორე დღეს მთელი დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ ასამხედრებლად ემზადებოდა და არ უნდოდა, რომ ჩვენ ესაგვეგო.

ამრიგად, ჩვენ უკან დავებრუნდით, იქ რამდენიმე დღე დაყავით და შემდეგ ხელახლა მასთან გავემგზავრეთ. მთელი თვე მასთან მშვიდობიანად გავატარეთ, მაგრამ ისეთ შიმშილსა და წყურვილს განვიცდიდით, რომ სულს ვლათავდით, ვინაიდან მათ მიერ ოთხ

სულზე მოცემული სურსათი ერთს ძლიერ ჰყოფნიდა, საყიდლად კი ვერაფერს ვმოულობდით, რადგან ბაზარი მეტისმეტად შორს იყო. გვეონია, რომ ჩვენ დავიხოცებოდით, თუ ღმერთს ჩვენთვის მხსნელად ერთი რუსი არ მოევლინა, სახელად კოზმა, იმპერატორის ოქრომჭედელი, რომელიც მას ძლიერ უყვარდა და რომელმაც ჩვენ ზოგ რამეში დახმარება გაგვიწია. კოზმამ ჩვენ გვაჩვენა მის მიერ გაკეთებული იმპერატორის ტახტი, სანამ მას ადგილზე დადგამდნენ, გვაჩვენა აგრეთვე მის მიერვე გაკეთებული იმპერატორის ბეჭედი და აგვისსნა მისი წარწერა. ამას გარდა ჩვენ ზემოხსენებული იმპერატორის მრავალი სხვა საიდუმლოება გავიგეთ იმათი მეშვეობით, ვინც სხვა მხედართმთავრებს მოჰყვა; იმ რუსებისა და ჰუნგრელების მეშვეობით, რომელთაც ლათინური და ფრანგული იცოდნენ, რუსი კლირიკოსების და სხვათა მეშვეობათ, რომელთაც თათრებთან ომებსა და სხვა საქმეებში ოცდაათ წელზე მეტი გაეტარებინათ და შათს ენასა და მოქმედებას იცნობდნენ. მათგან ჩვენ შეგვეძლო ყოველივე გაგვეგო, თვით ისინი ყველაფერს სიამოვნებით გვისამბობდნენ, გამოუკითხავადაც კი, იმიტომ რომ ჩვენი სურვილი იცოდნენ.

ამის შემდეგ იმპერატორმა თავისი პირველი მდივნის ჩინგაის პირით შემოგვითვალა, ჩვენი სიტყვები და საქმეები ჩაგვეწერა და უკანასკნელისთვის გადაგვეცა. ჩვენ ეს შევესრულეთ. რამდენიმე დღის შემდეგ ბრძანება გასცა ხელახლა დავეძახნეთ და მთელი თავისი სახელმწიფოს მმართველის კადაკის პირით, რომელთანაც პირველი მდივნები ბალა და ჩინგაი და სხვა მრავალი მწერალი იყვნენ, შემოგვითვალა, რომ ჩვენ ყოველი სიტყვა გაგვემეორებინა. ჩვენ ეს ნებაყოფლობით და სიამოვნებით შევესრულეთ. ხოლო ჩვენს თარჯიმანდროგორც ამ, ისე მეორე შემთხვევაში იყო იაროსლავის მხედარი ტემერი, თანადამსწრედ კი ორი კლირიკოსი, ერთი იაროსლავთან ნამყოფი, ხოლო მეორე იმპერატორთან.

ჩვენთვის მან აკითხვინა, ჰყავს თუ არა უფალ პაპს ადამიანები, რომელთაც რუსული, სარაციული ან თათრული წერა-კითხვა იცოდნენო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ასეთი ადამიანები არ გვყავს, რომ თუმცა ჩვენს ქვეყანაში სარაციანები არიან, მაგრამ ისინი შორს ცხოვრობენ უფალი პაპისგან. ამასთანავე ჩვენ გამოვთქვით რაც სასარგებლოდ მიგვაჩნდა, სახელდობრ, რომ მათ თავფანთი ეპისტოლე თათრულად დაეწერათ და ჩვენთვის განემარტებიათ, ხოლო ჩვენ მას გულმოდგინედ დაეწერდით ჩვენს დედაენაზე და შემდეგ როგორც ეპისტოლეს, ისე თარგმანს უფალ პაპს მივუტანდით. ამის შემდეგ ისინი იმპერატორთან წავიდნენ.

ბოლოს, ნეტარი მარტინის დღეს<sup>97</sup> ჩვენ ხელახლა დავეძახეს; ჩვენთან მოვიდნენ კადაკი, ჩინგაი, ბალა და მრავალი ზემოხსენე-

ბული მწერალი და დაიწყეს ეპისტოლეს განმარტება სიტყვა-სიტყვით, ხოლო ჩვენ ის ლათინურად დავეწერეთ. გვაძულეს ყოველი გამოთქმა გაგვემარტა, რათა გაეგოთ, ხომ არაფერში შევცდით. როდესაც ორივე ეპისტოლე დაწერილი იყო, ხელახლა წავაკითხეს, რათა არაფერი გამოგვეტოვებინა. ისინი გვეუბნებოდნენ: „ეცადეთ ყოველივე კარგად გაიგოთ; რა სარგებლობაა ასეთ შორეულ ადგილებში მოგზაურობა თუ ყველაფერს კარგად ვერ გაიგებთ“. როდესაც ჩვენ ვუპასუხეთ, ყოველივე კარგად გვესმისოთქო, მათ ეპისტოლე სარაციონულადაც გადააწერინეს, იმ შემთხვევისთვის, თუ ჩვენს ქვეყნებში მისი წამკითხველი აღმოჩნდებოდა.

### თ ა შ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ი

#### იმპერატორის ზნე-ჩვეულებასა და ასაკზე

თათრების იმპერატორს ჩვეულებად აქვს, რომ ის უცხოელს არასოდეს საკუთარი პირით არ ელაპარაკება, რა რიგ დიდიც უნდა იყოს იგი, არამედ შუამავლის შემწეობით უსმენს და უპასუხებს. ყოველთვის, როდესაც მისი ქვეშევრდომნი კადაც თავიანთ საქმის ვითარებას აცნობენ ან იმპერატორის პასუხს ისმენენ, ისინი სიტყვის დასრულებამდე მუხლმოდრეკილნი არიან, რა რიგ დიდნიც უნდა იყვნენ ისინი. შეუძლებელია და არც ჩვეულებადაა მიღებული, რომ ვინმემ რაიმე საქმის გამო რაიმე სთქვას მას შემდეგ, რაც ის გადაწყვეტილია იმპერატორის მიერ. ამ იმპერატორს ჰყავს მმართველი, პირველი მდივნები და მწერლები, აგრეთვე ყოველგვარი მოხელეები საზოგადოებრივი და კერძო საქმეებისთვის, ვეჭილების გამოკლებით, იმიტომ რომ ყოველივე დავა იმპერატორის ნებით სწყდება სამსჯავროს განხილვისა და აურზაურის გარეშე. თათრების სხვა მთავრებიც ასე იქცევიან.

ეს იმპერატორი შეიძლება ორმოცი ან ორმოცდახუთი წლისა იყოს. ის შუა ტანისაა, მეტისმეტად კეთილგონიერი და მზაკვარია, ამასთანავე არაჩვეულებრივად დინჯი და დარბაისელი. როგორც მუდმივ მასთან მყოფი ქრისტიანები ამტკიცებენ, არავის არ უნახავს, რომ მას ადვილად გაეცინოს ან რაიმე თავქარიანი საქციელი ჩაედინოს. მისმა შინამოსამსახურე ქრისტიანებმა აგრეთვე გვითხრეს, ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ის უნდა გაქრისტიანდესო; ამის აშკარანიშანს ისინი იმაში ხედავენ, რომ მას ქრისტიანი კლირიკოსები ჰყავს, რომელთაც ულუფას აძლევს; ამას გარდა, მისი დიდი კარვისწინ ყოველთვის ქრისტიანული სამლოცველოა ამართული; და ისინი საჯაროდ გალობენ და ზარს რეკენ ბერძნების ჩვეულების მიხედვით.

რა დიდიც უნდა იყოს იქ მყოფი თათრებისა და სხვა ადამიანების ბრბო. სხვა მთავრები ამას არ შერებიან.

### თ ა ვ ი მ ე ც ა მ ე ტ ი

#### რ ო გ ო რ ლ ა ი თ ხ ო ვ ე ს ი ს ი ნ ი

ჩვენმა თათრებმა გვითხრეს, იმპერატორს სურს თავისი ელჩები გაგატანოთო; მაგრამ, როგორც ვფიქრობდით, მათ უნდოდათ, რომ ეს ჩვენ გვეთხოვა, ვინაიდან ერთმა თათარმა, რომელიც სხვებზე უფროსი იყო, ამის გამო ლაპარაკი ჩამოგვიდგო. რადგან მათი ჩვენთან წამოსვლა ჩვენ უხერხულად მიგვაჩნდა, ჩვენ ვუპასუხეთ, თხოვნა ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ თუ იმპერატორი მათ თავისი ნებით გაგავაყოლებს, ჩვენ მათ ღეთის წყალობით უხიფათოდ მივიყვანთთქო. ჩვენ კი მათი წამოყვანა მრავალი მიზეზის გამო მიგვაჩნდა უხერხულად. ერთი, რომ ჩვენ გვეშინოდა იმათ ჩვენ შორის არსებული შუღლი და ომები არ დაენახათ, რაიცა მათ უფრო შეაგულიანებდა ჩვენს წინააღმდეგ ასამხედრებლად. მეორე, რომ ჩვენ გვეშინოდა მათ ჩვენი ქვეყანა არ დაეზვერათ. მესამე მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ ვუფრთხოვდით, ისინი არ დაეხოცათ, ვინაიდან ჩვენი ხალხები ქედმაღლები და კანდიერები არიან: როცა ჩვენთან მყოფი მსახურნი აღემანისის ლეგატის, კარდინალის თხოვნით მასთან თათრულად ჩაცმული წავიდნენ, ისინი გზაზე ტვეტონებმა კინალამ ქვებით ჩაჰკოლეს, ამიტომ იძულებული გახდნენ ეს ტანსაცმელი გაეხადათ. თათრებს კი ჩვეულებად აქვთ, არასოდეს ზავი არ დასდონ იმათთან, ვინც მათს ელჩებს დახოცავს, სანამ შურს არ იძიებენ. მეოთხე მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ გვეშინოდა, რომ ისინი ჩვენთვის ძალით არ მოეტაცნათ, როგორც ერთხელ მოუვიდა სარაცილების მთავარს, რომელიც აქამდე ტყვეობაში უნდა იყოს თუ არ მომკვდარა. მეხუთე კიდევ ის იყო, რომ მათი წამოსვლა ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანდა, ვინაიდან მათ არაფერი ევალებოდათ, გარდა იმპერატორის ეპისტოლის გადაცემისა პაპისა და ხელმწიფეებისადმი, ეს ეპისტოლე კი ჩვენ გვქონდა ხელში; მათ წამოსვლას კი, ჩვენი აზრით, შეიძლებოდა ზიანი მოეტანა.

ამის შემდეგ მესამე დღეს, სახელდობრ, ნეტარი ბრიქვის<sup>38</sup> დღეობას, ჩვენ დავითხოვეს, იმპერატორის ბეჭედისმული უსტარი მოგვცეს და იმპერატორის დედასთან გავვისტუმრეს, რომელმაც ფითოოელ ჩვენგანს მელიის ტყავის ქურქი უბოძა, ბეწვიანი საპირეთი და ბამბის სარჩულით, აგრეთვე ძოწეულის ნაჭერი. ჩვენმა თათრებმა თითოეული ნაჭრიდან თითო მტკაველი მოიპარეს, ხოლო ჩვენი მსახურისთვის მიცემულიდან—ნახევარი. თუმცა ჩვენ ეს გავიგეთ, მაგრამ არ ვისურვეთ დავა აგვეტება ამის გამო.

## თ ა ზ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ი

## როგორ დაბრუნდნენ იქიდან

ამის შემდეგ უკან დავბრუნდით და მთელი ზამთარი მოვდიოდით; ტრამალებში ხშირად თოვლზე გვიხდებოდა დაძინება, მხოლოდ ხანდახან ტყეებით თუ გავთხრიდით საწოლ ადგილს, იმიტომ რომ იქ ტყე არ არის, არამედ ტრიალი მინდორია. ხშირად დილით ქარის მიერ მოტანილი თოვლით შებლანდრილნი ვდგებოდით. ამრიგად, ამალემა დღეს<sup>99</sup> ბათოსთან მივალწიეთ. ჩვენ მას შევეკითხეთ, რა ვუპასუხოთ უფალ პაპსთქო. მან გვიპასუხა, არაფრის დაბარება არ მსურს, გარდა იმისა, რომ პაპსა და სხვა ხელმწიფეებს რაც შეიძლება წესიერად გადაეცით რაც მათ იმპერატორმა მისწერაო.

საგზაო მოწმობა მივიღეთ, გზას დავადექით და სამება დღის მომდევნო შაბათს მონტისთან მივედით, სადაც დაკავებული იყვნენ ჩვენი ამხანაგები და მსახურები, რომელნიც ჩვენთან მოვყვანივით.

იქიდან გავემგზავრეთ კორენცასთან, რომელმაც ხელახლა საჩუქრები გვთხოვა; მაგრამ ჩვენ არაფერი მივეცით, იმიტომ რომ არაფერი გვქონდა. მან რუსეთის ქალაქ კიევამდე ორი კომანი მოგვცა, რომელნიც თათრის ხალხიდან იყვნენ. მაგრამ ჩვენმა თათარმა ჩვენ არ დაგვტოვა, სანამ თათრების უკანასკნელი სადარაჯო არ განვვლეთ. კორენცას მოცემულმა კაცებმა კი უკანასკნელი სადარაჯოდან კიევამდე ექვს დღეში მიგვიყვანა.

იქ კი ჩვენ მივალწიეთ ორი კვირით ადრე წმინდა იოანე ნათლისმცემლის დღეობამდე. კიეველებმა რომ ჩვენი დაბრუნების ამბავი გაიგეს, სიხარულით გამოვიდნენ ჩვენს შესაგებებლად; ისინი ჩვენ გვილოცავდნენ თითქო მკვდრეთით აღმდგარი ადამიანები ვყოფილყავით. ასევე გვხვდებოდნენ მთელს რუსეთსა, პოლონეთსა და ბოჰემიაში. დანიელმა და მისმა ძმამ ვასილკომ დიდი ნაღიმი გავგიმართეს და ჩვენი სურვილის წინააღმდეგ რვა დღით დაგვტოვეს. ამავ დროს ისინი თათბირობდნენ ერთმანეთშორის, ეპისკოპოსებთან და სხვა საპატოო პირებთან იმის შესახებ, რაც ჩვენ მათ ვუთხარით თათრებისკენ გამგზავრების დროს; მათ ერთსულოვნად გვიპასუხეს, ჩვენ ვკსურს უფალი პაპი ჩვენი განსაკუთრებული მეუფე და მამა იყოს, ხოლო წმინდა რომის ეკლესია მბრძანებელი და მასწავლებელი; ამასთანვე მათ დაადასტურეს, რასაც წინათ თავიანთი აბატის შემწეობით იუწყებოდნენ და ჩვენთან ერთად უფალ პაპთან ამის გამო თავიანთი ელჩები და ეპისტოლე წარმოგზავნეს.

## თ ა ვ ი მ ე ხ უ თ მ ე ტ მ

## კარპინის მოწმეები მისი მოგზაურობის ჭეშმარიტების დასადასტურებლად

ძმა იოანე კარპინი თავის მოგზაურობის დასასრულს თავის ხელნაწერში შემდეგს უმატებს. რათა არავის ეჭვი არ შეუვიდეს. იმაში, რასაც ის სწერს, რომ სათათრეთში მოგზაურობის დროს ვნახე და შემემთვინაო, ის ასახელებს ყველა იმათ, ვინც იქ ნახა ან გზად შეხვდა. ასეთია რუსეთის მეფე დანიელი, რომელიც მთელი თავისი ამალით ბათოსთან და აგრეთვე ბათოს დის ქმართან, კარტანთან, იყო; შემდეგ კიევის რაზმის უფროსი მონგროტი მთელი მისი თანმხლებით კორენცას ოლქში; მან ისინი რამდენიმე ხანს გააცილა ბათოსკენ. ბათოსთან მათ ნახეს მთავარ იაროსლავის შვილი ერთ კუმანელ დარბაისელთან, სახელად სანგორთან ერთად, რომელიც ქრისტიანი არ იყო; მათთანვე იყო ერთი სუხდალელი რუსი, მათი თარჯიმანი. დიდ ხანთან მათ ნახეს დუკა იონელუსი, რომელიც იქ გარდაიცვალა, და ერთი მისი აზნაური, სახელად ტემერი, რომელმაც მათი თარჯიმანობა იკისრა იმპერატორ გუიუქის კარზე, როგორც პაპისადმი მიმართული ხანის უსტარის, ისე ყოველივე იმის გადასათარგმნელად, რაც მათ უნდა ეთქვათ და ეპასუხნათ. იქვე იყო ვინმე დუბერლანსი, ამ დუკას კლირიკოსი ანუ კარის მოძღვარი. და სხვა მრავალი მისი მსახური და შინაყმა. როცა უკან დაბრუნებისას ბისერმინების ქვეყანაში გამოიარეს, ქალაქ ლემფიუქში მათ ნახეს ადამიანები, რომელნიც იქ ბათოს ნებართვით იაროსლავის მეუღლისაგან მის ქმართან იყვნენ გამოგზავნილი და რომელნიც რუსეთში დაბრუნდნენ.

როცა მონტისთან მიალწიეს, იქ ხელახლა თავიანთი დატოვებული ამხანაგები ნახეს და მრავალი სხვა, რომელნიც მათ ელოდნენ. კუმანიიდან გამოსვლის დროს მათ მთავარი რომანი შეხვდათ, რომელიც დიდი ამალითურთ თათრებთან მიემგზავრებოდა, შემდეგ მთავარი ალოვა და ჩერნიგოვის მთავრის ელჩი, რომელიც კუმანიიდან მათ გაჰყვა და კარგა ხანს მათთან ერთად იმოგზაურა რუსეთზე. ყველა ეს მთავრები რუსები იყვნენ. მათ ის იმოწმებს თავისი ნაწერის დასადასტურებლად; იმოწმებს აგრეთვე მთელ ქალაქ კიევს, რომელმაც მას გამყოლები და ცხენები მისცა თათრების პირველ საყარაულომდე და სადაც ის კარგად მიიღეს უკან დაბრუნების დროს. შემდეგ ის ასახელებს სხვა პირებს რუსეთიდან, სადაც მათ უკან დაბრუნებისას გაიარეს: ამ რუსებს ბათომ თავისი ბეჭედ-დაკრული წერილი გამოუგზავნა, რათა მათთვის ცხენები და სურსათი



მიეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯას ემუქრებოდა. შემდეგ იმოწმებს ბრესლავლელ ვაჭრებს, რომელთაც მათთან ერთად კიევამდე იმოგზაურეს და იცოდნენ, რომ მათი რაზმი თათრების ქვეყანაში გაემგზავრა, აგრეთვე კონსტანტინეპოლის ვაჭრებს, რომელნიც რუსეთში მოვიდნენ და კიევში იმყოფებოდნენ, როცა ჩვენ სათათრეთიდან დავბრუნდით. ხოლო ამ ვაჭრების სახელები შემდეგია: მიქელ გენუელი და აგრეთვე ბართლომე, მანუილ ვენეციელი, იაკობ რევერი აკრიდან, ნიკოლო პიზანელი; ესენი არიან უმთავრესნი. სხვები ნაკლებ მნიშვნელოვანნი არიან: მარკოზი, ჰენრიხი, იოჰან ვაზიუსი, მეორე ჰენრიხი ბონადიესი, პეტრე პასქამი. სხვა მრავალიც იყო, მაგრამ მათი სახელები ჩვენთვის უცნობია.

ბოლოში, ის სთხოვს და ემუდარება ყველას, ვინც ამ თხზულებას წაიკითხავს, არაფერი დააკლოს ან არაფერი მოუმატოს მას; ის ფიცულობს, რომ დასწერა მხოლოდ ის, რაც თვითონ ნახა ან მოისმინა სარწმუნო ადამიანებისაგან; რომ მრავალმა ადამიანმა პოლონეთსა, ბოჰემიასა, გერმანიასა, ლიეჟსა, შამპანში და სხვა ადგილებში, სადაც მათ გაიარეს, სიამოვნებით წაიკითხა და გადასწერა მისი მოგზაურობა, სანამ ის დასრულებულ და გასწორებულ იქნა და მან ის მხოლოდ შემდეგ გააწყო მოცლილობისა და დასვენების ჟამს. ამიტომ ყველას სთხოვს, ნუ გაუკვირდებათ, თუ ამ უკანასკნელ ვარიანტში მრავალ რამეს აღმოაჩენენ, რაც ბევრად უფრო გულმოდგინედაა გაკეთებული და სხვანაირადაც, ვიდრე პირველ ნუსხაში იყო.

## შენიშვნები

1. სოლანგების მიწა-წყალი—იგულისხმება ახლანდელი მანჯურია და შეიძლება, ნაწილობრივ, კორეაც.

2. ჰუირები, რომელთაც ძველი ქართველი მემატიანეები უიღურებს უწოდებენ, თურქული ტომის ხალხი იყო და XIII საუკუნეში აღმოსავლეთ თურქესტანში ცხოვრობდა. თავიანთ მეზობლებთან შედარებით უიღურები კულტურული და დაწინაურებული იყვნენ; სხვათა შორის, საკუთარი ანბანი ჰქონდათ და მონღოლები მათ მდივნებად და მწერლებად იყენებდნენ თავიანთ დივანხანებსა ანუ კანცელარიებში.

3. ნაიმანები—აღმოსავლეთის მწერლების ცნობით ეს ტომი ირტიშის მდინარის სათავეების მახლობლად და ალტაის მთის აღმოსავლეთით ცხოვრობდა.

4. კარაკარონი, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ ყარაყო-რუმის სახელწოდებითაა ცნობილი, მონღოლთა სატახტო ქალაქი იყო, ჩინგიზ-ყაენის მემკვიდრის უგედეი-ყაენის მიერ მდინარე ორხონის პირას დაარსებული.

5. სირ-ურდო—ახლანდელი კიახტის სამხრეთით იმყოფებოდა ურგისკენ მიმავალ გზაზე.

6. ბუკარანი თხელი ტილო უნდა იყოს.

7. ბალდაკინი—ძვირფასი ქსოვილი ოქრომკედისა და აბრეშუმის ძაფისაგან.

8. მეორე ვარიანტით: ამ კერპს ისინი თაყვანს სცემენ სამხრეთიდან.

9. დიდი მთავარი მიხაილი—იგულისხმება ჩერნიგოვის მთავარი მიხაილ ვსევოლოდოვიჩი, რომელიც თათრებმა 1246 წლის სექტემბერში აწამეს.

10. ჩერნიგოვის მთავარი ანდრეი—უნდა იგულისხმებოდეს ანდრეი მსტისლავიჩი, ბათოს მიერ მოკლული 1245 წ.

11. კომანები ბიზანტიური სახელწოდებაა ყივჩაყებისა, რომელთაც თათრების შემოსევამდე ახლანდელი სამხრეთ რუსეთის ტრამალები ეჭირათ დაახლოებით მდინარე ბუგიდან მდინარე ურალამდე. თათრებმა ისინი თითქმის სრულიად გაჟლიტეს.

12. ოკოდაი ხანი—იგულისხმება ჩინგიზ-ყაენის მესამე შვილი უგედეი, რომელიც ტახტზე დაჯდა 1229 წ., ხოლო გარდაიცვალა 1241 წ.

13. პლანო კარპინიმ დიდი ყაენის კარზე ნახა ლაშა გიორგის ვაჟი ულუ დავითი და რუსუდან დედოფლის ვაჟი დავით ნარინი, რომელნიც, როგორც საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, იქ მემკვიდრეობის დასამტკიცებლად იყვნენ წასული.

14. ამას მოსდევს გაუგებარი ფრაზა, რომლის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ თათრები წლის ბოლოს სარგებელს თავნზე აკეცდნენ.

15. ჰიპერპერი ანუ ბიზანტინი—ბაჯადლო ოქროს ფული, რომელსაც კონსტანტინეპოლში სჭრიდნენ და დაახლოებით 70 გრანს იწონიდა.

16. ასპერი—ბიზანტიური წვრილი ვერცხლის ფული.

17. სტერლინგი—ძველი ანგლო-საქსონური ვერცხლის ფული, დაახლოებით 32 გრანს იწონიდა.

18. ტარტარი—საკუთარი სახელის ეს ფორმა დასავლეთ ევროპაში წარმოსდგა ცნებათა ასოციაციის ნიადაგზე: თათარი—ტარტარი (მიწის ქვეშეთის სამეფო, ჯოჯოხეთი).

19. ყარა ჩინელების ანუ შავი ჩინელების სახელმწიფო დაარსდა მეთორმეტე საუკუნეში ჩრდილოეთ ჩინეთიდან გამოსული ლტოლვილებისაგან და შეიცავდა ახლანდელი ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის თურქესტანის დიდ ნაწილს.

20. ომილი ანუ იმილი ქალაქია ყიზილბაშის ტბის ოდნავ დასავლეთით.

21. დიდი უდაბნო—იგულისხმება უდაბნო გობი ანუ შამო.

22. სარი ჰუიურები ანუ ყვითელი ჰუიურები—უიღურთა ხალხის ერთი ტომი, რომელიც ჩრდილოეთ ტიბეტში ცხოვრობდა კურუ-ნორის ტბის მიდამოებში.

23. კარანიტები მონღოლური რასის ერთი ტომია; ვოირატები დასავლეთის მონღოლების ანუ კალმიკების ძველებური სახელწოდებაა.

24. კომანების ანუ ყივჩაყების ქვეყანა ნამდვილად დაპყრობილი იქნა ჩინგიზ-ყაენის უფროსი ვაჟის ჯუჩის ანუ ტოსუხის მიერ, რაიცა თვით პლანო კარპინის ქვემოთ აქვს აღნიშნული.

25. ჩინგიზ-ყაენის ბრძოლა ჩინეთის წინააღმდეგ გაგრძელდა 1211 წლიდან 1215 წლამდე, როცა მონღოლებმა პეკინი აიღეს. ჩრდილოეთის ჩინეთი საბოლოოდ უგედეი ხანმა დაიპყრო.

26. ჩინგიზ-ყაენის უფროსი ვაჟი, ბათოს მამა ჯუჩი ანუ ტოსუბი, კომანების ანუ ყივჩაყების შემუსვრელი—გარდაიცვალა მამაზე ადრე, 1224 წ.

27. ივანე ხუცესი—ლეგენდარული პიროვნება: საშუალო საუკუნეების ადამიანების წარმოდგენით ის ძლიერი ქრისტიანი მბრძანებელი იყო, რომლის სამფლობელოს ზოგიერთი ინდოეთში ათავსებდა, ზოგიერთი შორეულ აღმოსავლეთში, სადღაც ჩინეთსა, მონღოლეთსა და კორეის შუა.

28. ასეთი ლეგენდარული გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობები ძალიან გავრცელებული იყო საშუალო საუკუნეებში და ისინი ისეთ შედარებით განათლებულ ადამიანებს სჯეროდათ, როგორც პლანო კარპინი იყო.

29. ბურიტაბეტის ქვეყანა ახლანდელი ტიბეტია.

30. ყერგისის ქვეყანა—ყირგიზეთი.

31. გუიუქ ხანი ჩინგიზ-ყაენის ვაჟის უგედეის შვილი იყო და დიდი ხანის ტახტზე 1246—1248 წლებში იჯდა.

32. სწორი არაა, თითქო ჩინგიზ-ყაენი მებს მოეკლას.

33. იგულისხმება ყველაზე გამოჩენილი იმდროინდელი მონღოლ-სარდალი, რომელსაც ქართული წყაროები სუბუდაის უწოდებენ; მან მეორე გამოჩენილ მხედართმთავარ ჯებესთან ერთად 1220 წ. ოცი ათასი მხედრით პირველად გადმოლახა საქართველოს საზღვრები და ლაშა გიორგი დაამარცხა. შემდეგ მეთაურობდა იმ ლაშქარს, რომელმაც ყივჩაყების ქვეყანა და რუსეთი დაიპყრო.

34. პლანო კარპინის არეულად აქვს გადმოცემული მონღოლთა ხანებისა და მხედართმთავრების ზოგიერთი სახელი, რაიცა ჩვეულებრივი მოკლენაა საშუალო საუკუნეების მწერლისთვის, რომელიც უცხო ქვეყნების შესახებ სწერს.

35. მაღალი სულთანის სახელწოდებით იგულისხმებიან ხვარაზმის შაჰები მაჰმადი და „ქართლის ცხოვრებაში“ კარგად ცნობილი ჯალალედინი.

36. ბისერმინები სლავიანების მიერ შერყენილი სახელწოდება უნდა იყოს მუსულმანებისა. ამ შემთხვევაში ბისერმინების ქვეყნად მუსულმანური ცენტრალური აზია იგულისხმება.

37. საშუალო საუკუნეებში მაჰმადიანებს საზოგადოდ სარაციონებს უწოდებდნენ.

38. ქალაქი ბარხინი-მდინარე სირდარიის ნაპირას უნდა ყოფილიყო.

39. ქალაქები იაკინთიც და ორნასიც თითქო სირდარიის ნაპირას იყო გაშენებული.

40. თორკები—იგულისხმება სამხრეთ რუსეთის ტრამალებზე მცხოვრები მომთაბარე თურქული ტომი.

41. კიევის აღება მონღოლების მიერ მოხდა 1240 წ.

42. დიდ ბულგარეთს თათრების შემოსევამდე ვოლგის ხეობის შუა წელი ეჭირა, მისი სატახტო ქალაქი ახლანდელი ყაზანის მახლობლად იდგა.

43. ბასკარტების სახელწოდებით ბაშკირები იგულისხმებიან.

44. პაროსიტების სახელწოდებით იგულისხმებიან ფინური ტომები, რომელნიც რუსეთის ჩრდილო აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ მდინარე კამასა და მდინარე ვიატკას შორის.

45. სამოგედები—სამოედები ანუ ნენები.

46. ცხადია, აქ ლაპარაკია ლომთევზებსა და ძაღლთევზებსა ანუ სელაპებზე, რომელთა ხმა რამდენიმედ მართლაც წააგავს ძაღლის ყეფას.

47. იგულისხმება სევილრის ეპისკოპოსი ისიდორე, გარდაცვლილი 636 წელს, რომელმაც დასწერა ისტორია ადამიდან დაწყებული მეშვიდე საუკუნის დასაწყისამდე; ეს ისტორია ფანტასტიკური ამბებითაა აღსავსე, თუმცა ზოგიერთ სწორ ცნობასაც გადმოსცემს, ვანსაკუთრებით გერმანელი ტომების შესახებ.

48. მეორე ვარიანტით თითქო ქართველები ორმოცს კი არა, მხოლოდ ოც ათას ჰიპერპერს იხდიდნენ.

49. ურუმის სასულთნოს სახელწოდებით იგულისხმება სელჯუკ თურქების სამფლობელო ანატოლიაში.

50. ბალდახი—ბალდადი.

51. მეორე ვარიანტით ოცი ათას ბიზანტინს.

52. თათრული სიტყვა, რომელიც აქაა ნანიზნები, არის ღუმანი, რაც ათი ათას ანუ ძველ ქართულად ბევრს ნიშნავს; იმდროინდელმა რუსებმა და ევროპელებმა ის აურიეს ტუმანში, რაიცა ნისლს, სიბნელეს ნიშნავს.

53. ამ სიტყვებს ტექსტში მოსდევს ადამიანის სამხედრო ტანსაცემლისა და ცხენის რახტის აღწერა, რომელიც იმდენად ბუნდოვანი და გაუგებარია, რომ საჭიროდ არ ვცანით მისი ქართულად გადმოთარგმნა.

54. შეად. „ქართლის ცხოვრების“ სიტყვები: ნახევარი ივლტოდეს თათარნი და ნახევართ მზირი ეყო და უკანით მოუხდეს და სხ.

55. დოხორი—ქრცივინი, თანამედროვე რუსულ ენაზე ხორიოვი.

56. ბასქატები იგივე ბასკაები რუსული მატრიანების მიხედვით.

57. ქვემოთ პლანო კარპინის საერთოდ სწორად აქვს გადმოცემული ყარაყორუმში ქართველი ბატონიშვილების ულუ დავითის და დავით ნარინის გამგზავრების მიზანი და გარემოება. მხოლოდ

ის მათ შეცდომით ბიძაშვილ და მამიდაშვილად კი არა, ღვიძლ-ძმებად სთვლის. ამას გარდა, როგორც ცნობილია, რუსუდანის ვაჟს მელიქი კი არა, დავით ნარინი ერქვა. აგრეთვე მართალი არ არის. თითქო რუსუდან დედოფალი თავის ვაჟთან ერთად დიდ ხანთან გამგზავრებულის და გზაზე გარდაცვლილის.

58. ნამდვილად, როგორც ცნობილია, საქართველო მონღოლებმა ორ სამეფოდ გაჰყვეს, მხოლოდ დავით ნარინს უფრო მცირე ნაწილი, სახელდობრ დასავლეთი საქართველო არგუნეს.

59. მართლაც, როგორც ცნობილია, ქართველებმა ამის შემდეგ ერთმანეთთან შეუთანხმებლად ორჯერ მოაწყვეს აჯანყება მონღოლების წინააღმდეგ, პირველად დავით ნარინის, ხელმეორედ ულუ-დავითის მეთაურობით (1259—1261 წ.), მაგრამ ორივეჯერ დამარცხდნენ.

60. ავტორის მიერ ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელებიდან ზოგიერთი გაუგებარია (მაგ. სობოალი, გოსმიტი, ბასხარე და სხ.); ამას გარდა, მას ქრისტიანული სექტები ნესტორიანები და იაკობიტები ცალკე ერებად აქვს წარმოდგენილი და სხ.

61. მანგია—უნდა იგულისხმებოდეს ჩინეთის სამხრეთი ნაწილი მდინარე ხუანხედან ინდოჩინეთამდე.

62. საიების სახელწოდებით უნდა იგულისხმებოდეს დიდი ბულგარეთის მოსაზღვრე ხალხი ფინური ტომისა.

63. იგულისხმება ბოჰემიის მეფე ვენცესლავ I, რომელიც მეფობდა 1240 წლიდან 1253 წლამდე.

64. იგულისხმება სილეზიის მთავარი ბოლესლავ V (1226—1279).

65. კონრად ლანცისკელი მაზოვიის საჰერცოგოს მფლობელად იყო. მის სატახტო ქალაქს პლოცკი წარმოადგენდა.

66. იგულისხმება ვოლინის მთავარი ვასილკო რომანოვიჩი.

67. იგულისხმება დანიელ რომანოვიჩი, გალიციის მეფე (1201—1264).

68. მირქმის მეორე დღეს, ე. ი. 1246 წლის 3 თებერვალს.

69. კანოვი—ქალაქი დნეპრის პირას, 120 კილომეტრზე კიევიდან.

70. კორენცა—თათრების ათიათასეულის ანუ დუმნის უფროსი, რომელიც კიევის პერეასლავლის მახლობლად მომთაბარეობდა და სამხრეთ რუსეთს ადევნებდა თვალყურს.

71. დიდი მარხვის პირველ კვირაში, ე. ი. აპრილის დასაწყისს.

72. წმინდა გიორგის ტოტს საშუალო საუკუნეებში ხშირად ბოსფორს უწოდებდნენ.

73. საბერძნეთის ანუ დიდ ზღვას პლანო კარპინი შავ ზღვას უწოდებს; მას შეცდომით ჰგონია, რომ ვოლგაც და იაიკიც შავ



ზღვას ერთვიან. საერთოდ ის ერთმანეთში ურევს შავს, აზოვისა და კასპიის ზღვებს.

74. ერთი ლიე—დაახლოებით 4 კილომეტრი.

75. ელდეგაი—ბათო ყაენის მესტუმრეთუხუცესი.

76. ჰუნგრეთის მეფეს ბელა IV (1235—1270).

77. დიდ შაბათს, ე. ი. 1246 წლის 7 აპრილს.

78. ძნელია გამორკვევა ვის გულისხმობს ავტორი ბრუტაქებისა და ციტორების სახელწოდებით; ალანები ოსების ძველი სახელწოდებაა, ჩირკასები ჩერქეზები არიან: აშკარაა, პლანო კარპინი ცალკე ერებად სთვლის იბერიელებს, კახებს და გიორგიელებს.

79. კანგიტებს ზოგიერთი მკვლევარი დასავლეთის თათრების ერთ შტოდ სთვლის, ზოგიერთი კი პაჭანიკების ერთ ტომად.

80. ამ შემთხვევაში ბისერმინების ქვეყნად ხორეზში იგულისხმება.

81. როგორც ცნობილია, მას მუჰამედი ერქვა და თათრებისაგან ლტოლვილი კასპიის ზღვის კუნძულზე მოკვდა; მისი შვილი იყო ჯალალედინი.

82. თიადაი „ქართლის ცხოვრების“ ჩაღატაი უნდა იყოს.

83. სიბანი ანუ შობანი, ბათო ყაენის უმცროსი ძმა; დიდი სიმნე და გამპრიახოზა გამოიჩინა რუსეთის, პოლონეთისა და ჰუნგრეთის საწინააღმდეგო ომებში, რისთვისაც უზარმაზარი მამული მიიღო ურალის მთებიდან არალის ტბასა და ამუდარიის ნაპირამდე.

84. ე. ი. 20—21 ივნისს.

85. იგულისხმება ახლანდელი ბალხაშის ტბა.

86. მეორე ვარიანტით მგზავრებს ეს ტბა თითქო მარჯვენა მხრით დაუტოვებიათ.

87. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ბათოს და შობანის ძმა ორდა იცენი.

88. ე. ი. 28 ივნისს.

89. ე. ი. 22 ივლისს.

90. ყრილობა, მონღოლურად ყურულტაი.

91. მარკა დაახლოებით ნახევარ გირვანქას უდრიდა.

92. ალბათ მდინარე ორხონის ნაპირას.

93. ე. ი. 24 აგვისტომდე.

94. მეორე ვარიანტში მამიდის მაგიერ ხასა სწერია.

95. გუიუქ ყაენის მამა უგედეი, სპარსელი ისტორიკოსების ცნობით, სამი წლის მეფობის შემდეგ მოკვდა 1241 წ., რადგან უგონოდ დაითრო. მონღოლთა ისტორიკოსი ამბობს: ის 1244 წელს მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა.

96. თუმცა რუსი მემატრიანეების უმრავლესობა ამბობს იაროსლავ სუზდალელი დიდი დაღლილობის გამო მოკვდაო, მაგრამ შეიძლება სწორი იყოს პლანო კარპინის ცნობა, რომ ის ურდოში მოწამლეს.

97. ე. ი. 11 ნომბერს.

98. ე. ი. 13 ნომბერს.

99. 1247 წლის 9 მაისს.

---

# لب اللباب

„უკეთესთაგან უკეთესი (ისტორია)“ ჰაჯი მეჰდი-  
შული ყაჯარისა  
(XVII ს.)

გამოცემა

ვ. ფუთურჩიძე

ჰაჯი მეჰდი-ყული ყაჯარის باب‌البا — „უკეთესთაგან უკეთესი (ისტორია)“ — წარმოადგენს მუსლიმანური სამყაროს ისტორიის მოკლედ სახელმძღვანელოს — მიმოხილვას, რომელიც დაწერილია ვრცელი მსოფლიო ისტორიების და მონოგრაფიული საისტორიო ნაშრომების საფუძველზე. იწყება ის მოჰამედის, ალის და იმამების ისტორიით, სრულდება შაჰ-სეფის სიკვდილით (ჰიჯრის 1051 წ. = 1641—42 წ.).

Storey-ს მოხსენებული აქვს<sup>1</sup> باب‌البا-ის მხოლოდ ერთი ხელნაწერი, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმს ეკუთვნის და აწერილი აქვს Rieu-ს<sup>2</sup>. Rieu-ს აზრით ის მე-19 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების მუსლიმანურ კოლექციაში დაცულია მეორე ხელნაწერი ამ ნაშრომისა — რადგანაც ზოგიერთი მხრით ეს ხელნაწერი საყურადღებოა, მოგვყავს აქ მისი აღწერა.

ხელნაწერი № 738 საისტ.-საეთნ. საზოგადოების ფონდიდანაა, შეიცავს 171 ფ., აქედან 98 რ. ცარიელია, ხოლო მე-171 ფურცლისაგან მხოლოდ ზემონახევარია დარჩენილი. ზომა: 19<sup>1</sup>/<sub>2</sub> × 13<sup>1</sup>/<sub>2</sub>; 12 სტრ.; ქაღალდი თეთრია, კარგი ღირსებისა, ყდა რბილი, მოყავისფრო ტყავისა, დაზიანებული. 97 და 163 ფურცლებს შემდეგ აკლია რამდენიმე ფურცელი. პირველი და უკანასკნელი ფურცლები შემოფლეთილია. პირველი ფურცელი შეუკეთებიათ ქობის შემოვლებით. მეორე ფურცელი ჩაწებებულია ისე, რომ verso-ს შიგნითა კიდევ სტრიქონების დასაწყისში რამდენიმე ასო დაფარულია გადაწებებული ქაღალდით. დანარჩენი ნაწილი წიგნისა კარგად არის შენახული, მხოლოდ კიდევები დასვრილია ლურჯი მელნით.

გადაწერილია წიგნი ლამაზი, შიქსთენარევი ნასთალიკით, ზოგჯერ ძნელად გასარჩევით. სათაურები მკრთალი სინგურით არის დაწერილი.

კოლოფონი:

بتاریخ سه شنبه هفتم شهر ربیع الثانی سنه ۱۱۰۴ مطابق بیجی قیل  
در کاخ قلمی شد

ე. ი. „დაიწერა (დასრულდა წერა) სამშაბათს რაბი ოს-სანის თვის 7-სათას ას ოთხ წელს, (რომელიც) შეესატყვისება მაიმუნის წელიწადს.

<sup>1</sup> Persian Literature... by C. A. Storey, Section II, fasc. 1, pp. 134.

<sup>2</sup> Rieu, Supplement, 38.

კახეთში“. ჩვენი წელთაღრიცხვით ეს თარიღი უდრის 1692 წ. დეკემბერს. სამწუხაროდ აღნიშნული არ არის სახელდობრ კახეთის რომელ პუნქტში იქნა გადაწერილი ეს წიგნი.

ხელნაწერს აქვს სხვადასხვა ხასიათის მინაწერები. პირველ გვერდზე ნაჯღაბნი და წერაში ვარჯიშის ნიმუშებია, შემდეგ ყოველი ფურცლის verso-ს ზემო აშიაზე 118 ფურცლამდე, ჩათვლით, ლამაზი ნასხით სწერია არაბულად სხვადასხვა ბრძნული გამონათქვამები, დარიგებანი და სხ., არაბულ სტრიქონს კი ქვემოთ მიწერილი აქვს ნასთალიკის ხელით სპარსული თარგმანი, მაგალითად 20 v-ზე სწერია:

اشرفی طلب الشهرت

بدی در طلب شهرت و اوازه است

124 r.-დან 134 v. გვერდამდე იქ, სადაც საქართველოს შესახებ ამბებია ტექსტში მოყვანილი, აშიაზე გაუწვრთნელი ხელით არის მიწერილი: 124 v. „ლობელობაბის წიგნი გარდაითარგმნა კოსტანტილ და თეიმურაზ მეფის ამბავი ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილისაგან ქალაქ თავრიზში 1911 წელს“.

125 r. „ათას თხუთმეტს ჰიჯრისა თიბილისი გორი და ტუმანისი<sup>1</sup> ოსმალეთიდან გამოიტანა შაჰმა. ონიკაშვილი“.

127 v. „გარდაითარგმნა ყ. ონიკაშვილისაგან თავრიზში“.

128 r. „გარდაითარგმნა ონიკაშვილისაგან“.

130 r. „ფერეიდანის ქართველების რჯულის მიღ[ე]ბის ამბავი გარდაითარგმნა ყ. ონიკაშვილისაგან“.

132 r. „დიდ მოურავის ამბავი გარდაითარგმნა ყ. ონიკაშვილისაგან“.

132 v. „ეს ამბავი გარდაითარგმნა ყ. ონიკაშვილისაგან“.

134 r. „აქ შაჰაბაზის სიკვდილი და მისი შვილის მეფობა სახელათ საამ მირზა და მთელი ისპაჰანის უფლება ჩააბარეს მირზა გურჯის რომელსაც რუსტამ ხანს ეძახდნენ“.

134 v. „მეორეთ მოხსენებული დავით-ხანის ამბავი და ყაჯარიანთ ამოხოცა თეიმურაზ მეფისაგან“.

ამ მინაწერების ავტორი უნდა იყოს ის ფერეიდნელი ქართველი ყოლამ ონიკაშვილი, რომელიც მეორე ფერეიდნელთან, ხუციშვილთან ერთად ჩამოვიდა ირანიდან საქართველოში პირველად 1907 წელს<sup>2</sup>. ჩვენი ხელნაწერი ირანიდან ჩამოტანილი და საისტ-

<sup>1</sup> ე. ი. დმანისი.

<sup>2</sup> იხ. გაზ. „ისარი“, 1907 წ. 24/√ № 111 და 11/√VII № 149.

საეთნ. საზოგადოებისათვის შეწირულია ნიკო ავალიშვილისა და თიკანაძის მიერ, როგორც ამას გვამცნობს საქართველოს მუზეუმის საინვენტარო წიგნის ჩანაწერი. უნდა ვიფიქროთ, რომ ყ. ონიკა-შვილმა ის აქ ნახა საისტ.-საეთნ. საზოგადოების წიგნთსაცავში და გააკეთა ეს თავისი შენიშვნები, მაგრამ უკვე მეორედ ჩამოსვლის დროს.

164 ფურცლიდან წიგნის ბოლომდე გვერდები უჭირავს ირიბ სტრიქონებად დაწერილ ლექსებს და სხვა მინაწერებს. ამ უკანასკნელე-ბიდან საყურადღებოა 164 v.—165 v. გვერდებზე მოთავსებული ვრცე-ლი მინაწერი, რომელშიც მეჭლი-ყული ყაჯარი *محمد علی قاجار خان*, ჩვენი წიგნის ავტორი ალბათ, გადმოგვცემს ერთს ინცინდენტს, რომელიც მას ყარაბაღისა და განჯის ბეგლარ-ბეგის ოლურლუ-ხანის სამსახურში ყოფნის დროს შეემთხვა, როცა მის მიერ გაგზავნილი იყო შაჰთან საქართველოს საქმეების შესახები მოხსენებით.

საკუთრივ „ისტორია“ ჩვენს ხელნაწერში თავდება 137 v. გვერდზე. შემდეგი გვერდიდან იწყება მცირე „თეზქერე“, ე. ი. მოკლე მიმოხილვა ირანის პოეტებისა, რომელშიც მოყვანილია პოეტის სახელი, ძალიან მოკლე შენიშვნა მისი ცხოვრების ან შემოქმედების შესახებ (თითო-ორჯო სტრიქონი, ზოგიერთ შემთხვევაში ვრცელიც) და ლექსი (ერთი-ორი სტრიქონი), როგორც მისი ნაწარმოების ნიმუში. მიმოხილვა ქრონოლოგიურ რიგზეა დალაგებული (სეფიანთა ეპოქის პოეტების სახელები ანბანის რიგზეა ჩამოთვლილი), ბოლოში მოქცეულია თვით ავტორი.

მოგვეყავს აქ სია მოხსენებულ პოეტებისა „თეზქერეში“ წარმოლგენილი რიგის მიხედვით.

فصل بیست و سیم در ذکر شعرای عجم

که بفارسی شعر گفته اند

ابو الحسن استاد رودکی

عضایری رازی

اسد طوسی



- 139 v. ابو الفرخ سنجر  
 ابو القاسم حسن بن احمد عنصري  
 عسجدى
- 140 r. مسعود بن سعد بن سلمان جاجرمى  
 فردوسى طوسى  
 اميره غرى  
 سلطان عروضى  
 ناصر خسرو  
 قطران بن منصور آملى  
 فصيح جرجانى  
 ابو العلا كنجوى  
 استاد ابو الواسع جبلى  
 استاد ابو الفاخر رازى
- 141 r. خاقانى بيلقانى (شيروانى)  
 انورى  
 حكيم سنابى  
 سموزنى
- 141 v. فلكى شيروانى  
 سيد شرف الدين حسن الحسينى  
 ظهير فاريابى  
 اثيرالدين اخسيكتى
- 142 r. مولانا سيف الدين اسقرنكى  
 شيخ نظامى كنجوى  
 جمال الدين محمد عبد الرزاق  
 كمال الدين اسمعيل [بن جمال الدين مزكور]
- 142 v. عبد القادر ناينى  
 شيخ فريد الدين عطار (اسمش محمد بن ابراهيم است)  
 مولانا جلال الدين رومى (اسمش محمد بن حسن البلخى)  
 مصلح الدين شيخ سعدى شيرازى



باب دوم در ذکر شعرائی که معاصر

سلطان حسین میرزا بوده اند

- سلطان حسین میرزا  
 بدیع الزمان میرزا  
 148 r. فریدون حسن میرزا  
 محمد مومن میرزا  
 148 v. بابر میرزا ابن عمر شیخ بن سلطان ابو سعید  
 همایون پادشاه بن بابر پادشاه  
 سلطان یعقوب بن حسن پادشاه  
 مولانا عبد الرحمن جامی  
 149 r. امیر علیشیر  
 149 v. قاضی نظام  
 امیر خواند  
 مولانا میر حسین معمائی  
 150 r. مولانا کمال الدین حسین واعظ  
 مولانا محمد طالب  
 مولانا سلطانهلی خوشنویس  
 150 v. امیر حسن ایبوردی  
 151 r. حواجه آصفی قهستانی  
 میر عبد القادر  
 مولانا هاتقی  
 امیر رضی الدین عبد الادل  
 151 v. مولانا هلالی خراسانی  
 152 r. میر سلطانهلی خواب بین  
 مولانا شاه حسین  
 امیر عطا الله  
 مولانا فصیح الدین جمال



- 156 r.      بیانی تخلص مولانا عبد الله مروارید است  
تجلی لاهیجی  
تسلی شیرازی  
ثنایی تخلص خواجه حسین خراسانی  
ثباتی  
جنونی قندهاری  
حمیمی همدانی  
خرنی صفاهانی  
حیرنی
- 156 v.      حسین خلف صدق حکیم رکنائی کاشی  
خضری قزوینی  
درویش دهیکی  
دیری ذو القدر  
داعی صفاهانی  
ذوقی اردستانی
- 157 r.      ذهنی ترک حیدریک نام دارد  
رضای کاشی  
رضی اصفهانی  
رشکی همدانی  
رضا پاشای تبریزی  
زمانی یزدی  
زکی همدانی
- 157 v.      سالم تبریزی محمود بیگ نام دارد  
سروری کاشی  
سروری کابلی  
سنجر کاشی
- 158 r.      سلیم تخلص محمد قلی طهرانیست  
شاهی سبزواری  
شهیدی  
شریف تبریزی  
شکیمی صفاهانی  
شیرازی همدانی  
شجاع کاشی
- 158 v.      شجاع کاشی

- شكوهی همدانی  
 شرف جهان  
 شقایب تخلص حکیم شرف الدین حسن اصفهانیست  
 شعوری مشهدی  
 159 r. شاپور طهرانی  
 شانی نکاو  
 صبری روزبهان اصفهانی  
 صلابی تخلص میر جلال الدین حسن صدرممالک است  
 صبری تبریزی  
 صرفی ساوجی  
 صادق بیک نقاش کتابدار اشرف اعلی  
 159 v. صایب تبریزی  
 ضمیری اصفهانی  
 طوقی تبریزی  
 طالب آملی  
 160 r. طاهر نائینی  
 طاهر عطار مشهدی  
 طاهر دکنی  
 ظهوری ترشیزی  
 عرفی شیرازی  
 160 v. عجزی تبریزی  
 عتابی تخلص سید محمد نجفی است  
 عزی فروزآبادی  
 عتابی نکاو  
 عارف ایجی  
 عرشی یزدی  
 عزتی تخلص میرزا جانی بیک لشکر نویس اللهویردی  
 خان حاکم شیراز است  
 161 r. غنی تفریسی  
 غیرتی شوشتری  
 غضنفر کلزاری  
 غیاث نقشبند



- 161 r.      ფგანი შირაზი  
               ფიჰზი  ჴნდი  
               ფჴმი  კაშანი  
               ფკარი  თღლს  კაჴი  აჴმდ  კრონისთ  
               ფრჴტი  თღლს  აბო  თრაბ  ბიკ  კაჴისთ  
               ფფფორ  ლაჴიჯი  
               მოლაბა  ფჴოლი  ბუადი  
               ფჴიჯი  ჴროი  
               ჴდსი  მჴჴდი  
 161 v.      ჴიდი  კრანი  
               ჴსმი  აფჴარ  
               ჴსმი  აროსთანი  
               კოკი  
               კიჴი  თღლს  აბო  თაღბ  კაჴისთ  
               კჴრი  მჴჴდი  
               ლსანი  თბრიზი  
               ლჴფი  შირაზი  
               მჴთჴმ  კაჴი  
 162 v.      მილი  თკო  
               მიჴა  თღლს  ჴკიჴი  რკნ  აღინ  მიჴოდ  კაჴისთ  
               მირმჴმდ  მოჴნ  ასთრაბადი  
               .....<sup>1</sup>
- 163 r.      ოჴჴი  კაჴი  
               ოღი  დჴთ  ბიჴი  
               ო  აღი  ჴმი  
 163 v.      ოლაკი  ჴმდანი  
               ოჯრი  რაზი  
               ბიჯი  ლაჴიჯი  
               ბიჯი  სბზოარი  
               ბიჴნი  სმნანი  
               მოღფ  კთაბ

<sup>1</sup> აჴ აკლია 1 ჴურჴცელი, რომე ჴზედაც ოცი პოჴტის სახელი ყოფილა მოთავესებული.

ე. ი. حاجی مهدیقلی قاجار, წიგნის ავტორი, რომელიც ამ თეზქერე-ში თავის შესახებ შემდეგს ამბობს:

من جو آینه ام و هر که برویم بگرد بیگانهان صورت خود در بر من خواهد دید.

როგორც თავისი წიგნის მოკლე წინასიტყვაობაში ამბობს, ჰაჯი მეჰდი-ყული ყოფილა ქ. განჯის მკვიდრი და სამხედრო წრეებს ჰკუთვნებია. ხელნაწერის იმ მინაწერიდან, რომელიც ზემოთ გვქონდა მოხსენებული, ვტყობილობთ, რომ ახალგაზრდობაში ის განჯა-ყარაბაღის ბეგლარ-ბეგის ოღურლუ-ხანის სამსახურში ითვლებოდა და მის მიერ იგზავნებოდა შაჰთან სხვადასხვა დაველებით. იმავე მინაწერში ვკითხულობთ, რომ მასზე განრისხებული ყოფილა მეტად მკაცრი ხასიათის მქონე ვეზირი შაჰისა შეიხ ალი-ხანი, რომელიცო, ამბობს ავტორი, საბაბს ეძებდა მე ხელში ჩაგვედე და ჯოხის ცემით (ჩვეულებრივი სასჯელი ირანში) მოვეკალიო. ამ საფრთხისაგან ის გადაურჩენია ლორესტანში გადაყენას. ავტორს, როგორც ჩანს, უტხოვრია საქართველოშიც (კახეთში), რადგანაც ჩვენი ხელნაწერი, რომელიც ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ავტოგრაფი უნდა იყოს, კახეთშია დაწერილი.

ავტორს ნიჰნად დაუსახავს<sup>1</sup>, როგორც ის წინასიტყვაობაში ამბობს, ისეთი ისტორიის დაწერა, რომ მკითხველს შესძლებოდა ადვილად მიღება ცნობისა იმის შესახებ, თუ როდის და რამდენ ხანს მეფობდა ესა თუ ის ხელმწიფე, დაწყებული ისლამის პირველი წლებით და გათავებული წიგნის შედგენის დროით. ამისათვის მას გამოუყენებია რამდენიმე დიდი საისტორიო ნაშრომი, რომელთაგანაც ზოგიერთი თავის ტექსტში აქვს დასახელებული. სელჯუკთა ისტორიისათვის ის სარგებლობს ჰამ-დალლაჰ ყახვიანის ისტორიით: تاریخ ایدگ „რჩეული ისტორია“; საიდანაც სიტყვა-სიტყვით აქვს გადმოღებული ბევრი ადგილი; სეფიანთა ისტორიისათვის მას ისქანდერ მუნშის عالم آرای عباسی შაჰ-აბაზ დიდის ისტორია აქვს აღებული. სარგებლობს ის აგრეთვე შერეფ ედ-დინის ცნობილი هام ظفر-თი.

უნდა აღინიშნოს, წიგნში არ ჩანს იმის კვალი, რომ ავტორი იცნობს საქართველოს და მის ვითარებას, იცნობს თანამედროვე პოლიტიკურ ამბებს, თუმცა ის ახლოს უნდა მდგარიყო საქართველო-ერანის ურთიერთობის საქმეებთან. იმ ცნობებშიც, რომელსაც ის საქართველოს ისტორიის შესახებ გვაწვდის და რომელთაც ქვემოთ ვათავსებთ, ჩვენთვის არაფერია ახალი, მაგრამ, მიუხედავად

<sup>1</sup> შდრ. Rieu, Supplement, 38.

ამისა, **السلامة** მაინც საინტერესოა ჩვენთვის, როგორც საისტორიო-ლიტერატურული ფაქტი, რომელიც ერთ შტრიხს კიდევ ჰმატებს საქართველო-ერანის მაშინდელი საისტორიო-კულტურული ურთიერთობის სურათს.

ენა ნაწარმოებისა საერთოდ მარტივია, ხოლო ცალკე ნაწილებში შერჩენილი აქვს თავისი წყაროს სტილი, რომელიც სეფიანთა დინასტიის შესახებ ნაწყვეტებში უფრო შემკობილია, ვიდრე თავის ენის სისადავით ცნობილ ჰამდალლაჰ ყაზვინის „რჩეულ ისტორიიდან“ ამოღებულ ნაწილებში.

سلطان محمود بن محمد بن ملكشاه بعد از پدر در عراق پادشاه شد و با سلطان سنجر جنگ کرد آخر بصلح انجامید عراق و آذربایجان و بغداد و فارس و اران و ارمن و گرجستان برو مسلم شد مستبد شد خلیفه اورا مغیث الدین محمود یمین امیر المومنین لقب داد و دو دختر سلطان سنجر را بحاله نکاح در آورد سیزده سال دو ماه پادشاهی کرد بیست و هفت سال عمر داشت در سنه یازدهم شوال خمس و<sup>1</sup> عشرين و خمسمایه وفات یافت.  
 იცოცხლა [და] ხუთას ოცდახუთი დაიცვალა (= 1131 წ. სექტემბერი).

სულტან მაჰმუდ ბენ მელიქ-შაჰი მამის შემდეგ გახელმწიფდა ერაყში. მას სულტან სანჯართან ჰქონდა ომი, ბოლოს დაეზავა და ერაყი, ადერბაიჯანი, ბაღდადი, ფარსი, არანი, სომხეთი და საქართველო მას გადმოეცა და დამოუკიდებელი მმართველი გახდა. ხალიფამ მას მოლის ოდ-დინ მაჰმუდ<sup>1</sup> ემირ ამიროლ-მუ'მინინის ლაყაბი მისცა. მან იქორწინა სულტან სანჯარის ორ ქალიშვილზე. ცამეტი წელიწადი [და] ორი თვე მეფობდა, ოცდაშვიდ წელიწადს წლის შევალის თვის 11-ს გარ-

فصل نوزدهم در ذکر

پادشاهان قراقرینلو و

آق قوینلو

و ایشان دو شعبه اند شعبه اول قراقرینلو و ایشان چهار تن مدت شصت و نه سال سلطنت نمودند... (86 v.).

თავი 19. შავ-ბატკნიანთა

და თეთრ-ბატკნიანთა

ხელმწიფენი

ისინი ორი გვარი იყო, გვარი პირველი — შავ-ბატკნიანი (ყარა-ყოენლუ), მათგან ოთხი კაცი 69 წლის განმავლობაში მეფობდა.

<sup>1</sup> განმეორებულია.

سیم ایشان (88 r.) میرزا جهان شاه بن قرا یوسف در شهر سنه تسع و ثلاثین و ثمانمائه بفرمان سلطان شاهرخ حکومت آذربایجان بدو تعلق گرفت و روز بروز دولت و حکومتش تزیید پذیرفت بغزای گرجستان رفته فتح کرد و یر عراق و فارس و کرمان مستولی شد و عزم تسخیر خراسان نموده با میرزا ابراهیم پسر علاالدوله بشرحی که سابقاً مذکور شد جنگ نموده مظفر گردید تمامی ممالک عراق عرب و سواحل عمان تا سرحد شام و عراق و فارس و آذربایجان در تحت نگین او بود و در تبریز مسجد ساخته که فی الجمله عظمت و بزرگی او از آن ظاهر باشد و بقصد دفع حسن بیگ که حاکم دیاربکر بود لشکر کشید و کاری از پیش نتوانست برد لابد مراجعت کرد در حین رجعت بی تدبیری کرده اردو و قشون را در هر منزل پیش روانه میکرد و خود با معدودی در یورت بخواب استراحت مشغول می شد حسن بیگ که منتظر فرصت بود غفلت اورا (88 v.) غنیمت دانسته با سه هزار کس بر سرش رسید و با پسرانش گرفته براه عدم فرستاد سی و سه سال پادشاهی کرده بود و این قضیه در سنه اثنی و سبعین و ثمانمائه واقع شد. ისარგებლა მისი დაუღვევრობით, თვის დაესხა სამი ათასი კაცით და, შეიპყრო რა მის შვილებთან ერთად, არყოფნის გზით გაგზავნა (მოჰკლა). ის ოცდაცამეტ წელს მეფობდა, და ეს ამბავი რევას სა- მოცდათაორმეტ წელს (=1467/1468) მოხდა.

მესამეს მათეანს მირზა ჯეჰან შაჰ ბენ ყარა - აფსუფს რევას ოცდაცხრამეტ წელს სულთან შაჰ-როზის ბრძანებით მიეკუთვნა ადერბაიჯანის მმართველობა და მისი სამფლობელო და ძალაუფლება დღითიდღე მატულობდა. [მან] საქართველოზე გაილაშქრა სამღვთო ომით და გაიმარჯვა, ერაყი, ფარსი და ქერმანი დაიპყრო. ხორასანზე წავიდა, მირზა იბრაჰიმს, ალაუდ-დოულეს შვილს, როგორც წინა დანახვებით იყო, ომი გაუშართა და გაიმარჯვა. მთელი ქვეყნები არაბეთის ირაკისა, ომანის სანაპიროებისა სირიის საზღვრამდე, ერაყი, ფარსი და ადერბაიჯანი მის ხელქვეით იყო. მან ააშენა თავრიზში მიზგითი, რომელიც ცხადად მოწმობს მის სიდიადეს. მან [აგრეთვე] გაილაშქრა ჰასანბეგის წინააღმდეგ, რომელიც დიარბექირის მმართველი იყო, მაგრამ ვერას გახდა და იძულებული შეიქნა დაბრუნებულ იყო. დაბრუნების დროს [ის] უგუთურად მოიქცა, თავის ჯარსა და ლაშქარს ყოველ გადაავალზე წინ უშვებდა ხოლმე, თვით-კი [ლაშქრის მცირე] რიცხვით ბანაკში ეძინა და ისევ ნებდა. ჰასან-ბეგმა, რომელიც მოხერხებულ დროს ელოდა,

თვის დაესხა სამი ათასი კაცით და, შეიპყრო რა მის შვილებთან ერთად, არყოფნის გზით გაგზავნა (მოჰკლა). ის ოცდაცამეტ წელს მეფობდა, და ეს ამბავი რევას სა- მოცდათაორმეტ წელს (=1467/1468) მოხდა.

پنجم پادشاه صفويه (108 v.)

سنه لوی ٹیل سنه ۹۹۸ .....  
(114 v.)

... و سوانح دیگر سال مزبور  
فرهاد پاشا ارزنه روم با لشکر گران  
بقرا باغ آمد و محمدخان زیاد اغلی  
قاجار که سال (115 v.) گذشته  
بر تبة ایالت قرا باغ سرافراز شده بود.  
هنوز استفامتی نرسانیده بود لابد ایل و  
احشام قرا باغ را کوچانیده بکنار رود  
ارس آورد نظریاشای قزاقتر و بعضی  
ایلات قاجار که تسمن در جلی  
داشتند روگردان شده بمیان رومی  
مراجعت کردند چون فرهاد پاشا  
قلعه گنجہ را استحکام داده مرجعت  
نمود محمد خان زیاد اغلی با ایل و  
الوس و امرای که همراه او بکنار  
آب ارس آمده بودند مراجعت  
نموده قلعه را محاصره کرد چون  
نواب اشرف از برای صلح جانین  
ایلچی تعیین کرده بود که نزد خواندکار  
روم بروم دلا حظه فرمودند که  
محاصره کردن محمد خان قلعه گنجہ  
را مبادا باعث تزلزل امر مصالحه  
گردد حکم همایون باسم محمدخان  
صادر شد که ترک محاصره قلعه  
گنجہ نموده دست از ولایت قرا باغ  
بردارد هر گاه صلح موافق مطلب  
شد باز حاکم قرا باغ او خواهد بود و  
الا از ولایت دیگر باو ایالت و  
حکومت شفقت خواهیم کرد محمد  
خان از رام ضوفیگری و اخلاص  
(116 r.) که داشت ترک وطن و

სეტითანთა მესხუთე ხელმწიფე

(შაჰ-ბაჰ I)

თევზის წელიწადი, 998 წ.  
(=1589/1590).....

ხსენებული წლის სხვა ამბები  
[შემდეგია]: არზრუმის ფაშა ფერ-  
ჰადი დიდი ჯარით ყარაბაღს  
მოვიდა. მოჰამედ-ხან ზიად ოღ-  
ლი ყაჯარმა, რომელიც გასულ  
წელს ყარაბაღის მმართველის  
პატივით იქნა განდიდებული  
[და] ჯერ არ გამაგრებულიყო,  
ძალაუნებურად ყარაბაღის ხალ-  
ხი და მსახურები (ამალა) შე-  
კრიბა და მდინარე არეზის ნა-  
პირზე მოიყვანა. ნაზარი, ყაზახის  
ფაშა, და ყაჯართა ზოგიერთი  
ელი, რომელნიც იმთავითვე  
სუნიტები იყვნენ, განდგნენ და  
თურქებთან დაბრუნდნენ. ფერ-  
ჰად-ფაშამ განჯის ციხე გაამაგ-  
რა და უკან დაბრუნდა, მოჰამედ-  
ხან ზიად ოღლი ელემბით, ულუ-  
სით და ამირებით, რომელნიც  
არეზის წყლის პირას მოჰყვნენ,  
შემობრუნდა და ციხეს შემოად-  
გა. რადგანაც მის უდიდებულე-  
სობას [შემომარ] მხარეთა შორის  
ზავის ჩამოსაგდებად ელჩი ჰყავდა  
დანიშნული რუმის (თურქეთის)  
ხონთქართან, მან იფიქრა, რომ  
ფერჰად-ფაშას მიერ განჯის  
ციხისათვის ალყის შემორტყმამ  
შეიძლება ზავის საქმე შეარყი-  
ოსო. [ამიტომ] მოჰამედ-ხანის  
სახელზე გამოვიდა უმაღლესი  
ბრძანება, რომ მან თავი დაანე-  
ბოს განჯის ციხის გარემოცვის  
და ხელი აიღოს ყარაბაღის ვე-  
ლაღეთზე. უკეთუ ზავი სასურ-



ولایت خود کرده از سر قلعه بر خواست  
 امرا و قشون از سرش پراکنده شده  
 قزاق و قرمانلو و سایر اوباقات قاجار  
 دو فک شده راه به محمد خان ندادند  
 که بخدمت نواب اشرف برود ناچار از  
 آب کر گذشته به گرجستان رفت که  
 شاید از راه گرجستان تواند رفت  
 گستندیل خان حاکم گرجی اورا گرفته  
 نزد پادشاه روم فرستاد بعد از چند سال  
 که در روم محبوس بود و صلح بمیان  
 آمد سلطان مراد ثالث بن سلطان  
 سلیم ثانی پادشاه روم اورا مرخص  
 کرده آمده بیای بوس اشرف مشرف  
 گردید و در اردبیل موظف شد نقل  
 است که همیشه محمد خان میگفته  
 است که نواب اشرف قلعه گنجه را از  
 رومی گرفته باز بمن خواهد داد  
 بنابر اعتقاد صادق و اخلاص قوی او  
 بعد از بیست سال ولایت مزکور از  
 تصرف رومی استرداد و ایالت آن  
 بدستور بمحمد خان زیاد اغلی که  
 در بنمدت تشویش و تعب بسیار کشیده  
 بود عنایت فرمودند (116 r.).

სულტან მურად მესამემ, სულტან სელიმ მეორეს შეიღმა, მოჰამედ-  
 ხანი გაათავისუფლა. ის მოვიდა (ერანს) და შაჰის ფეხის კოცნის  
 ღირსი გახდა. ის დანიშნული იქნა არდებელში. ამბობენ, მოჰამედ-  
 ხანი მუღამ [იმას] ლაპარაკობდა, მისი უდიდებულესობა განჯის ცი-  
 ხეს თურქებს წაართმევს და მე მომცემსო. მისი გულწრფელი მორ-  
 წმუნეობის და მტკიცე ერთგულების გამო, ოცი წლის შემდეგ ხე-  
 ნებული ველადეთი თურქების მფლობელობიდან იქნა დაბრუნებული  
 და მისი გამგეობა შეპირებისამებრ უწყალობეს მოჰამედ-ხან ზიად  
 ოღლის, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ბევრი შეშფოთება და  
 შრომა გარდახდა.

ველი შედეგებით დასრულდა, ყარაბაღის მმართველი ის იქნე-  
 ბაო, ანდა სხვა ველადეთიდან ვუწყალობებთ მმართველობას  
 და სამფლობელოსო. მოჰამედ-  
 ხანმა, თვისი კეთილმორწმუნეო-  
 ბის და ერთგულების გამო, სამშობლო და ველადეთი დასთ-  
 მო და ციხიდან აიყარა. ამირე-  
 ბი და ჯარი მას შემოეთანტა,  
 ყაზახების, ყაზანლუსა და სხვა  
 ყაჯართა ტომებმა (ოიმახებმა),  
 განდგნენ რა, გზა არ მისცეს  
 მოჰამედ-ხანს, რომ მის უმაღ-  
 ლესობასთან (შაჰთან) წასულ-  
 იყო. ძალაუფლებურად მტკვარზე  
 გადავიდა და საქართველოში  
 წავიდა, რომ ეგებ საქართვე-  
 ლოს გზით შეეძლო გავლათ.  
 საქართველოს მმართველმა კონს-  
 ტანტინე-ხანმა ის დაიჭირა და  
 თურქეთის ხელმწიფეს გაუგზავ-  
 ნა. რამდენიმე წლის შემდეგ,  
 [რომლის განმავლობაში] ის  
 ტყვედ იყო, როცა [თურქეთსა  
 და ირანს შორის] ზავი ჩამო-  
 ვარდა, თურქეთის ხელმწიფემ

لوی ٹیل سنہ ۱۰۱۳

کہ سال ہیجدهم جلوس است

ნიანგის წელიწადი, 1013 წ., რო-  
მელიყ (შაჰის) ტახტზე ასვლის  
მე-18 წელია

حسینخان زیاد اعلیٰ مصاحب قاجار  
بارومیان قلعه گنجه محاربه نموده  
از غایت تهور و بیباکی شکست یافت  
و درین سال جغال اعلیٰ سردار روم  
به آذربایجان آمده از نخجوان بی نیل  
مقصود باز گشت و قلعه ایروان نیز  
درین سال بتصرف آمده به امر کونه  
خان قاجار عنایت شد.

თვე ამ წელს იქნა დაპყრობილი და ის ამირგუენ-ხანს უბოძეს.

ჰოსეინ ზიად-ოღლი ყაჯარმა განჯის ციხეში [მდგომ] თურქებთან ბრძოლა გამართა და უკიდურესი გამბედაობისა და უშიშრობის გამო დამარცხებულ იქნა. ამ წელს ჯელალ-ოღლი, თურქეთის სარდალი, ადერბაიჯანს მოვიდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია და [ხელცარიელი] გაბრუნდა. ერევნის ციხე აგრეთვე

یلان ٹیل سنہ ۱۰۱۴ نوزدهم سال جلوس

کستندیل خان ولد الکسندر  
خان گرجی پدر و برادر  
خودرا کشته خود حاکم گرجستان  
کاخت شد و حسب الامر اعلیٰ  
بگرفتن قلعه شماخی مامور با قشون  
قرلباش رفته شماخی را محاصره کرد  
شب گرجیان ازو روگردان شده  
بگرجستان مراجعت کردند کستندیل  
خان از عقب ایشان رفته جنگ  
کرده مقتول شد و جغال اعلیٰ سردار  
روم باز معاودت نموده با اعلیٰ  
اشرف محاربه نموده شکست یافت و  
درین سال ایالت گرجستان بطهمورت  
خان شفقت شده طبقهای زرد بر  
سرش نثار کردند.

ლა გამართა და დამარცხდა. ამ წელს საქართველო თეიმურაზ-ხანს უწყალობეს და ოქროს თაბახები თავზე გარდააყარეს.

ვეელის წელიწადი, 1014 წელი,  
მეთეობის მე-19 წელი

კონსტანტინე - ხანმა, ალექსანდრე-ხან ქართველის შვილმა, თავისი მამა და ძმა მოკლა და თვით კახეთის საქართველოს მმართველი შეიქნა. უმაღლესი ბრძანების თანახმად, ის დანიშნული იქნა შემახას ციხის ასაღებად, და ყიზილბაშთა ჯარით წავიდა და შემახას ალყა შემოარტყა. ღამით ქართველები მას განუდგნენ და საქართველოში დაბრუნდნენ. კონსტანტინე-ხანი დაედევნა მათ, შეებრძოლა და მოკლულ იქნა. ჯელალ-ოღლი, თურქების სარდალი [ისევ] დაბრუნდა, მის უმაღლესობასთან (შაჰთან) ბრძო-

یونئیل سنه ۱۰۱۵

قلعه گنجه که در تصرف رومیان بود غازیان ظفر نشان قزلباش گرفتند که دلا تاریخ آن گفته اند نظم  
منت خدای را که باقبال بیزول  
ملک شه زمین و زمان در فراخی است  
از بسکه نصرت از بی نصرت میرسد  
تاریخ فتح گنجه کلید شماخی است

قلاع تقلیس و کوری و طومانوس  
هم درین سال بتصرف اعلی در آمد  
چون حسین خان زیاد اعلی قاجار  
بنا بر تهوری که بی تدبیرانه  
بارومیان جنگ کرده شکست یافته  
بود در خدمت همایون اشرف  
تقصیر بود ایالت کنجهر را بمحمد  
خان زیاد اعلی قاجار که سابقا ذکر  
شد که همواره میگفت که گنجه  
نواب اشرف خواهد گرفت و بمن  
خواهد داد عنایت شد و در آخر  
این سال قلعه دربند بتصرف گماشتگان  
اعلی در آمد.

და მე მომცემსო. ამ წლის დასასრულს დარუბანდის ციხე [შაჰის] მაღალ რწმუნებულთა (მოხელეთა) მფლობელობაში გადავიდა.

قوی ئیل سنه ۱۰۲۲

...درین سال طهمورت خان بن  
داود خان بن الکسندر خان والی  
کاخت و لوارصاب میرزا بن کرکین  
خان والی کارتیل قرار داده بوده  
اند که چون نواب اشرف بمازندران

ქხენის წელიწ., 1015 (1606/1607) წ.

განჯის ციხე, რომელიც თურქების ხელში იყო, ყიზილბაშთა ძლევამოსილმა დაზიებმა აიღეს. მაშინ უთქვამთ ლექსი:

დიდება ღმერთსა, რომ მარადი ბედნიერებით ქვეყანისა და ჟამთა ხელმწიფის სამეფო სიუხუცეშია.

ღვთის დახმარება რადგან ღვთის დახმარებას მოსდევს, [ამიტომ] განჯის დაპყრობის ამბავი შემახსნას გასაღებია.

თბილისის, გორის და დმანისის ციხეებიც ამ წელს გადავიდა უზუნაგის (შაჰის) მფლობელობაში. რადგანაც ჰოსიენ-ხან ზიად ოღლი ყაჯარი [უადგილო] გამბედაობის გამო უგუნურებით თურქებს შეებრძოლა და დამარცხდა და მისი უდიდებულესობის წინაშე დამნაშავე შეიქნა, [ამიტომ] განჯის ქვეყანა უწყალობეს მოჰამედ-ხან ზიად ოღლი ყაჯარს, რომლის შესახებ წინადაც-იყო მოხსენებული, რომ ის მუდამ ამბობდა, განჯას მისი უდიდებულესობა აიღებს და მე მომცემსო. ამ წლის დასასრულს დარუბანდის ციხე [შაჰის] მაღალ რწმუნებულთა (მოხელეთა) მფლობელობაში გადავიდა.

ქხერის წელიწ., 1022 (1613/1614) წ.

ამ წელს კახეთის მმართველ თეიმურაზ-ხანის, ალექსანდრე-ხანის ძის დავითის შვილისა და ქართლის მმართველ ლუარსაბ მირზას, გიორგი-ხანის შვილის [შესახებ] დადგენილი იყო, რომ,

بهشت نشان تشریف به برند و ایشانرا طلب نمایند آمده درین زمستان با نواب همایون اعلیٰ مصاحبت نموده بعیش و عشرت مشغول (127 v.) باشند بنابران نواب اشرف که بمازندران تشریف بردند امامقلی جلودار را فرستاده ایشانرا طلب فرمودند ایشان از بدطینتی که در جیبی داشتند بعدرهای ناموجه تمسک جستہ نیامدند و طبع شریف اعلیٰ اشرف از ایشان انحراف پذیرفته بغزای گرجستان نهضت فرمودند طهمورث خان والده و پسر خود را فرستاده خواست که بحيله و تدوير انطفاى غضب پادشاهی نماید تاثير بران مترتب نشد طهمورث و نوارصاب مزبوره فراری شده به باشی آچوق رفتند قتل و غارت عظیم در گرجستانات رو داد از جمله سی هزار اسپر و چهل هزار گاو بشماره در آمده بود سایر اشيارا ازینقرار قیاس باید کرد.

და რბევა შეიქნა საქართველოში. 30 ათასი ტყვე და ორმოცი ათასი ხარი და ძროხა (ნადავლი) აღირიცხებოდა, დანარჩენი საქონელი (ნივთები) ამის მიხედვით უნდა იანგარიშოს კაცმა.

როცა მისი უდიდებულესობა სამოთხისებურ მაზენდარანში წაბრძანდებოდა და მათ მოიხმობდა, ისინი მოვიდოდნენ და ამ ზამთარს მის უდიდებულესობასთან იქნებოდნენ ლზინსა და გართობაში. ამიტომ მისმა უდიდებულესობამ, როცა მაზენდარანს წაბრძანდა, იმამ-ყული ჯილავდარი გაგზავნა და ისინი მოიხმო. მათ უსაფუძვლო მიზეზები მოიგონეს, თვისი თანდაყოლილი ბოროტების გამო, და არ მოვიდნენ. მისი უდიდებულესობა განრისხდა მათზე და საქართველოზე გალაშქრება ბრძანა. თეიმურაზ-ხანმა თვისი დედა და ვაჟიშვილი გაგზავნა [შაჰთან] და უნდოდა ეშმაკობით და მოტყუილებით დაეცხრო ხელმწიფის რისხვა. ამან [არავითარი] გავლენა არ მოახდინა [მდგომარეობაზე]. სხენებულ თეიმურაზი და ლუარსაბი გაიქცენ და ბაში-აჩუკს (იმერეთს) მივიდნენ. დიდი ხოცვა

بارس ٹیل سنه ۱۰۲۳  
سال بیست هشتم جلوس

پانزده هزار خانه از یهود و گرجی ساکن کاخت و از ایل و اویماقات قراباغ و شیروان که مخالفت و دونکی از ایشان سر زده بود سورکی فرموده بفرح آباد مازندران بردند و حاکم

ვეფხის წელიწ., 1023 (1614/1615) წ.

27-ე წელი მეფობისა

[შაჰმა] ბრძანა გადასახლება 15 ათასი კომლი ებრაელებისა და კახეთში მცხოვრებ ქართველებისა, აგრეთვე შირვანის და ყარაბაღის ელებისა და ომიახებისა, რომელთა შორის თავი იჩინა წინააღმდეგობამ და

قراقر را با ایل جزیر بنابر روساهی و  
 دونکی که داشتند سورکی فرموده  
 به داراب جرو شیراز فرستادند و درین  
 سال محمد باقر میرزا مشهور بصفی  
 میرزا ولد ارجمند نواب اشرفا  
 بیهبود بیک چرکس زخمها زده بقتل  
 رسانید.

უდიდებულესობის კეთილშობილმა შვილმა, საფი მირზად ცნობილ-  
 მა მოჰამედ ბაყერ მირზამ ბეჰბუღ-ბეგ ზერქეზი დასჭრა და მოჰკლა.

نوشقان ئیل سنه ۱۰۲۴

سال بیست نهم جلوس

ظهورت خان گرجی برسر  
 علیقلی خان سردار جنود ظفر درود  
 قزلباش آمده محاربه عظیم رو  
 داد و لشکر قزلباش منہزم شدہ  
 علیقلی خان خود را بقاعہ تفلیس  
 رسانید و مرحوم محمد خان زیاد  
 اغلی بیگلر بیگی گنجہ درین محاربه  
 بہ شہادت رسید.

და განსვენებული მოჰამედ ზიად-ოღლი, განჯის ბეგლარ-ბეგი.

لوی ئیل سنه ۱۰۲۵

سیام سال جلوس

نواب اشرف اغلی خود بنفس  
 نفیس جهت انتقام به تفلیس آمده  
 جابجا به قتل و غارت لشکر  
 فرمود از چهار طرف گرجیان  
 کاخ را احاطه کرده سقناقها را  
 شکستند هر چه ذکور گرجیان به  
 دست افتد مقتول شد و هر چه اناث  
 بود بذل رقیت و اسارا گرفتار شدند  
 سیاهه صد هزار اسیر سوای آنچه  
 پنهان کرده بودند بنظر انور اشرف

აჯანყებამ. ისინი მაზენდარანის  
 ფეროზ-აბადს წაიყვანეს. [შაჰ-  
 შა ავრეთვე] ბრძანა გადასახ-  
 ლება ყაზახის მმართველისა ხსე-  
 ნებულ ელთან ერთად, მათი  
 პირშეგობისა და ურჩობის გამო.  
 ისინი დარაბაჯერსა და შირაზ-  
 ში გაგზავნეს. ამ წელს მისი

შვილმა, საფი მირზად ცნობილ-  
 მა მოჰამედ ბაყერ მირზამ ბეჰბუღ-ბეგ ზერქეზი დასჭრა და მოჰკლა.

კურდღლის წელიწადი, 1024  
 (1615) წ., 29-ე წელი მეფობისა

თეიმურაზ-ხან ქართველი ყი-  
 ზილბაშების გამარჯვებთა მომ-  
 ხვეჭი ლაშქრის სარდალს ალი-  
 ყული-ხანს დაესხა თავს. მოხდა  
 დიდი ბრძოლა. ყიზილბაშთა  
 ჯარი დამარცხდა. ალი-ყული-  
 ხანი თბილისის ციხეში შევიდა.  
 ამ ბრძოლაში რჯულისათვის  
 მოწამებრივი სიკვდილით მოკ-  
 და და განსვენებული მოჰამედ ზიად-ოღლი, განჯის ბეგლარ-ბეგი.

ნიაზევის წელიწ., 1025 (1616) წ.

30-ე წელი მეფობისა

მისი უდიდებულესობა თვით  
 მობრძანდა თბილისის შურის  
 საძიებლად. ადგილ - ადგილ  
 უბრძანებდა ლაშქარს ჟღერტა და  
 რბევა [მოეხდინა]. [ყიზილბაშე-  
 ბი] ოთხივე მხრით შემოერტყე-  
 ნენ კახელებს და მათი სიღნა-  
 ლები დაღწეს. ქართველი მა-  
 მაკაცები, ვინც ხელში ჩაუვარ-  
 დათ, ყველა მოკლულ იქნა,  
 ხოლო ვინც ქალი იყო, ის  
 ტყვედ იქნა წაყვანილი. ნუსხა

اعلیٰ رسید و هشتاد هزار متجاوز  
 گرجی بقتل رسیده بود در هیچ  
 تاریخ چنین نهب و غارت و قتل در  
 گرجستان رو نداده بود که واقع شد  
 و در این سال پیر بوداق خان  
 بیکار بیکی تبریز در جنگ اکراد  
 و لشکر رومی بشهادت رسید و  
 شاه بنده خان ولد او بر جایش  
 منصوب شد و محمد پاشا وزیر اعظم  
 با لشکر بیحد آمده قلعه ایروان را  
 محاصره نمود و چهل هزار رومی در  
 محاصره این قلعه بقتل رسیده بی نیل  
 مقصود کوچ کرده مراجعت نمود  
 (128 v.).

ასი ათასი ტყვისა, იმათ გარ-  
 და, ვინც დამალეს (აღრიცხვი-  
 საგან), [თვით] მისი უმაღლესო-  
 ბის ნათელმა თვალმა იხილა.  
 ოთხმოც ათასზე-მეტი ქართვე-  
 ლი მოკლულ იქნა. არასოდეს  
 ისეთი რბევა, ძარცვა და ხოც-  
 ვა საქართველოში არ ყოფი-  
 ლა, როგორც [ამ დროს] მოხდა.  
 ამ წელს თავრიზის ბეგლარ-  
 ბეგი ფირ ბუდაყ-ხანი რჯული-  
 სათვის დაიღუპა ქუროთებთან და  
 თურქების ჯართან ბრძოლაში  
 და მის ადგილზე დანიშნული  
 იქნა შაჰ-ბენდე-ხანი, მისი შვი-  
 ლი. მოჰამედ-ფაშა, დიდი ვე-  
 ზირი, მოვიდა ურიცხვი ჯარით და ერევნის ციხეს ალყა შემო-  
 არტყა. ორმოცი ათასი თურქი იქნა მოკლული ამ გარემოცვის  
 დროს. ვერას გახდა რა, [მოჰამედ ფაშამ] შემოიკრიბა [ისევ ჯარი]  
 და უკან გაბრუნდა.

بیچی ٹیل سنه ۱۰۲۹

მაიმუნის წელიწ., 1029 (1619/1620) წ.

...درین سال حکومت کاخت را  
 به بیگلر بیگی ایگرمی درست عنایت  
 فرمودند.

ამ წელს კახეთის გამგებ-  
 ლობა ბეგლარ-ბეგ ივირმი დუ-  
 რასტს უწყალობეს.

صخاقوی ٹیل سنه ۱۰۳۰

ქათმის წელიწ., 1030 (1620/1621)

سی و پنجم سال جلوس  
 پنجهزار خانه آرامنه و نصاری<sup>1</sup> که در  
 فریدن قرب جوار بختیاری اقامت داشتند  
 سیادت پناه ابو المعالی نظری مجلس  
 نویس را<sup>2</sup> مقرر فرمودند که ایشانرا  
 ترغیب و تکلیف بدین مبین سید

წ., 35-ე წელი მეფობისა

ხუთი ათასი კომლი სომეხ-  
 ბისა და ქრისტიანებისა, რო-  
 მელნიც ფერეიდანში, ბახტია-  
 რების ოლქის ახლოს ცხოვ-  
 რობდნენ, კარის ისტორი-  
 კოსს აბულ-მეალი ნაზარის  
 უბრძანეს წააქეზოს და წინა-

<sup>1</sup> ასეა ხელნაწერში. ჩვეულებრივი ფორმაა ان نصارا ჯნდა იგულისხმე-  
 ბოდეს ქართველები.

<sup>2</sup> ეს სიტყვა შემდეგი სიტყვის ქვეშ არის მიწერილი უწერტილებით.



المرسلين نموده بشرف اسلام در آورد  
باندك تكليفى مجموع ایشان بالطوع  
و الرغبة ترك ملت مسيح نموده  
كلمه طتبه توحيد بر زبان رانده  
مسلمان شدند و كيسيای ایشان تبديل  
بمسجد مسلماني يافت.

ტეს სარწმუნოება, აღიარეს ღვთის  
ნენ. მათი ეკლესიები მუსლიმანურ მიზგითებად შეიცვალა.

(132 r.) اقوى ئيل سنه ۱۰۳۶

سى ونهم سال جلوس

ماوراو روسياه گرجي با وجود  
تقرب و اقتدار كه در خدمت اشرف  
اعلى داشت ارتداد و عصيان ورزيده  
با طهمورث خان و گرجيان متفق شده  
قرچقاي خان سردار قزلباش را و  
يوسف خان بيگريبيگي شيروانرا  
كشته جمعى از جنود ظفرورود را  
بشهادت رسانيدند و اردوى قزلباش  
را تاخت و يغما کرده بگنجه قراباغ  
رفته خرابى بسيار نمودند.

ერთი რაზმი (ნაწილი), დაარბიეს და გაძარცვეს ყიზილბაშთა ბანაკი,  
წავიდნენ განჯა-ყარაბაღზე და ბევრ ნავენებში ჰქნეს.

(132 v.) توشقان ئيل سنه ۱۰۳۶

سال چهل و يكم جلوس

طهمورث خان گرجي بوساطت داود  
خان ولد الله وبردی خان كه در قلعه  
تفليس كوتوال بود پناه بدرگاه عالم  
مطبع حسته استدعاى عفو تقصيرات خود  
كه با ماوراو روسياه متفق شده کرده  
بود نموده بدرجه عفو اقتران يافت و  
محمد قلیخان زياد اغلی كه بيگريبيگي

<sup>7</sup> დიდი მოურავი გიორგი სააკაძე.

დადება მისცეს მათ [მიიღონ]  
წინასწარმეტყველთა მთავრის  
[მოჰამედის] ჭეშმარიტი. სარ-  
წმუნოება და ისლამის პატივს  
ეზიარონ. მცირე წინადადები-  
თაც ყველამ მათ მორჩილად და  
მონდომებით დასტოვეს ქრის-  
თიანობა და მუსლიმები გახდ-  
ნენ.

1034 (1624/1627) წ., 39-ე წელი  
მეტეობისა

პირშავი ქართველი მოურა-  
ვი<sup>1</sup>, მიუხედავად იმ დაახლოვე-  
ბისა. (შაჰთან) და ძლიერებისა,  
რომელიც მეს მისი უდიდებუ-  
ლესობის სამსახურში ჰქონდა,  
გადაუდგა სჯულს, მოახდინა  
აჯანყება [და] დაუკავშირდა  
თეიმურაზ-ხანს. [მათ] მოჰკლეს  
ყიზილბაშთა სარდალი ყორჩი-  
ყაი-ხანი და შირვანის ბეგლარ-  
ბეგი აფსუფი, დახოცეს (ყიზილ-  
ბაშთა) ძღვეამოსილი ჯარის

კურდღლის წელიწ., 1036  
(1626/1627) წ., 41 წელი მეტეობისა

თეიმურაზ-ხან ქართველი,  
თბილისის ციხის უფროსის  
ალაჰ-ვერდი-ხანის შეილის და-  
ეულის მეშვეობით; უზენაეს სა-  
სახლეს (შაჰს) შემოეხვეწა და  
პატიება ითხოვა თავის დანაშა-  
ულისა, რომ პირშავ მოურავს  
დაუკავშირდა. მან პატიება მო-  
იპოვა. მოჰამედ ყული-ხან ზიად

گنجہ و قراباغ بود معزول شده (133 r.) ایالت اورا بدآود خان مزبور شفقت فرمودند که آخر داود مردود شده کفران نعمت اختیار کرده ازین استان ولایت نشان روگردان شد و باطهمورث مذکور دست یکی کرده جمعی از آقایان قاجار را بقتل رسانیده ولایت گنجہ و قراباغ را تاخت و تاراج کردند (133 v.) ... جلوس میمنت مانوس شاهزاده عالیقدر سام میرزا بر تخت پادشاهی که بشاه صفی موسوم کردند مطابق سنه یلان فیل سنه ۱۰۴۸ در دار السلطنه اصفهان واقع شده امرا و اعیان که در مازندران بودند یکان یکان آمده بپای بوس شرف شدند.

ჰანში მოხდა გველის წელიწადს [ჰიჯრის] 1038 წ. ამირები და დიდებულები, რომელნიც მაზენდარანს იყვნენ, ზედიზედ მოვიდნენ [ყველანი] და [შაჰის] ფეხთა კოცნის პატივით იქნენ დაჯილდოვებულნი.

...وهم درین اوقات خسرو میرزای گرجی داروغه اصفهان قولاراقاسی شده موسوم برستم خان گردید و درین سال زمان بیک ناظر بسرداری خراسان مقرر شد و غریب شاه که در کیلان خروج کرده بود گرفته آورده در اصفهان بدار عبرت کشیدند.

ჰანში ჩამოახრჩვეს სხვათათვის სამაგალითად.

ოლლი, რომელიც განჯისა და ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი იყო, გადაყენებული იქნა, მისი თანამდებობა ხსენებულ დავუდხანს უწყალობეს. [მაგრამ] ბოლოს დავუდი განციცხულ (შეჩვენებული) იქნა, მან უმადურობა იჩრია, წმინდა ზღუდრისაგან (ე. ი. შაჰის სასახლისაგან, შაჰისაგან) პირი იბრუნა, ხსენებულ თეიმურაზს ხელი მისცა, ყაჯართა წარჩინებულების ერთი ჯგუფი მოჰკლა და განჯისა და ყარაბაღის მხარეს შეესია და ააოხრა... ზედმატებული უფლისწულის საამ მირზას, რომელსაც შაჰ-სეფი უწოდეს, ხელმწიფობის ტახტზე ბედნიერი ასელა სამეფო ქალაქ ესფა-

...ამავე ხანებში სოსროც მირზა ქართველი, ესფაჰანის ტარულა, ყულარ-ალასი გახდა და როსტომ-ხანი ეწოდა. ამავე წელს ზემან-ბეგ ნაზირი ხორასნის სარდლად იქნა დამტკიცებული და ლარიბ-შაჰი, რომელიც გილანში განდგომილიყო, დაიჭირეს, მოიყვანეს და ესფა-

(134v.) ბიჯი ტილ სალ ქჷჷარმ ქლოს სნჷ  
1041

... დაოდ ქან ბიქრიბიქი კიქჷ  
ო ქრაბაქ დრინ სალ რო კრდანი სჷდე  
ქმეი აზ აქანი ქაქარ რა ბრდე დრ  
კრქსანი ბა ჰემორთ ქანი მთქუ  
სჷდე ბქთლ რსანიდნიდ და ამდე ვლით  
ქრაბაქ და კიქჷ რა თაქთ და თარაქ  
კრდნიდ და აზ სომეი ანი ნაქაკ ბიქმით  
ამაქლიქანი ბიქრიბიქი ქარს კე ბრადრ  
აო ბოდ ბა ავლად და<sup>1</sup> აქარბ (135 r.)  
ბეჭებ და სეჷქქ პადსაჷი დრ ამდე  
მქთოლ და მსთასლ კსთნიდ.

ლქებით თავს დაატყდა შაქის რისხვა და მოკლული და ამოქყვე-  
ტილი იქნა.

მაიმუნის წელიწ., მე-4 წელი  
მეფობისა<sup>2</sup>, 1041 (1631/1632) წ.

დავუდ-ხანი, განჯისა და ყა-  
რაბალის ბეგლარ-ბეგი ამ წელს  
განდგა, ყაჯართა წარჩინებულე-  
ბის ერთი ჯგუფი წაიყვანა სა-  
ქართველოში, თეიმურაზ-ხანს  
შეუერთდა და [ეს წარჩინებულნი]  
დახოცა, [შემდეგ] მოვიდა და  
ყარაბალისა და განჯის ქვეყანას  
თავს დაესხა და დაარბია, და  
იმ უწმინდურისა და არაკეთილ-  
შობილის უბედურებით მის:  
ქმას, თარსის ბეგლარ-ბეგს იმამ-  
ყული-ხანს შვილებით და ახლობ-

<sup>1</sup> ხელნაწერშია عفار .

<sup>2</sup> ივლისხმება შაჰ-სეფის (1628—1642) მეფობისა.



ხელმოწ. დასაბეჭდად უკ. ფ. 17.VII.1942  
ბეჭდურ ფორმათა რაოდენობა 7  
ანაწყოების ზ. 6×10; კალ. ზომა 62×94 სმ  
შეკვეთის № 220; ტირაჟი 1500.  
ზე 7579.

საქართ. სსრ მეცნიერ. აკადემიის გამომ-  
ცემლობის სტამბა; ა. წერეთლის ქ. № 7

